114
1871

# მნათობი

1871

ივლისი

წელიწადი მესამე.

თბილისი.
დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა
1871.

# წოდება თხზულებათა:


საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.—
შემდეგი დრო მიტრიდატ დიდის სიკვდილამდე. დიმიტრი ბაქრაძისა.
ვედრება (ლექსი) . . . . . . . . . . . . ზურაბ მჭენიძისა.
სიმართლე თავისას გაიტანდა (კომედია) თ. ვანო ბარათაშვილისა.
სცენა ერთი მაზრის მომრიგებელ მოსამართლის სასამართლოს წინ . . . . . . . . . . სვ. მგალობელისა.
იმედს (ლექსი) . . . . . . . . . . . . . ნ. ლომაურისა.
ჩემს დედინაცვალს ქ.—ჩ—რას. (ლექსი)—მისივე.
ქალების წინააღმდეგ და სასარგებლოდ (ნათარგმნი) . . . . . . . . . . . . ეკატერინე დვინიაშვილისა.
დასტულამალი (დამატება). . . . . ვახტანგ მეფისა.

# მ ნ ა თ ო ბ ი

სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

# 1871

ი ვ ლ ი ს ი.

Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Iюля 1871 г.

ჩვენ უნდა ვშობოდ ჩვენი მყობადი.
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
***
არც კაცი კარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს კი არარა
არგოს...
ნ. ბარათაშვილი.

თბილისი
დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა.
1871.

*Дозволено цензурою, Тифлисъ 30 Іюля 1871 г.*

## საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი.—შემდეგი დრო მიტრიდატ დიდის სიკვდილამდე.

F/c 11327

თვითოეულის ტომის აღორძინების ისტორიაში შეინიშნება შემდეგი ღირს—საცნობელი ფაქტი. როდესაც ის სიყრმის მდგომარეობიდამ გამოდის, ვიდრე საზოგადოებად დაემყარებოდეს, ის ჯერ ოჯახ-ოჯახად არის დაგლეჯილი. აქ უფროსი სახლის წევრია იმისის საქმეების გამგე, იმისი მცველი, იმისი მბძანებელი. დროს განმავლობაში ის იკრიფება, ერთდება. იმისის მოქალაქობის ფორმები წარმატებაში შედის. მთელის ერის თავად აღმოჩნდება საზოგადოებისაგან აღმორჩეული უხუცესი პირი. ის არის მთელის ტომის მსაჯული, მღვდელთ-მოძღვარი, მხედართ—უფროსი. ის თავისს მოვალეობას ასრულებს ერის უხუცესთ შემწეობით და რჩევით. ის ამ მოხელეობას გარეთ არა რაით არ განსხვავდება ხალხში. ის თავისს მოვალეობას თავისს შემდეგ გადასცემს სხვა უცხო პირს უხუცესთაგანსვე. დრო გადის. ხალხი მრავლდება. იმისი შინაური და გარეული დამოკიდებულება იცვლება. სხვა და სხვა გვარნი ხელობანი, რომელნიც უწინ ერთ ხელში იყვნენ შეერთებულნი, ახლა დაიყოფებიან რამდენსამე გაცალკევებულს შტოებად. უმთავრესი მოხელე პირი გადაიქცევა მეფედ. იმისს სახლში მყარდება მემკვიდრეობა. იმისს ბძანებლობას ექვემდებარება მთელი ტომი. დაწესდება სხვა და სხვა უწყება: სამოქალაქო განმგეობა, მხედართ—მთავრობა, მსაჯულთ წეს-დება, სამღვდელოთ—წყობა. ასეა უძველესის დროდამ; ასე ვხედავთ ყველგან: სპარსეთში, რომში,

საბერძნეთში, ურისტანში, თვით საქართველოში. ქართველთ ტომის პირველს სამოქალაქო ფორმაზე ჩვენ არა ვიცითრა. ქართლის—ცხოვრება იმას არ შეეხება; ის უჩვენებს მხოლოდ მეორეს ფორმის დროებას და შემდეგ მესამეს ფორმის დროებას. ჩვენის აზრით, თუ ამაში შემცდარნი არა ვართ, როდესაც ჩვენნი წინაპარნი კავკაზიის მხარეში დასახლებულან, მაშინ ისინი მეორე ეპოქის სამოქალაქო რიგზე მდგარან-

ქართლის—ცხოვრების თქმულებით, საქართველოში მეფობა დამყარებულა მეორე საუკუნის დამდეგ ქრისტეს წინად. ის აქ პირველ მეფედ მოისხენებს ფარნაოზს, შთამომავლობით ქართლოსიდს, რომელსაც უმეფნია 302 წლიდან 237 წლამდე... რომ ამ დროს საქართველო სამეფო წესისთვის მომზადებული ყოფილა, რომ აქ მაშინ, თუ ადრეც არა, მეფობა უნდა დაწესებულიყო, ამაში ეჭვი არ შეიძლება. სხვა არა იყოს რა საქართველოს მრავალი მაგალითი ჰქონდა თვალ-წინ. სამეფოები დამყარდნენ სხვაგან ბევრით ადრე, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში—ეგვიპტეში მე XXIV საუკუნეში ქრისტეს წინად; საბერძნეთში და ტროადაში მე XV საუკ, ურისტანში მე X საუკ.; რომში რომული გამეფდა 753 წ. სპარსეთში კიროსი გამეფდა 538 წ. როგორც თვით ქართლის—ცხოვრება მოგვითხრობს, ხაზარებს და ალანებს ქართველებზე უწინარეს ჰქვანდათ თავიანთი მეფეები. სომხების მეფე ვაჰე, უკანასკნელი ჰაიკის წარმომადგენელი, მოკლულ იქმნა 328 წელს ბრძოლაში ალექსანდრე მაკედონელთან. რა საკვირველია ამ უცხო-ტომთ მაგალითებს უნდა ემოქმედნა ჩვენს ტომზე. გარდა ამისა ფარნაოზმა, ვიდრე ის ტახტზე დაჯდებოდა, დიდი სამსახური თურმე უჩვენა საქართველოს. იმან მოსპო აქ უცხო—ტომთ ბატონობა და სრული თავისუფლება მიაგო თავის მამულს. ამ გვარი მოღვაწეობა იქ, სადაც ხალხი მომზადებულია სამეფო წესისთვის, ხშირად სატახტო გზას გაუხსნის იმისს მეძიებელს.

ის უცხო—ტომთ ბძანებლობა შეუდგა საქართველოს დაჭერას ალექსანდრე მაკედონელისაგან. ალექსანდრე მაკედონელი, რომელმაც —ქართლის—ცხოვრების თქმით—დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყნისანი, გამოვიდა დასავლით, შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდმოვლო კავკასნი და მოვიდა ქართლად. აქ ჰპოვნა ციხე—ქალაქნი შუა—ქართლს, სადაც ჰპოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი... იმან განყო ლაშქარი თვისი და ყოველთა ციხე—ქალაქთა მოადგინნა; თვით დადგა მცხეთას და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოდ და ქვემოდ, და თვით დადგა ქსანსაზედა... მტკვრის—ციხესა და თუხარისსა არა ბრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხვანი ციხენი და ქალაქნი დაიპყრნა ექვს თთვე. ხოლო სარკინელთა თურქთაგანთა აგინეს მეფესა... მაშინ ალექსანდრემ მოიცვა ქალაქი სარკინე და ვერა სადით განერა ერთიცა კაცი... მან მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი და დაატყვევნა და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი და დაუტევა მათ ზედა პატრიკად სახელით აზონ, ძე იარედოსისა, ნათესავი მისი, ქვეყანით მაკედონით. და მისცა ასი ათასი კაცი ქვეყანათ რომით, რომელსა ჰქვიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მხნენი, ეკირთებოდეს ქვეყანასა რომისასა, და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონსა პატრიკსა; და დაუტევა ქართლს ერის—თავად აზონ პატრიკი და მისთანა სპანი იგი მპყრობლად ქართლისა და უბძანა ალექსანდრემ აზონს, რათა პატივსცემდენ მზესა და მთვარესა და ვარსკვლავთა ხუთთა, და მსახურებდენ ღმერთისა უხილავსა, დამბადებელსა ყოველისასა. რამეთუ მას ჟამსა არა იყო წინასწარ—მეტყველი და მოძღვარი სჯულისა ჭეშმარიტისა, რომელმანცა ასწავა და ამხილა, არამედ მოიგონა სჯული ესე ალექსანდრე, მეფობასა შინა მისსა, ყოველსა ქვეყანასა სჯული ესე დაუდგა და წარვიდა ალექსანდრე. ხოლო ამან აზონმან მოარღვივნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისა საფუძვე-

ლითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა: თავადი ციხე, რომელ არს არმაზი და ერთი ციხე დასასრულსა არმაზის ცხვირისასა, და ერთი თავსა ზედა მცხე-თისასა: მეოთხე ციხე დასავლეთ, მცხეთს მტკვარსა ზედა. და ქუენი მომტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა, და ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი, და დაიპყრნა ყოველნი საზღვარნი ქართლისანი, ბერდუჯის მდინარიდგან ვიდრე ზღვამდე სპერისა. დაი-პყრნა ქართლსა ზედა ეგრისიცა და მოსარკე ჰყვნა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი 1)«

ფარნავაზი იყო მამით ქართველი, შთამომავალი უფლოსის ძისა, მცხეთოსისა, დედით სპარსი ისპაჰანიდამ. ის იყო ძმის—წული სა-მარასი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მოსვლის დროს მამა—სახლობდა მცხეთაში და თავისის ძმითურთ, ფარნავაზის მამით, მო-კლულ იქმნა ალექსანდრესაგან. სამის წლისა ფარნავაზი დედამ შეჰ-ხიზნა კავკასიის მთაში და აღზარდა იქ; შემდეგ ისევ მცხეთას მოჰ-მართა. ფარნავაზ იყო გონიერი, შემმართებელი მხედარი და დახე-ლოვნებული მონადირე. აზონის შიშის გამო ის კაი—ხანი ჰფარავდა თავისს ღირსებას. აზონმა იცნა ფარნავაზი და »შეიყვარა კიდეც იგი მონადირობისათვის«. დედა ფარნავაზისა აზონს შიშით უმხერდა და დაიყოლია შვილი თავისს ძმებთან წასვლაზე, ისპაჰანში. თუმცა ფარ-ნავაზს »ჭირ—უჩნდა დატევება საყოფლისა მამათა მისთასა«, მაგრამ ერთმა წინასწარ—მაუწყებელმა სიზმარმა სრულებით გაჰფანტა იმისი ნისლით მოცული ფიქრი. «ესე არს—სთქვა იმან—მე წარვალ ასპანს და მუნ სიკეთესა მივეცემი«. ამ ჟამად, როდესაც ის მარტო ნადირობ-და დიღმის ველში და ისრით დაკოდილს ირემს სდევნიდა, ფარნავაზი მიაწყდა, მწუხრის დროს, ერთს ძველადვე ქვით ამოქოლილს კლდის—

1) ქართლის-ცხოვრება, წიგნი I, გვ. 27—28.

ქვაბს. დაასხა მძაფრმა წვიმამ. ფარნავაზმა გამოაღვია კარი და შევიდა შიგნით. აქ ჰპოვა »მიუწდომელი განძი, ოქრო—ვერცხლი და სამსახურებელი ოქროს და ვერცხლისა მიუწდომელი«. განცვიფრებულმა ფარნავაზმა მოიგონა თავისი სიზმარი და აცნობა დედას ორის დითურთ. მოვიდნენ სამნივე ღამე სახედრებით და ჭურჭლებით. »იწყეს განძის გამოღება. გათენების დროს კვალად აღმოქმნიან კარი ქვაბისა მის და ეგრეთ გამოკრიბეს იგი ხუთ ღამე და დაიგულეს სიმარჯვესა მათსა«.

მაშინ ფარნავაზმა წარუგზავნა მონა ეგრისის მფლობელს ქუჯს. »მე ვარ—შეუთვალა ქუჯს—ნათესავი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა, და ძმის—წული სამარა მამა—სახლისისა; და არს ჩემთან ხვასტაგი დიდ—ძალი; აწ ინებე რათა მით ხვასტაგითა მოვიდე შენთანა და ვიყვნეთ ჩვენ ძმა, და ვისმაროთ ხვასტაგი იგი ორთავე: გამოუჩნდეთ ჩვენ მტერად აზონს ერის—თავს და სვემან ჩვენმან გვცეს ჩვენ ძლევა კეთილი«. მიწვეული ფარნავაზი ფარულად გაემგზავრა დედით და დებით, და თან წაიღო განძი, რამდენიც შესძლო. შემდეგ რჩევისა, ფარნავაზმა მოიწვია ოს—ლეკნი, რომელნიც მტრობით უმზერდნენ აზონს ხარკის გამო, შემოიკრიბა ეგრისით ურიცხვი სპა და გაელაშქრა. თავისის მხრით აზონმა მოიწვია თავისი სპა, შემოიკრიბა ათ—ასი რჩეული რომთაგანი, »რომელთა, ქართლის—ცხოვრების სიტყვით, ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისგან; განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა. მაშინ ყოველნი ქართველნი განუდგეს აზონს: თვით სპანი, რომელ დარჩენილ იყვნეს, ვერღარა მიენდო მათ, რამეთუ ბოროტის მოქმედ იყო. წარვიდა აზონ და მივიდა კლარჯეთს და გამაგრდა იგი სიმაგრეთა შინა კლარჯეთისათა. ხოლო მოვიდა ფარნავაზ მცხეთას და დაიპყრნა ოთხნი იგი ციხენი მცხეთისანი, და მასვე წელიწადს შინა დაიპყრა ყოველი ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა.—მეორეს წელს აზონი ახალის სპით, რომელიც საბერძნეთით

მოიხვნა, თვითონ გაელაშქრა ფარნავაზზე. ფარნავაზმა ქუჯისა, ოსე-
ბისა და ანტიოქოზის სომხთ ერისთავთ შემწეობით სრულებით
სძლია ბერძნებს არტანის ნაქალაქევს, „რომელსა ერქვა ქაჯთა — ქალაქი,
რომელ არს ჭურიჲ. აზონი მოიკლა; ურიცხვი იმისი სპა მოისრა და
დატყვევებულ იქმნა. ფარნავაზმა წარმოსტყვენა საზღვარი საბერძნე-
თისა, დაიპყრა კლარჯეთი, შემოვიდა მცხეთას დიდის სიხარულით,
და სამდიდრესა მისსა ზედა დაერთო ხვასტაგი აზონისაცა და იქმნა
სიმდიდრე გარდარეული».

„ხოლო ეგრისის წყალს ქვემოდ დარჩა ბერძენთა, რამეთუ
მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს გარდგომა ბერძენთ მაშინ
ფარნავაზ მისცა და თვისი ოვსთა მეფესა ცოლად და მეორე და
თვისი მისცა ქუჯის ცოლად, და მისცა ქუჯის ეგრისის წყალსა და
რიონს შუა ზღვიდგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვა-
ნეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ, და მუნ ქუჯიმ აღაშენა
ციხე-გოჯი. მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთა-
გან, და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა».

„განამრავლნა ფარნაოზ ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი,
განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი. ერთი გაგზავნა მარგვის
ერისთავად, და მისცა მცირით მთიდგან, რომელ არს ლიხი,ვიდრე
ზღვამდე, რიონს ზემოთ. ამანვე ფარნავაზ აღუშენნა ორნი ციხენი,
შორაპანი და დიმნა. მეორე გაგზავნა კახეთისა ერისთავად, და მის-
ცა არაგვითგან ვიდრე ჭერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.
მესამე გაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინა-
რითგან ვიდრე ტბილისამდე და გაჩიანამდის, რომელ არს გარდაბანი.
მეოთხე გაგზავნა სამშვილდეს ერისთავად, და მისცა სკვირეთისა
მდინარიდგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი. მეხუთე
გაგზავნა წუნდას ერისთავად, და ფანავარითგან ვიდრე თავამდე მტკვ-
რისა, რომელ არ ჯავახეთი, კოლა და არტანი. მეექვსე გაგზავნა

ოძრხის ერისთავად, და მისცა ტაშისკარიდგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღვამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშვიდე გაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანითგან ვიდრე ზღვამდე. და ქუჯი იყო ერისთავი. მერვე დაადგინა სპასპეტად და მისცა თბილისიდგან და არაგვიდგან ვიდრე ტაშისკარამდე და ფანავარამდე, რომელ არს შიდაქართლი. ესე სპასპეტი ყოვლადვე წინაშე მეფისა მთავრობდის, განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქვეშე, ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასის თავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდის ხარკი სამეფო და საერისთავო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ, მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა. ფარნავაზმა მოიყვანა ცოლი დურძუკელთა, ნათესავი კავკასისი, მოზღუდა ქალაქი მცხეთა მტკიცედ და ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი მოოხრებულნი ალექსანდრესაგან, და მან აღაშენა იგინი, და ვერღარა იძიეს შური ბერძენთა ფარნავაზსა ზედა, რამეთუ უცალო იყვნეს იგინი უფლისაგან რომთასა. ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი, სასჯელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი, და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. აღმართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერითგან ეწოდა არმაზი, კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურები დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა. ოც და შვიდის წლისა მეფე იქმნა და სამოც და ხუთის წელს მეფობდა ნებიერად და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურასტანისასა. ყოველნი დღენი მისნი, რაი დაჯდა, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი. თვენი გაზაფხულისანი და სთვლისი არისანი დაყვნის მცხეთას სამეფოსა, და თვენი ზამთრისანი დაყვნის გაჩიანთა.; ხოლო თვენი ზაფხულისანი წუნდას; და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და კლარჯნი და განაგის ყოველი საქმე დაშლილი. ხოლო რომნი იგი ათასნი მხედარნი, რომელნი

აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს, იგინი განჰყვნა ხევთა და ქვეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისა მხნედ იყვნეს, და უწოდა მათ სახელად აზნაურნი» 1).

თუ მკითხველი მოიგონებს, ჩვენ ამ თხზულებაში რამდენჯერმე გვითქვამს—ეს ყოველთვის თვალ წინ უნდ გვქონდეს—რომ ძველს თქმულებაში ნამდვილი შემთხვევა და ზღაპრული ამბავი ერთმანეთში არეულია. ამ აზრს ცხადად გვიმტკიცებენ ფაქტები, რომელნიც საქარ-თველოს ისტორიის პირველ-დაწყებაში ჩვენ გამოვიკვლიეთ. ამ აზრსვე გვიმოწმებს ქართლის-ცხოვრების სურათი ალექსანდრე მაკე-დონელზე და თვით ფარნავაზ მეფეზე.—არ არის თითქმის არც ერთი ტომი აზიაში, რომ ალექსანდრეს ანუ ისკანდერს არ იხსენიებ-დეს თავისს მატიანეში. «ისკანდერს აზიელებისთვის ის მნიშვნელობა აქვს, რა მნიშვნელობაც აქვს იული ცეზარს გალლებისთვის». ქართ-ლის-ცხოვრების სიტყვით, მთელი კავკაზიის სამხრე—მხარეები და-პყრა თვითონ ალექსანდრემ, თუმცა ამ საგანზე არც კვინტი-კურცი, არც არრიანი სრულებით არას ამბობენ 2). საიდამ და როგორ მიუთ-ვისებიათ ქართველებს ეს თქმულება, ამისი გამოკვლევა არ შეგვიძ-ლიან. ეს-კია უეჭველი, რომ ჩვენს ტომში ის ძველადვე გავრცელე-ბული. მეექვსე საუკ. იოანე ზედაძნელი შიო მღვიმელის ცხოვრებაში ალექსანდრეს ყოფნას საქართველოში დარწმუნებით იტყვის 3). ამა-საც ამბობენ, ვითომც ალექსანდრეს მთელი ხმელეთი დაეპყრას ქართ-ველების შემწეობით. მე XII საუკ. დავით-აღმაშენებელის ბიოგრაფი ჩამოსთვლის სხვა და სხვა მხარეს, რომელიც მაკედონელს დაუპყრია, და დასასრულ იტყვის:,, ამან მოვლო ყოველი ქვეყანა და ჰქმნა რა იგი ქმნა და თუ არა ქართველთა სპითა ვერცარა ალექსანდრე იქმოდა

1) ქართლის-ცხოვრება, წიგნი I, გვ. 28—32.
2) Dubois Voyage autour du Caucase, t. II, p. 31.
3) Hist. de la Gèor. t. I, p. 33 n. 6.

გარგსა 1)». ალექსანდრეს ცხოვრება, იმისი მოღვაწეობა, ყოველივე იმისი ფესის გადადგმა დაწვრილებით არის გამოკვლეული, და თუმცა ჩვენ მხარეში ის არ ყოფილა, მაგრამ შემდეგი ფაქტებიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. ალექსანდრემ დაიმონავა მეომარნი ტომნი, რომელნიც კასპიის ზღვის სამხრეთად ცხოვრობდნენ მთებში და აქ გასჭრა გზები, რომლითაც უნდოდა დაეკავშირებინა ერთი მეორესთან საშუალო-აზიის აღმოსავლეთი და დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი 2). მცირე—აზიაში ალექსანდრემ გაველო თავრის მთა, დაიჭირა სხვათა შორის კილიკია და შევიდა კილიკიის ქალაქში ტარსში 3); იმან დაიჭირა აგრეთვე ბერძნების კოლონია მილეტი, რომელსაც ეპყრა შავის-ზღვის პირად გაბნეული კოლონიები 4). ალექსანდრემ გაგზავნა, სტრაბონის სიტყვით, თავისი მხედართ-უფროსი მემნონი ისპირატის ოქროს მადნის დასაჭერად. სენ-მარტენი ამბობს, რომ ისპირატი არისო ისპირი ზემო ქართლში, სადაც აქამომდე სხვა და სხვა მადნები თურმე იპოვება 5). გარდა ამისი, კავკაზიის საზღვრად კასპიის ზღვაზე იყო განსაკუთრებით მიქცეული ალექსანდრეს ყურადღება. იმ დროს ფიქრობდნენ, ვითომც კასპიის ზღვა შეადგენდა ჩრდილო-ოკეანის ნაწილს და ალექსანდრეს ჰსურდა გამოეკვლია იმისი ნაპირები და სავაჭრო გზები გაეხსნა იმისს მოსაზღვრე ტომებში. იმან გაიჩინა კასპიის ზღვაზე ფლოტი, რომელსაც უნდა შეეტყო დაკავშირებულია თუ არა კასპიის ზღვა ოკეანთან შავის ზღვის შემწეობით და ანუ სხვა ზღვების შუამავლობით ინდოეთთან. ამ გვარად მოიყვანეს ცნობაში

---

1) ქართლ.-ცხ. I, გვ. 260.

2) *Шлоссера Всемірная Исторія, 1861, т. II, 344—345.*

3) V. S—Mart. Asie Mineure t. II, p. 343.

4) Ibid. II, p, 340.

5) S—Mart. Mèm. sur l' Arm. t. I, p. 69.

ჯერ კასპიის ზღვის სამხრეთი ნაპირები, შემდეგ აღმოსავლეთი კიდეები იაქსარტის მდინარემდე, მასუკან დასავლეთი ნაპირები ალბანიამდე, ანუ დერბენტამდე, რომლის დაფუძნებასაც ზოგნი ალექსანდრეს მიაწერენ და ადგილობრივი თქმულება დერბენტის ძველს ზღუდეს აქამომდე ალექსანდრეს სახელს უწოდებს 1)

შემდეგ ამისა შესაძლებელი საქმე სომხეთისა და საქართველოს დაჭერა ალექსანდრეს ჯარისაგან, და არა თვით ალექსანდრესაგან. ამისს დასამტკიცებლად ბროსსე უჩვენებს ფრანციზულის ქართლის-ცხოვრების შენიშვნაში სომხურს ენაზე ბერძულისა და ლათინურის წყაროებიდამ შედგენილს ალექსანდრეს ცხოვრებას, რომელიც ვენეციაში გამოუციათ 1842 წელს. ამ წიგნში ალექსანდრე სწერს თავის-დედას ოლიმპიადას:... , აქედამ ჩვენ გავემგზავრენით და მივადექით კლდე-ქვაბებს, სადაც მე გამოვაჭრევინე სახსოვრად როგორათაც ჩემი სახელი და სახელები ჩემგან დამონავებულის ბესსისა, არივარდანის და მაზაკის მეფეებისა, აგრეთვე სახელები მეფეებისა მარსთა, სომეხთა, იბერიელთა და ყოველთა სპარსთა, რომელთაც დიდი დარი ბძანებლობდა 2). სომხეთის დაჭერა ალექსანდრესაგან სომხის მატიანეს სიტყვით უეჭველი საქმე. იმისის თქმით სომხის მეფე ვაჰე, ძე ვანისა, უკანასკნელი ჰაოსის სახლის წევრი, მოიკლა, როდესაც ის ალექსანდრეს ებრძოდა და ალექსანდრემ თავისს მოადგილედ სომხეთში დანიშნა სპარსი მითრინეზი 3). ჩვენ ვიცით, რომ ალექსანდრე ყველა იმისგან დამონავებულს მხარეებში თავისს მოადგილეებს ჰნიშნავდა 4).

---

1) Esprit des lois par Montesquieu, 1860, p. 293—297. *Исторія Грузіи кн. Баратова, тетрадь первая, 1865 г. стр. 22—23.*

2) Hist. de la Géor. partie I, p. 35, note 6.

3) S—Mart. Mém. sur. l' Arm. t. I, p. 285—286.

4) *Шлоссера Всемірн. Исторія, т. II, 348.*

—მაშასადამე სომხეთის მატიანეს თქმულება, რომელსაც ჩვენ აქ ვუჩვენებთ, სიმართლეზე დიად ახლოა... რაც ალექსანდრესაგან სომხეთს შეემთხვა, იგივე უნდა შემთხვევიყო თვით საქართველოს. ამაში არც ჩვენა გვაქვს ეჭვი, არც ბროსსეს, რომელსაც საქმის გარემოება პირველის წყაროებიდამ ამოუკითხავს.—ჩვენ მხოლოდ ქართლის-ცხოვრების აზონი ეჭვ ქვეშა გვყავს. აზონი მოგვაგონებს იმ იაზონს, რომელიც ზღაპრულს დროებში არგონავტების ხომალდით კოლხიდაში შემოსულა. ამითი ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ ალექსანდრეს არა ჰყოლიყო თავისი მოადგილე საქართველოში, როგორათაც სომხეთში, როგორათაც სხვაგან. ამას დაურთავთ აქ, რომ აზონ ერქვა იმას თუ არა, ეს სულ ერთია. თვით იმისს მოქმედებაში, როგორც ამას ქართლის-ცხოვრება გვიამბობს, ისტორიულს წინააღმდეგობას ჩვენ არა ვხედავთ. აზონის პატრიკიობა და ასი-ათასის ჯარის მიცემა იმისთვის ალექსანდრესაგან კი ცრუ-თქმულებაა: პატრიკიობა ჯერ არ იყო: ეს მოხელეობა ეკუთვნის რომის იმპერიის უკანასკნელს დროებს; ის პირველად შემოდის ხმარებაში კონსტანტინე იმპერატორის დროს მე IV საუკ. დამდეგს ქრისტეს შობის შემდეგ 1). იყვნენ თუ არა ალექსანდრეს სამსახურში რომაელნი, ჩვენ არ ვიცით. ასი-ათასის ჯარის მიცემა აზონისთვის ალექსანდრეს არ შეეძლო მაშინ, როდესაც თვითონაც სპარსეთთან საომრად საბერძნეთიდამ გამოვიდა 34 ათასის ქვეითის ჯარით და 4 ათასის ცხენოსნის ჯარით 2).

თვით ფარნავაზ მეფეზე ჩვენ არ შეგვიძლიან დაჭეშმარიტებით ვთქვათ, ნამდვილი ისტორიული პირია ის თუ არა. შესაძლებელია

1) Hist. de la Géor. partie I, p. 35 n. 6. Diction. Univ. d, his, et gèogr. Bouillet, 1861. Paris, p. 1360.

2) *Дрепера Исторія умст. разв. Европы, т. I, стр. 146.*

ერთიც და მეორეც. ამისი გამოკვლევა მომავალს დროს უნდა მივან-დოთ. ჩვენ ჩვენის მხრით არ ვეჭვნეულობთ იმისს სინამდვილეზე, ფარნავაზად სახელ-წოდებულნი პირნი იხსენებიან როგორათაც ბერძნულს მატიანეში 1), აგრეთვე სომხის ისტორიაში. ეს უკანასკნელი ჯავახიანთ დინასტიის მეფეების რიცხვში უჩვენებს ორს ფარნავაზს: პირველი მეფობდა მე VII საუკ., მეორე მე V საუკ. გასულს ქრისტეს წინად 2). ჩვენ ვეჭვნეულობთ საქართველოს ფარნავაზისაგან შემოტანილს წესადებაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორათაც სამოქალაქო და სამხედრო დაწყობილება, როგორათაც სარწმუნოების რიგი, თვით კერპი არმაზი ძველადვე უნდა იყვნენ დამყარებულნი ჩვენს ქვეყანაში. ასეა ყველა ტომის ისტორიაში, რომ ერთს დროს და ერთს რომელსამე ზღაპრულს თუ ისტორიულს პირს ხალხის თქმულება მიაწერს სხვა და სხვა დროს მიღებულს მოქმედებაებს, სხვა და სხვა პირთ მოღვაწეობას. მოვიგონოთ ქართული მხედრული: ქართლის-ცხოვრების თქმით მხედრული მოგონილია ფარნავაზისაგან, თუმცა ჩვენ ზემოდ დავამტკიცეთ, რომ ის ფარნავაზზე ბევრით გვიან შემოდის ხმარებაში. მოვიგონოთ თვით ჩვენ დროს თითქმის საზოგადოდ გავრცელებული თქმულება თამარ დედოფლის შრომაზე: ეს თქმულება ყოველსავე ღირს-სახსოვარს ციხე-სიმაგრეს თუ ტაძარს საქართველოში მიაწერს თამარს, თუმცა დარწმუნებით ვიცით, რომ იმათგანი თითქმის ორი-სამი თამარის ნაშრომი არ არის... განსაკუთრებითი ყურადღებაა ახალთ მეცნიერთაგან მიქცეული ფარნავაზის ცხოვრებაში მოხსენებულს დიდმის კლდე-ქვაბში ნაპოვნს ხვასტაგზე. ამ სიტყვის მნიშვნელობაზედ მცირედ უნდა შევდგეთ. ფარნავაზ

1) Plutarque, Vie des hommes illustes. Paris, 1858, t. IV p. 438,442,480.

2) Hist. de la Géor. t. I, p. 37 n. 1. Mém. sur l' Arm. t. I, p. 408.

ასე შეუთვლის ქუჯს: „და არს ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი, ვისმა-როთ ხვასტაგი იგი ორთავე». ქუჯი უპასუხებს: «ნუ შურობ ხვა-სტაგსა შენსა და ხვასტაგებითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი 1).» სომხურს ქრონიკაში, რომელიც, როგორც ზემოთაც გვითქვამს, ქარ-თლის-ცხოვრებიდამ არის ძველადვე გამოწერილი, ნათქვამია: არის ჩემ-თანა დიდძალი ვერძი..... ვერძითა შენითა განვამრავლოთ სპანი.. 2) ევროპიელნი ნუმმიზატნი, რომელნიც ძველის ქართულის მანათების განხილვაში შესულან, ამტკიცებენ, ვითომც ხვასტაგად იგულისხმებოდა ვერცხლის ფული, ვითომც ახლაც იმას მთიულნი ქართველნი ხვასტაგად ფულს უწოდებენ. მართლა და საქართველოში დროთი დრომდე ჩვენ ვპოულობთ სხვა-და-სხვა გვარს მანეთებს: იმათში უძველესია ათინაში მოჭედილი მანეთები, რომელთაც ეწოდება დარიქი, დრაქმა და თეთრა დრაქმა; ვპოულობთ აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელის მანეთებს. უმ-რავლესი ძველს მანეთებში არის პატარა ვერცხლის ფული, რომელ-საც კოლხიდის მანეთს უწოდებენ: ერთს იმისს მხარეზეა გამოჭრი-ლი დედაკაცის თავი ეგვიპტურის თავ-სახურით, მეორეზეა ხარის თავი. წარწერა იმას აქვს ბერძნულად: მოსხოსი; სხვა მანეთების წარ-წერა არის: დიოსკურია, კოლხიდა... ამტკიცებენ, რომ ფარნავაზის დროს და წინათაც საქართველოს თავისი მანეთები არა ჰქონია, რომ აქ იხმარებოდა ბერძნული მანეთები, რომელნიც შავის ზღვის პირზე მოფენილს კოლონიებში იჭედებოდნენ. ამ მანათებთაგანი თურმე იყო ფარნავაზის ხვასტაგი 3).

ღირსს — საცნობელი ფარნავაზის ცხოვრებაში საგანი არის სა-

---

1) ქართლ-ცხოვრ., I, გვ. 30.

2) Clronique armén. Addit. et Eclaircis, 1851. p. 8.

3) Brosset, Revue de numismatique géorgienne. SPB., 1847, p. 15—16. Lanqlois, Essai de classification des suites monét. de la Géorgie, 1860, p. 11—13.

ქართველოს დაყოფა საერისთავოებად, რომელიც ქართლის-ცხოვრების თქმით იყო ცხრა, და ვახუშტის შემოწმებით კი ათი 1). ამ შემთხვევაში ქართლის-ცხოვრება სრულებით ეთანხმება ჩვენის ტომის გეოგრაფიულს და ეთნოგრაფიულს დანაწილებას. ამ ბუნებითს თვისებაზე იყო შემდეგშიაც დაარსებული საქართველოს პოლიტიკური და შინაგანი დაყოფა... შემდეგ, როგორც ამას თავისს ადგილს ვუჩვენმებთ, საერისთავოები უფრო და უფრო დამყარდა, რიცხვი იმათი გამრავლდა. პირველ ერისთავად ანუ სპასპეტად ყოველთვის იყო ქართლის-ერისთავი, რომელიც განაგებდა ეგრისის საზღვარს აქეთ, ესე იგი «ტაშის-კარისა, ფარავანისა, და ლიხის მთასქვევით არაგვ თფილისამდე 2). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველადვე უნდა იყოს მთელი საქართველო დაყოფილი ოთხ სადროშოდ, რომელსაც ვახუშტი მოიხსენებს თავისს გეოგრაფიაში. იმისის სიტყვით ... »წინა მბრძოლნი იყვნენ თორელნი, ცისის-ჯვარელნი და ახალ-ციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა რომელნი ეპყრათ. ხოლო მემარჯვნე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლისთ-იქითი ავსაზ-ჯიქითურთ. ხოლო მემარცხნეთ მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ჭერ-კახნი. ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნენ მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა-რიგ მიიყვანიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი 3)». იმ დროს, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, ქართლის-ცხოვრების თქმით, ქართველებად იწოდებიან აწინდელნი მესხნი, ქართველნი და კახელნი. იმერეთის სახელი ჯერ არ არის ხმარებაში. სიტყვა ლისთ-იმერი, ლიხთ-ამერი, ანუ იმერნი და ამერნი პირველად იხმარება მე XII საუკ.

---

1) Hist. de la Géor. I, p. 42 n. 2.

2) Hist. de la Géor. I, 42. ვახუშტის გეოგრაფ. აღწერა საქართვ. გ. 276.

3) იქვე, გვ. 34.

გიორგი მეფის დროს 1). ისინი იწოდებიან ხან ეგრისელებად, ხან მეგრელებად. მესხი თუმცა იხსენიება, მაგრამ ჯერ ისიც საზოგადოდ არ იხმარება 2). ლაზნი ანუ ჭანნი ამ სახელითვე არიან ძველადვე ცნობილნი; ტრაპიზონი, ქართლის-ცხოვრების თქმით, იყო დასახლებული მეგრელებისაგან, ესე იგი აწინდელის ჭანებისაგან, რომელნიც მეგრელნივე არიან 3). სვანეთი სვანეთადვე იხსენება. სვანეთი შეადგენდა სამფლობელოს ეგრისის მთავრისას. ანდრია მოციქულის დროს აქ მთავრობდა დედა-კაცი 4). საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ახლანდელი ქართლი ძველს დროს იწოდება შიდა ქართლად, შიდა-ქალაქად, ზედა-სოფლებად. შემდეგ იხმარება: ზემო-ქვეყანა, ქვემო-ქვეყანა. პირველი ჰნიშნავდა მთელს ქართლს, რომელიც ბოლოს ზემო-ქართლად და ქვემო-ქართლად დაიყო, მეორე ჰნიშნავდა იმერეთს სამეგრელოითურთ 5). — ფარნავაზის დროს მოხსენებულნი «ოთხნი ციხენი, რომელნიც მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა,» როგორც ბროსსეს საფუძვლიანად შეუნიშნავს, არიან ოთხნი საქართველოს შესავალნი ხეობანი 6), რომელთაც თვით სტრაბონი აგვიწერს და რომელნიც ჩვენ «საქართველოს» პირველს რვეულში ვრცლად გამოვიკვლიეთ 7). — ქართლის-ცხოვრების თქმულება, ვითომც — ქართული აზნაური წარმომდგარიყოს აზონის სახელისაგან, ცრუ-თქმულებაა. ახლა გამოკვლეულია დაჭეშმარიტებით, რომ ამ სიტყვის ნამდვილი ფესვი არის

---

1) Hist. de la Géor. I, p. 388.

2) Ibid. p. 56,59,61,69,74,264.

3) Ibid. p. 107, 264, 307.

4) Ibid. p. 40,44,61, 183.

5) Ibid p. 42,64,65,71,204,248,301,311 n. 5.

6) Ibid p. 34 n. 5.

7) «საქართველო», პირ. რვეული, გვ. 81 – 84.

სომხური აზნივ-განთქმული, განვითარებული, აზნოვაკან-კეთილ შობილი 1). ამისთვისაც სიტყვა აზნაური თვით ქართულს საღმრთო-წერილს ენაზე ჰნიშნავს თავისუფალს 2), როგორათაც სომხურს ენაზე აზატი 3).

არ შეიძლება უყურადღებოთ დავტოვოთ ის დამოკიდებულება, რომელიც საქართველოს ფარნავაზის დროს და შემდეგ ჰქონდა უცხოტომებთან, ესე იგი ბერძნებთან და სირიის შეფეებთან. ჩვენ კიდეც ვიცით ბერძნების წყაროებიდამ, რომ ძველადვე ბერძნებს ეპყრათ მთელი შავის ზღვის გარეშე პირები, რომ საქართველოს მხრივ იმათს კოლონიებს შეადგენდნენ ფაზისი, ჰერაკლეა, დიოსკურია, ტორიკოსი, ბატა და სხ. 4). ბერძნების ცნობას ამ საგანზე ქართლის-ცხოვრებაც ეთანხმება. ვნახოთ, რას ამბობს ის ნამდვილ. სულ ძველად იმას ქართლის-ცხოვრება მოიხსენებს ბევრით ადრე ფარნავაზზე, სახელდობრ მაშინ, როდესაც ის ჯერ ზღაპრულს დროებას წარმოგვიდგენს, როდესაც ქართლოსიანნი სპარსეთის გავლენას ებრძვიან. იმასვე უჩვენებს ის შემდეგაც. ძველად სპარსებთან ბრძოლაში, ქართლის-ცხოვრების თქმით, «შეეწიეს ბერძენნი ქართლოსიანთა და მოკლეს ერისთავი სპარსთა... ხოლო ეგრის წყლის ქვემოთ დარჩათ ბერძენთა» 5). ფარნავაზმა ხზონის დამარცხების შემდეგ «მოსტყუენა საზღვარი საბერძნეთისა და და იპყრა კლარჯეთი... ხოლო ეგრისის წყალს ქვემოთ დარჩათ ბერძენთა,

---

1) S—Mart. Mém. sur l' Arm. t. II, p. 200 n. 1. Hist de la Géor. t. II, jntrod. et tables. p. XXIV.

2) ეპისტ. კოლოს. III, 8.

3) *Моисея Хоренск. Исторія Арменіи, переводъ Эмина, 1858. стр. 313.*

4) «საქართველო», პირ. რვეული გვ. 67.

5) «მნათობი», მარტი, გვ. 85, შენიშ. 1.

რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს გარდგომა ბერძენთა 1) ვარაზ-ბაქარის დროს, რომელიც მეფობდა მეოთხის საუკ. გასულს და რომელიც «იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა.... განუდგეს მას კლარჯნი და მიერთვნეს ბერძენთა, და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი, ზღვიდგან არსიანთამდე, და დარჩა ვარაზ—ბაქარს ქართლი, თვინიერ კლარჯეთისა, და ჰერეთი და ეგრისი 2)». «მირდატ მეფე (408-410) ბერძენთაგან ემიებდა კლარჯეთს, საზღვართა ქართლისათა 3)». ვახტანგ გორგასლანის მეფობაში (446-499) «გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრის წყალს ქვემოთ კერძი ყოველი, დაიპყრეს ქვემოთ ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე—გოჯამდე 4)»... «და უკუ—სცა კეისარმან საზღვარი ქართლისანი, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი, ზღვითგან ვიდრე არსიანთამდე და ხევნი, რომელნი მოსდგანან ლადოთა: და გამოიკვითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქვეყანაი ზღვის პირსა, რომელ არს აფხაზეთი, და ჰრქვა: «ესე ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა—ხაზარეთისა, ესე საზღვარი არს საბერძნეთისა, ალექსანდრობითგან, რომელი აწ შენ მოგიღია მკლავითა ჩვენგან. აწ იგი ჰკუ—მოგვეც, და ოდეს წარიყვანებდე ცოლსა შენსა ასულსა ჩვენსა, მაშინ მოგცე მისგან ქვეყანა. და დაუწერა ეგრის—წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანაი ზითვად და სხვაი აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა 5». ადარნასეს დროს (919—639) «კვალად წარიდეს ბერძნთა საზღვარი ქართლისა, სპერი და ბოლო კლარჯეთისა,

---

1) ქართლ-ცხოვრ. გვ. 31.

2) იქვე, გვ. 105—106.

3) იქვე, გვ. 107.

4) იქვე, გვ. 112.

5) იქვე, გვ. 132.

ზღვის პირი და შვილნი სტეფანოზისნი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა 1)».

ბერძნების თქმულებას რომ არ მოეღწია ჩვენამდე იმათს კოლონიებზე შავის ზღვის პირად, მაშინაც ამ ქართლის—ცხოვრების ცნობებზე ეჭვი არ შეიძლებოდა. ასე ცხადია ისა. არ შეიძლებოდა უფრო ამიტომ, რომ აქამომდე დაცული ადგილობრივ ძველი ნანგრევები ჰმოწმობენ ქართლის—ცხოვრების ნაამბობს. ეს ნანგრევები ჩვენ ამას წინათაც მოვიხსენეთ: ისინი არიან გაბნეულნი აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და თვით ზემო—იმერეთში 2.) ისინივე ამტკიცებენ ბერძნების ხან—გრძლივს მფლობელობას შავის ზღვის პირად კლარჯეთი და მთელი მხარე ეგრისის (ენგურის) წყალს ქვემოთ ვიდრე მდინარემდე მცირე—ხაზარეთისა (ყუბანისა) შეადგენდნენ ზღვის პირს ადგილებს, ბერძნების სამფლობელოს. ვახუშტის თქმით, კლარჯეთს ჰსაზღვარდა: «აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა, ზღვამდე, სამხრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა, დასავლით მთა აზრუმ—ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე და ჩდილოთ შავი ზღვა. არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფოჩრხა, ბაიბურდი და ჭანეთი. უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე. გარნა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან—ღრატო—ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან. რამეთუ მთა—ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარ—ჟამისა სავალსა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის—ხილი და ყოველნი ნაყოფნი» 3). აქედამ სჩანს, რომ კლარჯეთს ჰსაზღვრავდნენ ერთის მხრით მდინარე ჭოროხი, მეორეს მხრით შა-

1) ქართ.-ცხ. გვ. 168.

2) «საქართვ.» პირ. რვ. გვ. 73.

3) ვახუშტ. გეოგრაფ. აღწ. საქართ. გვ. 72.

ვი ზღვა. არც ქართლოსის დროს, არც შემდეგ, როდესაც საქართველო ორჯულ დაიყო, ვიდრე ფარნავაზამდე, კლარჯეთი არ არის მოხსენებული საქართველოს სამფლობელოდ 1). კლარჯეთის საზღვრიდამ ეგრისამდე მდებარებს რამოდენიმე სივრცე, რომელიც არ არის ბერძნების ხელში ნაჩვენები ქართლის—ცხოვრებისაგან, მაგრამ უეჭველია, ისიც იმათ ეჭირათ; ამ სივრცეზე იყო იმათი კოლონია ფაზისი. დროითი დრომდე ვხედავთ, რომ ბერძნებს თავისი მფლობელობა შორს შეაქვთ საქართველოში, ერთის მხრით არსიანთამდე, რომელიც მდებარებდა შავშეთსა და ყველს შორის 2), მეორეს მხრით ციხე—გუჯამდე (ანუ ქუჯის—ციხემდე), რომელიც იყო აწინდელი ნაქალაქევი 3), და ლადოსა ანუ ფერსათის მთამდე. როდესაც შემთხვევას პოულობდნე ქართველები, ისინი ყოველთვის ებრძოდნენ ბერძნებს თავიანთის საზღვრების გამო. ესეც არ უნდა დავივიწყოთ აქ, რომ ქართველების დამოკიდებულობა ბერძნებთან საზოგადოდ კეთილი დამოკიდებულობა იყო. ისინი ერთმანეთთან მშვიდობიანათ იყვნენ. ეს სჩანს თვით ქართლის—ცხოვრებიდამ: ბერძნები შემწეობას აძლევენ იმათ ძველადვე სპარსების წინააღმდეგ; ფარნავაზის დროს ეგრისის მცხოვრებნი უარ—ჰყოფენ კავშირის მოკვეთას ბერძნებთან; ვარზა—ბაქარის მეფობაში კლარჯნი, შეჭირვებულნი თავისის მეფისგან, განუდგებიან იმას, და მიერთვიან ბერძნებს....

ქართლის—ცხოვრება იტყვის, რომ ვიდრე ფარნავაზი აზონს შეებმოდა, იმან «წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურისტანისა და წარსცა ძღვენი დიდ—ძალი და აღუთქვა მას მსახურება და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა; ხოლო ანტიო-

1) იქვე.—Hist. de la Géor. I, p. 39 n 1.

2) ვახუშტ. გეოგრ. გვ. 94.

3) Hist. de la Géor. I p. 150 n. 3.

ქოს შეიწყნარა ძღვენი მისი და უწოდა შვილად თვისად და წარმოსცა გვირგვინი, და უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდენ ფარნავაზს 1)»... «მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით 2)».. «სამოც-და-ხუთს წელს მეფობდა ფარნავაზ ნებიერად და მსახურებდა იგი ანტიოქოსს, მეფესა ასურისტანისასა 3)»... ამ გვარივე დამოკიდებულება თურმე ჰქონდათ ანტიოქთან შემდეგაც ფარნავაზის მოადგილე—მეფეებს, საურმაგს და მირვანს: «საურმაგ მე ფარნავაზისა და მირვან ნებროთიდი მსახურებდნენ მეფესა ასურისტანელთასა 4)». აი ქართლის—ცხოვრების ნამდვილი სიტყვები. თუ ფარნავაზმა განთავისუფლა საქართველო აზონისაგან ასურისტანის მეფის შემწეობით, თუ ანტიოქმავე დაადგა გვირგვინი ფარნავაზს და თუ როგორც ფარნავაზი, აგრეთვე იმისნი ორნი მოადგილენი მსახურობდნენ ასურისტანის მეფეს, ცხადია, საქართველო იყო სრულიად სირიის ბძანებლობას ქვეშ. ეს ასეც იყო. აქ ქართლის—ცხოვრების შესამოწმებლად ჩვენ ასურისტანის ისტორიას უნდა მივჰმართოთ.

ასურისტანი, ანუ უკეთ ვთქვათ, სირია ძველად შემდგარი იყო სამის ნაწილით. პირველი ანუ ნამდვილი სირია მდებარებდა ჩრდილოეთით, მეორე ანუ ფინიკია—შუა—გულად, მესამე ანუ პალესტინა—სამხრეთად. აქ უმთავრესს ქალაქებად ითვლებოდნენ დამასკი, ანტიოქია, ტირი, სიდონი და სხ. დასახლებული სემიტის მოდგმის ნათესავთაგან სირია იყო თავ და პირველად დაგლეჯილი რამდენსამე ტომებად, რომელნიც მუდამ ერთი მეორეს ებმოდნენ. სირია დაიმონავეს ჯერ ასირიიის მეფეებმა, მასუკან სპარსებმა, ბოლოს ალექსან-

1) ქართლ-ცხოვრ., გვ. 30.

2) იქვე, გვ. 31.

3) იქვე, გვ. 32.

4) იქვე, გვ. 33,34.

დრე — მაკედონელმა და ალექსანდრეს შემდეგ ის ეპყრათ გაყოლებით იმისს მოადგილეებს ლაომედონს, ანტიგონს, პტოლომეს და სელევკს ნიკატორს, რომელმაც იპსის ბრძოლის შემდეგ (301 წელს ქრ. წინ) ის სრულებით მიითვისა. სელევკმა დააფუძნა სირიის სამეფო, დაიჭირა მთელი მცირე — აზია, პონტი, სომხეთი, გაავრცელა თავისი სამფლობელო ჩრდილოეთით იაქსარტის მდინარემდე, აღმოსავლეთით ინდოეთამდე. უპირველესი ქალაქები იმისს დროს და იმისს მოადგილე — სელევკიდების მეფობაში იყო — ანტიოქია და სელევკია ტიგრის მდინარეზე; დედა — ქალაქათ კი ითვლებოდა ანტიოქია. სელევკს შეჰქონდა ყოველს თავის სამფლობელოში ბერძნული განათლება და ზნეობა 1). სელევკმა გაიჩინა კასპიის ზღვაზე თავისი ფლოტი; ეს ფლოტი მიანდო პეტროკლს, რომელსაც უნდა გამოეკვლია კასპიის ზღვის კიდეები. ახლად — აღმოჩენილს ამ ზღვის ნაწილს დაერქვა სელევკის ზღვა. სელევკს ჰქონდა ჰაზრი, რომ კასპიის ზღვა და შავიზღვა შაეერთებინა არხით. ამ მზადებაში ის მოკლეს 2). 250 წელს პართვიელები, რომელნიც კასპიის ზღვის სამხრეთ — აღმოსავლეთად ცხოვრობდნენ და 193—190 წელს რომაელები დაესხნენ სირიას და დასცეს ისა. 64 წელს ქრისტეს წინათ სირია რომის პროვინციად შეიქნა. პირველს საუკუნეში აქ გავრცელდა ქრისტეს სარწმუნოება და ანტიოქია პატრიარქის სატახტო ქალაქად დაიდვა.

ფარნავაზის მეფობის განმავლობაში სირიაში მეფობდნენ სელევკი ნიკატორი და ანტიოქი პირველი. ეს ის დრო იყო, როდესაც სირია უაღმატებულად ჰყვაოდა და შემძლებლობდა. ცხადია, რომ ქართლის — ცხოვრების თქმულება ვითომც «ანტიოქოზ უბრძანა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდნენ ფარნავაზს» რომ »ფარნავაზი, საურ-

---

1) *Шлоссера Всемірн Ист. томъ III стр.* 1—9.

2) Montesquieu, Esprit des lois. p. 288.

მაგი და მირდატი მსახურებდენ მეფესა ასურასტანელისასა» ნამდვილი შემთხვევა არის. აქ ესეც უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სელევკიდების დროს დაწყობილი დამოკიდებულება როგორათაც სომხეთში, აგრეთვე საქართველოში ჩვენ არ ვიცით როგორი იყო. ამაზე ფაქტები არა გვაქვს. ამას კი ვერ უარ ვყოფთ, რომ თუმცა პოლიტიკური როლი სირიას დიდ—ხანს არა ჰქონია, მაგრამ იმისს სწავლა—ხელოვნებას კი—ხანი უმოქმედნია სომხეთზედაც და საქართველოზედაც. ამას გვიმოწმებენ შემდეგის დროების ორიოდე ფაქტები. ჩვენ ვიცით, მაგალითებრ, რომ ვიდრე წმინდა მესრობი სომხურს ანბანს შემოიღებდა, სომხეთში მიღებული იყო სირიული ანბანი, რომ გრიგოლ განმანათლებელის მოადგილენი, მეოთხის საუკუნის დამდეგიდამ მეხუთის საუკუნის გასვლამდე იყვნენ სირიელნი; რომ ქრისტიანობა სომხეთში გაავრცელეს სირიელებმა; რომ იმათვე დააფუძნეს აქ მონასტრები და საეპისკოპოზო ტაძრები. თავდა პირველად თვით ბიბლია სომხეთში სირიულს ენაზე იხმარებოდა, წირვა ლოცვა იყო ამ ენაზედვე, თუმცა ხალხს სირიული არ ესმოდა 1). ჩვენ ვიცით, რომ ვიდრე საქართველოში საქათალიკოზო დაწესდებოდა, მე. V საუკ. გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკკლესია შეადგენდა ანტიოქიის ანუ სირიის სამწყსოს, და ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ—მთავარი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქისაგან ამოირჩეოდა და გამოიგზავნებოდა აქ 2). ვიცით აგრეთვე, ვინ იყვნენ ათ—ცამეტნი მამანი, რომელნიც ფარსმან მეფის დროს, მეექვსე საუკუნეში, შემოვიდნენ საქართველოში, დაემყარნენ სხვა და სხვა ადგილებში,

---

1) S – Mart. Mém. sur. l' Arm. t. I, p. 10 – 12,305—306. Lebeau, Histoire du Bas—Emp.. t. V, p. 318—320.

2) Hist. de la Géo. t. I, p. 192 n. 2; t. II, p. 432.

დააწყსეს მონასტრები და უდაბნოები და გაავრცელეს ქრისტეს აღსარება: ისინი იყვნენ სირიელები 1).

ქართლის—ცხოვრების თქმით, ფარნავაზის შემდეგ დაჯდა მეფედ იმისი შვილი საურმაგი. ქართლის ერისთავებმა განიზრახეს იმისი სიკვდილი, რადგანაც—სთქვეს იმათ—«არა კეთილ არს ჩვენდა, რათამცა ვემსახუროთ ნათესავსა ჩვენსა». საურმაგი ფარულად განივლტო დურძუკეთს, დედის ძმებთან. თან ჰყვანდა დედა, დურძუკელი, ნათესავი კავკასზისა 2). «მაშინ რომთა იგი აზნაურნი მივიდეს დურძუკეთსავე და რქვეს საურმაგს: «დიდი კეთილი დგას ჩვენზედა მამისა შენისა, ამისთვის ვართ ჩვენ მტკიცე ერთგულობასა შენსა». საურმაგი ეზრახა თავისს მამის დის წულს, ოსეთის მეფეს, შემოიკრიბა დურძუკეთი, დაიპყრა ქართლი, მოსრნა განდგომილნი, რომელთა შეუნდო, ხოლო დაამდაბლნა ქართლოსიანნი, წარჩინებულ ჰყვნა აზნაურნი, გაანამრავლნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასზისნი, რომელნიცა ტყვენვასმას საზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩომილ იყვნეს, სიმაგრისაგან ქვეყნისა და ვერღარა უტევდა დურძუკეთი. საურმაგმა წარმოიყვანა ყოველთა კავკასზიისა ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ჰყვნა და სხვანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სვანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად დედულნი და დაჯდა მცხეთას და უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა და ქართლისათა. და მან შექმნა ორნი კერპნი, აინინა და დანანა და ამართნა გზასა ზედა მცხეთისასა, და მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანისასა». საურმაგს ჰყვანდა ცოლად სპარსი, ბარდაველის ერისთავის ასული, რომელმაც შობა მხოლოდ ორი

2) Hist. de la Géor. t. I, p. 202—216. Addit. et 'Eclaircis., p. 125—132.

3) ქართლ-ცხოვრ. გვ. 32.

ქალი: ერთს იმათგანს შეუღლდა ქუჯის შვილი, მეორეს მირვან სპარ-სი, ნებროთიდის შთამომავალი, და თვით საურმაგის ცოლის ნათე-სავი. საურმაგმა იშვილა მირვანი და მისცა იმას ქალაქი გაჩიანი და საერისთავო სამშვილდისა, რომელიც შეადგენდა ფარნავაზს დაყო-ფით მეოთხე საერისთავოს, რომლის დედა—ციხე სახელი—იწოდე-ბოდა სამშვილდედვე, ანუ ორბეთად და მდებარებდა ქციის მდინარე-ზე. ამ საერისთავოს შეადგენდნენ—შემდეგში საბარათიანო, დბანის—ხევი, სკვირეთი, თრიალეთი, «წილი გაჩიოსა, გარდაბანს ზევითი; ამან გაჩიოს, ძემან ქართლოსისმან აღაშენა ქალაქი გაჩიანი, ანუ სანადირო—ქალაქი». სამშვილდის საერისთავოს ჰსაზღვრავდა: მდინარე სკვირეთი ანუ მაშავარი ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი 1). როგორც ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ, ორბეთით სახელ—იწოდა თურქების კოლონია ორბელიანებად 2)...

საურმაგი მოკვდა და 162 წელს დაჯდა ტახტზე ნებროთიდი მირვანი. «მირვანი იყო, იტყვის ქართლის—ცხოვრება, ტანით სრუ-ლი, მშვენიერი, მდიერი, მხნე და ქველი. იმისს მეფობაში დურძუკთ დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისა და საუარმაგისა, გარდამოვიდეს დურძუკეთს მეოფნი, გაუერთდნეს ჭართალეთს მეოფთ კავკაზიანთ, მოსტყვენეს კახეთი და ბაზალეთი, მდებარე კავკაზიის მთის გულში, ქსნის—ხევის საზღვრად 3)... დურძუკნი იყვნენ წინა—პარნი აწინ-დელის ქისტებისა, ინგუშებისა და ღლიღვლებისა, რომელნიც ერთს ნათესაობას შეადგენენ და საუბრობენ ერთს ენაზე. იმათი ენა, კლა-პროტის თქმით, თუმცა განსხვავდება სხვა კავკაზიელთ ენაში, მაგრამ

---

1) ვახუშტ. გეოგრაფია, გვ. 166,178. Hist. de la Géor. I, p. 22, 41 n. 5.

2) «მნათ». მარტი., გვ. 95,

3) ვახუშტ. გეოგრ. გვ. 220.

დიდად ემსგავსება ლეკების ენას, მეტადრე ყაზი—ყუმუყურს და ავარულს 1) ქისტებივე არიან ის თუშნი, რომელნიც წოველებად იწოდებიან. დურძუკნი ცხოვრობდნენ იქვე, სადაც ახლა ცხოვრობენ ინგუშნი და ღლიღველნი 2). დურძუკთ პირველ წინა—პარად ქართლის—ცხოვრება უჩვენებს თარგამოსს. ის იტყვის: «დურძუკი ძე ტირეთისა, უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი 3)». როდესაც თარგამოსიანნი ხაზართ ებრძოდნენ, მაშინ დურძუკნიც ჰშველოდნენ იმათ 4). დურძუკნი იყვნენ გამოჩენილი და ძლიერი ტომი კავკასიელთ ტომებში. ფარნავაზ მეფეს ჰყვანდა ცოლი დურძუკელთა 5), დედა საურმაგ მეფისა 6)... შემდეგ დურძუკელთ აშლისა, განაგრძობს ქართლის—ცხოვრება, «მირვან მეფემ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა, შემოკრიბნა ყოველნი სპანი, მხედარნი და ქვეითნი; ყოველნი კავკასიანნი იყვნეს სარწმუნოდ მორჩილებასა ზედა მირვანისასა. შემოკრიბნა ესე ყოველნი და წარემართა დურძუკეთს. შეკრბეს დურძუკნიცა და დაუდგეს სიმაგრეთა ზედა გარდასავალთა გზასა..... იქმნა ბრძოლა ძლიერი... და მოსწყდა ორ-

---

1) Klaproth Voyage au Mont Caucase, t. II, p. 45, 351,354.

2) Wakhoucht, Description géogr. de la Gèor. p. 454—458. იმისავე Carte générale des pays géorg.—Klaproth, Carte de la Géor. (1823) *Карта Кавказа къ 1-му тому ист. войны и владычества русскихъ на Кавказѣ Дубровина, 1870 г*

3) ქართლ-ცხ. გვ. 15,16,22.

4) იქვე, გვ. 22.

5) იქვე, გვ. 32.

6) იქვე, გვ. 33.

გნითვე ურიცხვი. უკანასკნელ იძლივნეს დურძუკნი და ივლტოდეს... და შევიდა მირვან დურძუკეთს და მოაოხრა დურძუკეთი და ჭართალი და შეაბნა კარნი ქვით-კირითა და უწოდა სახელად დარუბალ... შეიყვარეს იგი ყოველთა მკვიდრთა ქართლისათა და მსახურებდა იგი მეფესა ასურასტანელთასა. მას ჟამსა მეფე იქმნა სომხით რომელსა ერქუა არშაკ. ეზრახა მირვანს არშაკ და მისცა ასული თვისი ძესა არშაკისასა, არშაკს. მოკვდა მირვან და მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ფარნაჯომ». (112 წელს).

«ამან ფარნაჯომ უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება, და შექმნა კერპი სახელით ზადენ. ამისა შემდეგად შეიყვარა სჯული სპარსთა, ცეცხლისა მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის-მსახურნი და მოგვნი და დასხნეს იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგვთა, და იყო ცხადად გმობა კერპთა, ამისთვის მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქვნდათ კერპთა მიმართ. მაშინ შეითქვნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და ჰრქვეს. «მეფე ჩვენი გარდასდა სჯულსა მამათა ჩვენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა. შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენად. მოგვეც ძე შენი არშაკი, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა მეფეთა ჩვენთა. გვაშველე ძალი შენი და ვაოტოთ ფარნაჯომ შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკი და დედოფლად ჩვენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა. მაშინ სთნდა სომეხთ მეფესა განზრახვა ესე... და იგი ყოვლითა ძალითა მისითა წარემართა ქართლს. ხოლო ფარნაჯომ მეფემან მოუწოდა სპარსთა, შემოკრიბნა ქართველნიცა. ხოლო ერისთავნი ქართლისანი, განდგომილნი მოეგებნეს სომეხთა მეფესა ტაშირს, და მუნ შეკრიბნა ისმრავლე სომეხთა და ქართველთა. იქმნა მათ შორის ტაშირს ბრ-

ძალა ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი. იძლია და მოიკლა ფარნაჯომ, და მოსრნეს სპა მისი, ხოლო ძე ფარნაჯომისა მირვან წელიწადისა ერთისა ყრმა წარიყვანა მამა-მძუძემან მისმან და ივლტოდა სპარსეთს».

«ხოლო სომხთა მეფემან მოსცა ძე თვისი არშაკ (93 წელსა) და დაიპყრა ყოველი ქართლი და მეფობდა ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს მოამტკიცნეს ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას. მოკვდა არშაკ და მეფე იქმნა ძე მისი არტაკ (181 წელსა) 1)».

ასე დამყარდა საქართველოში დინასტია არსაკიდებისა ანუ არშაკიდებისა. არშაკიდები აღმოჩნდნენ პირველად პართიაში, გავრცელდნენ სომხეთში და სომხეთიდამ საქართველოში. ერთს დროს არშაკიდები ისე ძლიერნი იყვნენ და ისეთს როლს თამაშობდნენ მსოფლიო ისტორიაში, რომ არ შეიძლება არ შევდგეთ იმათზე.... გასაოცარს სახილველს წარმოგვიდგენს ის დრო, რომელსაც ჩვენ შევეხებით. ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე ასვლიდამ, 336 წელს ქრისტეს წინად, ვიდრე 65 წლამდე ქრისტეს შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაიჭირეს აზია, სულ სამმა საუკუნომ გაიარა. ამ მოკლე ჟამს აზიის პოლიტიკური მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ალექსანდრეს სიცოცხლეში დაფუძნდა დიდი მაკედონიის იმპერია, რომელმაც ჩანთქო სპარსეთი, ინდოეთი და მცირე-აზია; მოკვდა ალექსანდრე და ეს იმპერია ჩაიშალა. აღუყვავდა სელევკიდების სამფლობელო სირია; სირიამ დაჰფარა თითქმის მთელი მაკედონიის იმპერია. დაეცა სირია და გაძლიერდა პართია არშაკიდების ხელში. ამან თავისის მხრით დაამხო სირია და დაიჭირა იმისი ადგილი. ამ დროს განმავლობაში ერთ-ხანს თვით სომხეთმაც აღმოაჩინა თავისი ძალი. მასუკან

---

1) ქართლ-ცხოვრ. გვ. 33—35.

გაძლიერდა დიდი მიდრიდატის დროს პონტის სამფლობელო, რომ-მელიც კაი-ხანი რომის ძალას ებრძოდა და დასასრულ რომმა დასცა პონტი და გაავრცელა თავისი საზღვრები. ამ დროს სომხეთს და საქართველოს, უფრო სომხეთს, მიიზიდავს და სჩაგრავს ხან ერთი, ხან მეორე.... ჩვენ არ ვიცით ნამდვილად რომლის ნათესავის ფესვი-დამ მომდინარებდა პართიელების ტომი, რომელსაც არშაკიდები ეკუთვ-ნოდნენ. მეცნიერნი ამ საგანზე სხვა და სხვა გვარ აზრობენ. ზოგნი იტყვიან, ვითომც პართიელები შეადგენდნენ ინდო-ევროპიის ანუ სპა-რსის შტოს, ზოგნი—თურანის ანუ თურქების მოდგმას 1). პარ-თიელები ცხოვრობდნენ კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთად. იმათი მხარე, რომელსაც ახლა აღმოსავლეთის ტომნი უწოდებენ არაკ-აჯემს, შეადგენდა სრიავს და უწყლო ადგილს, აქა-იქ უტყო—მთიანს. პართი-ელები ხასიათით იყვნენ თავ-ხედნი, მტაცებელნი, ველურნი ვაჟკაცნი, ერთი—მეორესთან მუდამ მებრძოლნი. ისინი ცხოვრობდნენ გაცალ-კევებით, ჯგუფ-ჯგუფად; მოძრაობდნენ, მთა-ბარობდნენ. პართიელები მხოლოდ მაშინ შემოიკრებდნენ თავს, როდესაც საზოგადო განსა-ცდელს რასმე შეეჯახებოდნენ. ამ გვარი შემთხვევა ძალას აძლევდა თვით იმათს მეფეებს. პართიელებმა ნამეტნავად უფრო მაშინ აღმო-აჩინეს თავისი ძალა, როდესაც სელევკიდების სამეფო სისუსტეში შე-ვიდა $2\frac{1}{2}$ საუკუნის წინ ქრისტეს შობამდე. პართიის მეფემ არშაკმა განდევნა პართიიდამ სელევკიდები. როდესაც სირიის მეფე ანტიოქი პირველი მოკლულ იქმნა და სირია აირია, მაშინ სელევკიდების ძალა სრუ-ლებით დაეცა და პართიის სამეფო დამყარდა. არშაკიდებმა დაიჭირეს ვრ-ცელი ადგილი, ეფრატის მდინარიდამ ინდის მდინარემდე, ესე იგი: მე-სოპოტამია, ბაბილონია, მიდია, ადარბეიჯანი, სუზიანა, სპარსეთი, ჭირ-კანია და ყარამანია. პართია თავისის მხრით დაიმხო მხოლოდ მესამეს სა-უკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ, როდესაც, როგორც ამას თავისს ად-გილს ვუჩვენებთ, სპარსეთში გაძლიერდა ახალი დინასტია, ესე იგი სასსანიდები. ეფრატიდამ ვიდრე ინდოეთამდე არშაკიდებმა აღმოფხვ-რეს კვალი ბერძნულის განათლებისა. არშაკიდები მიტრიდატ პირვე-

---

1) *Шлоссера Всемір. Ист. I, стр. 121.*

ლის მეფის დროდამ (150 წ. ქრ. წინ) ცხოვრობდნენ ზამთარ ქ. ქტეზიფონში, ზაფხულ სხვა და სხვა ადგილს, მომატებულად კი მიდიის ქალაქში ეკბატანაში 1). მიტრიდატ პირველმა დაიპყრა თვით სომხეთი და 149 წელს მეფედ აქ დასვა თავისი უმცროსი ძმა ვაღარშაკი პირველი, რომელმაც დააფუძნა სომხეთის არშაკიდების დინასტია. დედა—ქალაქად ვაღარშაკმა ამოირჩია ქალაქი ნიზიბი ანუ მეცფინი ჩრდილო—მესოპოტამიაში. ეს ვაღარშაკი დიდად განთქმულია სომხის ისტორიაში. მოსე ქორენელის თქმით, იმან დაიპყრა პონტის ქალდეა და ლაზისტანი, მაკედონელის მოკავშირენი. მთიან—ტუიანი ტაიკი, ანუ ქართველების თაოს—კარი იმან დააწესა საზაფხულო დროს გასატარებლად და სანადირო ადგილად; შემოიყვანა თავისს ბძანებლობას ქვემ კავკაზიის ტომნი და დასდო იმათ ხარკი; დანიშნა თავისი მოადგილეები ალოვანში ანუ ალბანიაში, გუგარკში ანუ ჩვენს სომხეთში. გუგარელნი, მოსეს სიტყვით, მომდინარებენ იმ მირდატისაგან, რომელიც დარეხის მოადგილე იყო და რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაედგინა ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულთ იბერიელთ გამგედ. აქ მოსეს შემოაქვს მოწმობა აბიდენისა, რომელიც ამბობს: «ნაბუქოდონოსორმა შეკრიბა სპანი, დაეცა იბერიელების ქვეყანას, აიღო, დაიმონავა ისა, და ნაწილი იბერიის მცხოვრებთა დაასახლა პონტის ზღვის მარჯვნივ დსავლეთად» ვაღარშაკის სასარგებლოდ ისე არავის უღვაწნია, როგორათაც იღვაწა «შემძლემ და ბრძენმა» შამბუ ბაგარატმა. ბაგარატი იყო ურიათაგანი, მოსეს სჯულის აღმსარებელი. ის პირველი მიემხრო ვაღარშაკს, ამისთვის მიღებულ იქმნა სასახლეში, და სამსახურისამებრ დაიჯილდოვა. ის შეიქმნა მეფის მოა-

---

1) *Тамъ же, т. III, стр. 25–27.* Chevalier Chardin, Voyage en Perse, nouvelle edition par Langlés. Paris. 1811, t. II. p. 369—370.

დგ[illegible]ლედ და თერთმეტი ათასის ჯარის წინა—მმღრომელად სომხეთის დასავლეთის საზღვრებში, იქ, სადაც, მოსეს სიტყვით, სომხური ენა აღარ ისმოდა. ბაგარატს სხვა უმაღლესი ღირსებაც მიენიჭა: ის გახდა ასპეტი ანუ სპათა უფროსი; მხოლოდ იმას შეეძლო მემკვიდრობით გვირგვინის დადგეგენა მეფის თავზე; მხოლოდ ბაგარატს ჰქონდა ნება სასახლეში წარდგენის დროს შემოერტყა სარტყელი სამ რიგის მარგალიტით მორთული. თვით შინაგანი სომხეთის რიგი გაჭარშაგმა თურმე დააწყო. იმან დასდო კანონად, რომ ერთ—ერთი მეფის შვილი იმყოფებოდეს მეფესთან მემკვიდრეობის მისაღებად და დანარჩენი ვაჟები და ქალები კი ცხოვრობდნენ გვარის საუფლო მამულში. გაჭარშაგმა ააშენა არმავირის ქალაქში ტაძარი და აქ აღმართა სტატუები მზისა, მთვარისა და თავისს წინა-პართა; ტაძრის მსახურთ მიაგო დიდი პატივი და შეჰრიცხა იგინი პირველ გვართ რიგში; დაადგინა მსაჯულნი სასახლეში, ქალაქებში და სოფლებში; შექმნა მოქალაქენი და განაწესა, რომ სოფლის მცხოვრებნი პატივს სცემდნენ იმათ დიდ-გვართ თანასწორ. სამეფო პალატისთვის დაამყარა რიგი შემოსვლისა და გასვლისა, სადღესასწაულო დღეებისა და ნადიმობისა. იმან განაწესა ოთხ-გვარი სპა სასახლის დასაცველად. ეს სპანი იყვნენ შემდგარნი შეიარაღებულთ პირთაგან, რომელნიც ჭაოსისგან მომდინარეობდნენ და საშვილი—შვილოდ ფლობდნენ სოფლებს და დაბებს. «არ ვიცით, ამბობს მოსე, ამოიხოცაო თუ არა ძველი მთამომავლობა, ანუ აშლილობის გამო ამოწყვეტილ იქმნა და ამ სპათა ნაცვლად შესდგნენ სხვანი სასახლის სპანი. ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვთქვაო, რომ პირველნი სპათა რიგნი მომდინარებდნენ მეფეების სახლიდამ, მსაგვსად იბერიელთ სეფე—წულთა». ეს სეფე—წულნი თვით ქართლის—ცხოვრებაშიაც იხსენებიან 1).

---

1) *Моисея Хоренскаго Исторія Арменіи, стр. 79 – 87.* Hist. de la Géor. t. I, p. 159,228.

ვაჭარშაკმა იმეფა 22 წელი და შემდეგ გამეფდა იმისი შვილი არშაკი პირველი, რომელიც ცამეტის წლის განმავლობაში ისე განითქვა, როგორათაც ვიჭარშაკი. იმან დაამშვიდა მრავალნი ტომნი კავკაზიისანი, რომელნიც ეძებდნენ განთავისუფლებას სომხეთის მეფის ბძანებლობისაგან. შემდეგ არშაკისა დაჯდა მეფედ ძე არშაკისა არდაშეზი პირველი. ამ არდაშეზის ძე იყო ის არშაკი, რომელიც ქართლის—ცხოვრების თქმით ქართველებმა გამოსთხოვეს თავიანთ მეფედ და რომელმაც დააფუძნა საქართველოში არშაკიდების დინასტია. თუ დასაჯერებელია სომხის ისტორიის თქმულება, არდაშეზმა დაიმონავა მთელი მცირე—აზია, განვლო ეგეის ზღვა და შევიდა ჯარით საბერძნეთში. აქ ის მოიკლა თავისისავე კაცისაგან. არდაშეზმა დასტოვა მცირე—წლოვანი შვილი ტიგრანი მეორე, რომელიც ბერძნების და რომაელების სიტყვით, რაოდენიმე დრო პართიელების ბძანებლობას ქვეშ იმყოფებოდა. ტიგრანმა მალე მოიპოვა თავისუფლება· იმისს დროს სომხეთმა დაიჭირა ადგილი უპირველესის აზიის სახელმწიფოების რიცხვში. ტიგრანმა დაიპყრა სირია და მრავალი თემი მცირე—აზიისა, დაეცა არშაკიდების შტოს, რომელიც სპარსეთში მეფობდა. მესოპოტამია, ადიაბენი და ადარბედაგანი იმისს ხელში ჩაცვივდნენ. იმან სპარსების მეფეების შემდეგ პირველმა მიითვისა ტიტული: მეფეთ—მეფე. გაამაყებულმა თავისის ძლევა—წარმატებით ტიგრანმა მიჭკერძა პონტის მეფეს მიტრიდატს, როდესაც მიტრიდატი რომაელებს ებრძოდა 1).

რომაელები, ანუ უკეთ ვთქვათ, იტალიელები იყვნენ აღმოცენილნი იმ ფესვიდამ, რომელსაც ეკუთნოდნენ ბერძენნი, მაგრამ დროს განმავლობაში ორთავე ამ ტომთ ენა, ხასიათი და მიმართულობა ერ-

---

1) S—Martin, Mém. sur l' Armenie, t. I, p. 290—292. *Шлосс. Всемір. Ист. т. IV, стр. 26.*

თი მეორეს სრულებით დაჰშორდნენ. იტალია თავდა პირველად იყო დასახლებული სხვა და სხვა ტომთაგან, რომელნიც ურთი-ერთთან ფედერაციით იყვნე შეკავშირებულნი. მოვიდნენ რომაელნი, დაიმონავეს ისინი და იმათი ფედერაცია ჩაშალეს. რომაელებს აქ ჯერ ჰყვანდათ მეფეები, მას უკან დააწესეს იმათ რესპუბლიკა, რომელსაც განაგებდნენ წლით-წლად ახალ-ახალი კონსულები, ბოლოს იმათ დაამყარეს იმპერია. მთელი რომის ისტორია თავიდამ დასასრულამდე დაფუძნებული იყო შეუწყვეტელს სისხლის ღვრაზე. იმათ წინ ვერავინ დაუდგა. იტალიის დამონავების შემდეგ იმათ დასცეს მდიდარი და აღებ-მიმცემი კართაგენი, დაიჭირეს სიცილია, ისპანია, გალლია და ნუმიდია. გასაოცარა იყო ის შემძლეობა და სამხედრო დიდება, რომელიც რომის იმპერიამ აღმოიჩინა. იმისს მფლობელობაში ჩაცვივდნენ რეინი, დუნაი, პონტი ევქსინისა ანუ შავი ზღვა, ეფრატი, აფრიკა, ატლანტიკა, ბრიტანია; ერთის სიტყვით, მათელი ქვეყანა, სადაც კი იმას ხელი მიუწვდა. რომაელების დიდების ცენტრი იყო ქალაქი რომი, რომელიც დაარსდა ქრისტეს შობის წინ 753 წელს. აქ ყოველ წლივ შემოჰყვანდათ ბორკილებით დამარცხებული მეფეები და დიდ—ძალი დამონავებული ხალხი. აკლებულის და აოხრებულის მხარის სიმდიდრე აქვე შემოჰქონდათ. თვით იმათი ღმერთები რომაელების ღმერთების ფეხ ქვეშ ემხობოდნენ. დაჭერილი მხარე რომის პროვინციად შეირიცხებოდა. უკეთესს ადგილებში უცხო-ტომთ საკუთრებას და ადგილ მამულს რომაელები თვითონ იყოფდნენ. თვით-ნებას და მტაცებლობას პროკონსულებისას და იმათის მოხელეებისას, რომელნიც პროვინციებს განაგებდნენ, საზღვარი არა ჰქონდა. რა გვარ ეპყრობოდნენ რომაელები უცხო-ქვეყნებს, ეს იქიდამ სჩანს, რომ როდესაც სულლამ სძლია მიტრიდატს, იმან ისეთს მდგომარეობაში ჩააგდო მცირე—აზია, სადაც ჰყვაოდნენ ბერძნული განათლება, აღებ-მიცემობა და კეთილ-დღეობა, რომ შემდეგ მცირე-აზიამ სულის მობრუნება ველარ შეიძლო. ქა-

ლაქები, ტაძრები და საზოგადო შენობები სულლამ სრულებით გა-ცრცვნა: აქაურნი მცხოვრებნი იძულებულ იყვნენ იმისის ჯარისთვის ეძლევინათ მდიდრული საზდო, ორ-გვარი ტან-საცმელი და დღიური ჯამაგირი ფულად $3\,^1/_2$ მანეთი თეთრი თვითო ჯარის კაცზე და უფ-რო მეტი ჯარის უფროსებზე; გარდა ამისა სულლამ ხარკად წაართო იმათ 26 მილლიონი მანეთი. ფულის საშოვნელად ქალაქები ესესხნენ რომისავე კაპიტალისტებს უზომოს სარგებლით, და ამის გამო მცი-რე-აზია გაღარიბდა და დაემხო.

საკუთარი საზღვრების გავრცელება, ხალხის აკლება და გაცვრ-ცვნა — აი რა იყო მუდამ რომაელების მოქმედება. მიზეზიც ამაში მდო-გომარეობდა, რომ რომის ცივილიზაცია შორს დარჩა საბერძნეთის ცივილიზაციაზე. — ვიდრე საბერძნეთი დაეცემოდა ანუ როდესაც უკეთ ჰყვაოდა ის იყო უკეთესი ყველა ძველს ქვეყნებში. აქ სწავლა ხელოვ-ნებას და ყოფა-ცხოვრებას დიდი მოძრაობა ჰქონდა. განათლება აქ იყო გავრცელებული, ანუ ვრცელდებოდა თვით ხალხში. აქ სახალხო შკოლებს ვპოვულობთ მრავალს. აქ ცხოვრების რიგი ისე იყო დამ-ყარებული, რომ ყოველივე ადამიანის ფეხის გადადგმა სწავლა იყო. ბერძნებს უყვარდათ საზოგადოებაში ყოფნა, ხშირი ყრილობა, სადაც ისინი მუსაიფობდნენ სხვა და სხვა საგანზე — პოლიტიკაზე, მეცნიე-რებაზე, პოეზიაზე. აქ არ იყო დესპოტიზმი ანუ შეუზღუდული თვით — უფლება, კერძო პირთაგან მთელის საზოგადოების მძლავრობა, და-მონაობა. აქ სახალხო მართველობას ჰქონდა თავისუფალი სამართვე-ლი. აქ პატივი ედვა ადამიანს, როგორც ადამიანს. აქ შთამომავლო-ბას არ უყურებდნენ. აქ აფასებდნენ ნიჭიერებას, პირადს ღირსებას, ნამსახურობას. აქ თვით ნივთიერი მქონებლობა ერთ-გვარი იყო. აქ არ იყვნენ არც დიდად მდიდარნი, და, მაშასადამე, არც დიდად ღა-რიბნი. საბერძნეთში ყველანი მოქალაქენი იყვნენ და თვითოეული იმათ-განი მონაწილეობას მიიღებდა თავისის მამულის მართვაში. როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო საჭიროება ანუ ბრძოლის დაწყების საქმე მოითხოვდა განხილვას, აწონას, მაშინ ყველას ეკითხებოდა საკუთარი აზრი. მთელი საბერძნეთი დაყოფილი იყო რამდენსამე ნაწილებად, რომელთაც სხვა და სხვა სამმართველო წესი ჰქონდათ მითვისებული; ზოგან ვპოვულობთ რესპუბლიკას, ზოგან-მონარხიას, ზოგან-რამდენიმე ნაწილი ტომისა ფედერაციას შეადგენდა, ესე იგი, ისინი იყვნენ დამოკიდებულნი ერთი-ერთთან საზოგადო კავშირის წეს-დებით. ბერძნების სარწმუნოება იყო მრავალ-ღმერთობა, რომელიც დიდად განსხვავდებოდა აღმოსავლეთის კერპთ-მსახურობაში. საბერძნეთის ღმერთები გამოჰხატავდნენ და წარმოადგენენ ბუნების უმაღლესს ელემენტებს და გმირულს თუ ისტორიულს პირთ. თვით შინაური ყოფა-ცხოვრება აქ იყო სხვა გვარი. დედა-კაცს და სახლის-წულებს პატივი ედოთ. სპარტაში თავაზით უყურებდნენ უფრო იმ დედა-კაცს, რომელსაც შვილები ჰყვანდა. ათინაში სჯული ნებას აძლევდა მხოლოდ ერთის კანონიერის ცოლის შერთვისას. აქ მდედრულს სქესს ისე უყურებდნენ, როგორც თანა-სწორს მამა-კაცისას. ამ გვარს მდგომარეობას მდიდრისას სხვაგან ვერა ვპოვულობთ. საბერძნეთში მონაობაც სუსტი იყო. მხოლოდ ერთს ადგილს, ლაკედემონში, ჰილოტები იყვნენ სასტიკს მდგომარეობაში; ამისთვისაც იქ აღრეულობა იყო ხშირი. ათინაში კი სჯული მოითხოვდა, რომ თუ მებატონე ცუდად ეპყრობოდა თავისს მონას, ამას სრული უფლება ჰქონდა იმაზე საჩივარი შეეტანა სამსჯავროში, რომლის განჩინებითაც მებატონე ისჯებოდა და ჰკარგავდა მონას. ბერძნები თვით უცხო-ქვეყნების ხალხთ არ უმზერდნენ შეურაცხებით. მართალია ბერძნები უწოდნენ იმათ ბარბაროსებად, მაგრამ იმათს თვალში ბარბაროსებს მაინც ადამიანის ღირსება ჰქონდათ. მსვლელობა უცხო-ტომებში და სხვა გვარი დამოკიდებულობა იმათთან ბერძნებს არ მიაჩნდათ საზიზღრად. მხოლოდ ბერძნებმა გადმოგვცეს უკეთესი აღწერაები ძველის ქვეყნის ზნეობისა და ყოფა-ცხოვრებისა. ეს ამტ-

ჯიცებს, რომ ისინი უცხო-ტომთ უახლოვდებოდნენ. ბერძნები ასახლებდნენ სხვა და სხვა მხარეებში თავიანთს კოლონიებს, რომლებიც სრულებით არ ესხებოდანენ იმათს ენას, იმათს სარწმუნოებას, იმათს ღმერთებს, იმათს წესდებას და თავისუფლებას. ბერძნები მხოლოდ ალებ-მიცემობდნენ ბარბაროსებთან და ამასთანავე ცდილობდნენ, რომ გარდაეცათ ამათთვის ალებ მიცემობის სიყვარული, თავიანთი ენა და ცივილიზაცია. როდესაც საბერძნეთი დაეცა, ზოგიერთნი ამ ბარბაროსთაგანნი თვითონაც დაადგნენ განათლებას, რომელიც ბერძნებისაგანვე იყო იმათში დათესილი.

შემდეგ როგორც ბარბაროსები, ისე რომაელები ბერძნების გავლენას ქვეშ იყვნენ. აქამომდე მთელს იტალიაში ძველი გაივანტვით დაშთენილი, მილებით გაბმული არხები, შოსე-გზები, ტაძრები, თეატრები, ტრიუმფის ალაყაფის-კარები, საკვირვლად მტკიცედ და მშვენივრად ნაშენნი, სხვა და სხვა გვარის სტატუებით შემკულნი, ყოველივე ეს ბერძნების ხელოვნების მიბაძვა იყო. თვით იქაური შკოლები იყო დაფუძნებული ბერძნებისაგან, რომელნიც საბერძნეთის დაცემის წინად და შემდეგ რომში გადასახლდნენ.—დესპოტობა და მონაობა რომაელებს ბუნებად ჰქონდათ გადაქცეული. რომაელი თავისს თავს და თავისს ოჯახობას არ ეკუთნოდა: სულით და ხორცით ის იყო სახელმწიფოს მონა, იმისს გარეგანს დიდებას ემსახურებოდა და იმის მსხვერპლად ჰქონდა თავი დადებული. ცოლი, შვილები, სახლის-წულნი იმისს ტირანიას ემონავებოდნენ; იმათი სიცოცხლე იმისს ხელში იყო. მონაობის მდგომარეობა არ სად ყოფილა ისე სასტიკი, როგორც აქ. რამოდენათაც რომი ძლიერდებოდა, იმოდენად მონების რიცხვი ვრცელდებოდა. მონები ეკუთნოდნენ აოხრებულს და გავერანებულს მხარეებს, საიდამაც ისინი აურაცხელი რიცხვი შემოჰყავდათ. ფასი მონებს ედოთ მცირე. მონა სხვებში ადვილად გაირჩეოდა: თავი იმას ჰქონდა შეპარსული, ყურები შეჭრილი, ტან საცმელი განსხვავებული.

იმას არ ჰქონდა ნება ცოლის შერთვისა, თუ არ მებატონის ნება-რთვით. იმას არც სარჩივარი შეეძლო, არც მოწმობა. მონა იყო ნივთი. სასჯელი იმისთვის დაწესებული იყო ბარბაროზული: კეტით ცემა, შიმშილი, სიკვდილი, მხეცებისთვის მიგდება დასაგლეჯად. ისტორიას ჯერ არც ერთს განათლებულს ხალხში არ შეუნიშნავს ისეთი საზოგადოდ ზნეობის დაცემა, როგორიც იმან რომის იმპერიაში უჩვენა. მდიდარნი იყვნენ ჩაფლულნი უკიდურესს განცხრომაში, რომელიც ყოველგან ანდაზად არის დაშთენილი. როდესაც ეს გარყვნილობა უფრო გაძლიერდა, იშვიათი არ იყო, რომ ერთს და იმავე სადილზე ასი-ათასობით ფული იხარჯებოდა. განგებ სასმელს სვამდნენ, რომ სტომაქი გაეწმინდათ და ნადიმი გაეგრძელებინათ. ასე უგრძნობელნი იყვნენ რომის მდიდარნი, რომ იმათ გარეშემო მრავალი მალი ხალხი შიმშილით იხოცებოდა და იმათში მონაწილეობას ვერ აღვიძებდა. რომის ჩვეულებრივი სიამოვნება და დროს-გატარება იყო გლადიატორების ბრძოლა. «საუკუნო ქალაქისთვის» სადღესასწაულოდ იყო მიღებული ის დღე, როდესაც ბრძოლა უნდა ყოფილიყო ცირკში. ბედკრულს და შიმშილით შესუსტებულს მონებს ათასობით მისცემდნენ გაგეშებულს და განძვინებულს გარეულს მხეცებს, რომელნიც იმათ უწყალოდ ჰგლეჯდნენ და აურაცხელს ხალხის გროვას აღტაცებაში მოჰყავდნენ 1).

რომაელები პირველად გაერივნენ მცირე-აზიის საქმეებში მეხუთის სირიის მეფის ანტიოქის დროს, რომელიც ჰფლობდა მომატებულს ნაწილს მცირე-აზიისას ინდიდამ საშუალო—ქვეყნის ზღვამდე. ამ ჟამად ღირს–შესანიშნავს სამთავროებს მცირე-აზიისას შეადგენდნენ: ბითინია, პაფლაგონია, პონტი, პერგამი, გალატია, დასახლებული ახლად მოსულის ინდო-ევროპიულის ანუ ტევტონურის ტომისაგან, კაპპადოკია და სხვ. შემთხვევა რომაელების შემოსვლისა მცი-

1) *Шлоссера Всемірн. Ист. т. I, стр. 264—269, 276—280, 340, 342; т. III, стр. 457—475, IV, стр. 547.*

რე-აზიაში იმათ თვით ანტიოქმა მისცა. ანტიოქი ცდილობდა, რომ ეგვიპტის მცირე წლოვანის მეფის პტოლომე ეპიფანისთვის თვიდამ აეცილებინა რომაელების გამგეობა და გაევრცელებინა თავისი გავლენა ეგვიპტეზე. რომაელები და ანტიოქი შეიბრძოლნენ. რომაელებმა სძლიეს 190 წელს ქრისტეს წინად და ჩამოართვეს ანტიოქს ნაწილი მცირე-აზიისა, რომელიც ტავრის მთის იქით მდებარეობდა. ვიდრე რომის კომმისარები დააბოლოებდნენ ამ საქმეს ანტიოქთან კონსული მანლი თავისის ჯარით შევიდა მცირე-აზიის შუა-გულში და აქ შეება გალატებს, რომელნიც ანტიოქის მოკავშირენი იყვნენ 1). აქ რომაელები შეეჯახნენ პონტის მეფეს მიტრიდატს მეექვსეს, რომელიც ყველა მცირე-აზიის მფლობელებში შემძლე და საშიშარი იყო.

პონტს ჰსაზღვრავდა: ჩრდილოეთით პონტის ზღვა, აღმოსავლეთით საქართველოს პირი და სომხეთი, დასავლეთით-პაფლაგონია, სამხრეთით-კაპპადოკია. პონტში მდებარეობდნენ სხვათა შორის ბერძნის ქალაქები ამისი, ტრაპიზონი, აგრეთვე კერასუნი, პოლემონიუმი, თემის-ური, ნეოკესარია. პონტში ცხოვრობდნენ სხვა და სხვა ტომნი. პონტის მეფეები თავიანთ შთამომავლობას აწარმოებდნენ სპარსეთის მეფის კიროსისაგან და უფრო მიტრიდატებად იწოდებოდნენ. ისინი თავდა პირველად სპარსეთის ბატონობის ქვეშ იყვნენ და იმისს სასატრაპოს შეადგენდნენ. მიტრიდატებმა დაიჭირეს ბერძნის ქალაქები და თავისს სამფლობელოში გაავრცელეს ბერძნული განათლება და ყოფა-ცხოვრება, დაიმონავეს ადგილობრივნი მთის ტომნი ტიბარენები, სალიბები, მასუნეკები და სხ. მეორის საუკუნის დამდეგ ქრისტეს შობამდე ფარნაკმა პირველმა, მიტრიდატ მეოთხის შვილმა, დაიპყრა უმეტესად აღუავებული და მჭიდროდ დასახლებული ბერძნის ქალაქი სინოპი, რომელიც დედა-ქალაქად დაწესდა. სინოპის ფლოტი მიტრიდატებმა

---

1) V. S—Mart. Asie Mineure, t. II, p, 348,351—354.

შეისაკუთრეს. სინოპი იმათ ხელში უფრო აღყვავდა და შეიმკო სხვა და სხვა არხიტეკტურის ნაწარმოებით. პონტის სამეფო უაღრესად გაძლიერდა პირველის საუკუნის დამდეგ ქრისტეს წინ ფარნაკ პირველის შვილის-შვილის მიტრიდატ დიდის დროს 1). მიტრიდატი ეომა რომაელებს ოცდა ათი წელი. სილლა, ლუკულლი და პომპეი ერთი მეორის შემდეგ ებრძოდნენ იმას რომის ძალით და თუმცა მიტრიდატი რამდენჯერმე დამარცხდა, მაგრამ ის მუდამ შეურყეველად იყო. ძლეული ის არა ჰკარგავდა თავისის ხასიათის ძალას და ახოვანებას. იმისი მძვინვარე სიძულილი რომაელებთადმი ძლევის შემდეგ უფრო აღვიძებდა იმისს ენერგიას და აძლიერებდა იმისის ღონის-ძიების წყაროს. მიტრიდატის მოკავშირენი იყვნენ: იმისი სიძე სომხეთის მეფე ტიგრანი, იბერიის მეფე არშაკის შვილი არტაგი, რომაელების ორტაგოსი და ალბანიის ოროზესი. ამ დროს მიტრიდატს ეჭირა კოლხიდა, საიდამაც გამოჰქონდა თავისის ფლოტისთვის სახმარი ხე—ტყე და რომლის მმართველებათაც ჰყვანდა თავისნი ერთგულნი კაცნი. იმათ შორის ისხენიება სტრაბონის ბიძა მოაფარნი. მიტრიდატს ეჭირა აგრეთვე უმეტესი ნაწილი აფხაზეთისა და ჩერქეზეთისა. იმასვე ექვემდებარებოდა ბოსფორის სამფლობელო, რომელიც იმას დაუთმო ფერიზადმა მესამემ, რადგანაც ფერიზადმა ვერ შესძლო ბოსფორის შემაგრება, როდესაც იმას სკვითები დაესხნენ. მიტრიდატმა სძლია და დაამშვიდა სკვითები. სამმა ხან-გრძლივმა შებრძოლებამ რომაელებთან არ მისცა მიტრიდატს წარმატება. 65 წელს მიტრიდატი კიდევ შეუდგა ბრძოლას და კიდევ იძლია: აქ იმან დაჰკარგა 10,000 კაცი და თვით მცირე ჯარით განივლტო და მიჰმართა თავისს სიძეს ტიგრანს. ტიგრანმა ის არ შეიწყნარა. მაშინ მიტრიდატი ეფრატის კიდიდამ გაემგზავრა კოლხიდისკენ, რომელსაც განაგებდა ათალი. აქ

---

1) *Шлоссера Всемiрн. Ист. т. III, стр. 12—13.*

იმან დაჰყო ზამთარი დიოსკურიაში, საიდამაც ბოსფორში გასვლა განიზრახა. პომპეი შევიდა კოლხიდაში, მაგრამ მიტრიდატს ვერა სდია გზის შიშის გამო და დარჩა ადგილობრივ. პომპეიმ დაჰსაჯა მიტრიდატის მოკავშირენი. ათალი დაიჭირა და კოლხიდის გამგედ არისტარგი დასო. ამ დროს იბერიის მეფემ არტაგმა და ალბანიის მეფემ ორაზესმა შეკრიბეს 75,000 ჯარი მტკვრის პირად. ეს ცნობა მიიღო პომპეიმ, როდესაც ის არგონავტების ექსპედიციის და ოქროს რუნის ისტორიის გამოძიებაში იყო. პომპეიმ მსწრაფელ მიჰმართა საომრად. არ ვიცით რა გზას დაადგა ისა. ვიცით მხოლოდ, რომ პომპეიმ გამართა ხიდი მტკვარზე ვიდრე მეფეებს შეებმოდა. შეშინებულნი მეფენი შეეფარდნენ ტყეს; პომპეიმ შემოარტყა იმათ ჯარი, მისცა ცეცხლი ტყეს და ამოჰხოცა ვინც კი ხელში ჩაუცვივდა. მეფეები დამარცხდნენ და მიეცნენ პომპეის, რომელმაც წაართვა იმათ დიდი ხარჯი ამანათებითურთ. რომაელების ჯარი დაბრუნდა დიდ-ძალის ტყვებით დატვირთული 1). თვით სამოც და ცამეტის წლის მოხუცი მიტრიდატი უარ-ჰყვეს და დასტოვეს ყველა უახლოესმა ნათესავებმა და იმან საკუთარის ხელით მოიკლა თავი. მიტრიდატის გვამი იმისმავე შვილმა ფარნაკმა რომაელებს მისცა, დაემონავა რომს და რომის მოწყალეობით ბოსფორის მფლობელი შეიქნა 2) პონტი, ბითინია და ნაწილი კილიკიისა რომის პროვინციებად შეირიცხნენ. ეს იყო 65 წელს. ამ გვარადვე შეიცვალა სვე გალატიისა 25 და კაპპადოკიისა 17 წელს 3).

პომპეის ცხოვრება და მოქმედება როგორათაც მცირე-აზიაში, აგრეთვე იმისს გარეთ აღწერილია პლუტარხისაგან, რომელიც 48

1) Dubois Voyage... t. II, p. 44—47.

2) *Шлоссера Всемірн. Ист. т. IV, стр. 35, 36.*

3) Asie Mineure. t. II, p. 362, 363.

წელს ქრისტეს შობის წინ იშვა. რადგანაც აქ ჩვენთვის ღირს-საც-ნობელია მხოლოდ ის ფაქტები, რომელნიც შეეხებიან პომპეის მოღვა-წეობას სომხეთში და საქართველოში, ამისთვის ჩვენ მხოლოდ იმათ მივაქცევთ ჩვენის მკითხველის ყურადღებას. ჩვენს მხარეზე პლუტარხს თავისი ცნობა გამოუკრებია თეოფანეს წერილებიდამ, რომელიც პომპეის თურმე დაჴყვებოდა 1). აქ არ შეიძლება არ შევდგეთ ერთს ფაქტზე. რო-გორათაც პლუტარხი, აგრეთვე სხვა რომაელების დროს მწერლები, რო-მელნიც ჩვენს მხარეს შეეხებიან, თითქმის ყველანი ბერძნები იყვნენ. უკეთესნი იმათში არიან: სკიმნუსი და სტრაბონი, რომელნიც ჴყვაო-დნენ ქრისტეს წინათ უკანასკნელის საუკუნის გასულს და შემდეგ პირველის საუკუნის დამდეგს და რომელთაც გადმოგვცეს: პირველმა აღწერა პონტის ზღვის პირისა ფაზიდამ ბოსფორამდე 2), მეორემ — მთელი სურათი კავკასიისა და იმისის ტომებისა; ქრისტეს შემდეგ მწერალნი — მეორის საუკუნისა აპპიანი და არრიანი, მეექვსისა — პრო-კოპი იყვნენ აგრეთვე ბერძნები. ამათ ჩვენ «საქართველოში» თავისს ადგილს შევხვდებით. ძველს ავტორებში ღირს — სახსოვარი ჩვენთვის რომაელთ მწერალთაგანი არის მხოლოდ ტაციტი, უკეთესი და გან-ვითარებული ყველა იმათს ისტორიკებში. ის ცხოვრობდა პირ-ველის საუკუნის ნახევარს ქრისტეს შობამდე და იმან გადმოგვცა რა-მდენიმე სურათი ჩვენს მხარეზე. — ეს ფაქტები ამას გვიმტკიცებს, რომ რომაელები ისე ცნობის-მოყვარენი არ იყვნენ, როგორათაც ბერძნე-ბი, რომ ბერძნები — ეს ზემოთაც ვთქვით — განათლებით ბევრით მაღლა იდგნენ იმათზედ.... პლუტარხის ისტორიულს თქმულებაში პომპეიზე გამომეტყველებს როგორათაც ხასიათი რომაელებისა, როგორათაც იმათი სიხარბე და მტაცებლობა, აგრეთვე იმათი აზრი და ცნობა ჩვენს მხარეზე....

1) Lebeau, Hist. du B — Emp. t. III, p. 381, n. 2.
2) Asie Mineure, t. II, p. 368.

ჩვენ მოვიხსენეთ, რომ როდესაც მიტრიდატი პომპეიმ სამუდამოდ დასცა, მაშინ ის გაემგზავრა სომხეთისკენ თავისს სიძესთან ტიგრანთან. ტიგრანმა არა თუ არ შეიწყნარა ისა, ასი ტალანტიც 1) დაუნიშნა ჯილდოდ ვინც მიტრიდატს მოჰკლავდა და იმისს თავს იმას წარუდგენდა. ეს იყო მიზეზი, პლუტარხის სიტყვით, რომ ბედ-კრულმა მიტრიდატმა ეფრატის მდინარის სათავე გაიარა და საჩქაროდ მიჰმართა კოლხიდას. პომპეი შევიდა სომხეთში; აქ ის მიიწვია ტიგრან-მეფის შვილმა უმაწვილმა ტიგრანმა და თვითონაც მიეგება იმას არაქსის მდინარეზე. არაქს, ამბობს პლუტარხი, იქვე აქვს თავისი სათავე, საიდამაც ეფრატი გამოდინარებს, თუმცა ის აღმოსავლეთის მხრივ მიემართება და კასპიის ზღვაში ჩადის. ტიგრან-მეფემ თავისის დედა-ქალაქის კარი რომაელების ჯარს გაუღო და პომპეის მიჰმართა თავის დასაკვრელად. როდესაც ის რომაელების სანგარს მიუახლოვდა ცხენით, მაშინ ლიკტორებმა უბძანეს იმას, რომ ცხენიდამ გადმომხდარიყო, რადგანაც აქამომდე მაგალითი არ ყოფილა, რომ მხედარს ვისმე გაებედნოს იმათს ბანაკში შესვლა. ტიგრანი ბძანებას დაჰმორჩილდა. გარდა ამისა იმან მოიხსნა ხმალი და გადასცა ლიკტორებს. წარუდგა რა პომპეის იმან აიხადა გვირგვინი, დასდო პომპეის ფეხ-ქვეშ, დაემხო დედა-მიწას და მიიწია პომპეის მუხლზე საამბოროდ. პომპეიმ ის წამოაყენა და თავისს კარავში მიიწვია. პომპეი ტიგრანს დაჰპირდა ისევ იმ ადგილებს, რაც იმას აქამომდე სჭერიყო, თვით შვილს დაუნიშნა სოფენის სამფლობელო, მაგრამ ამასთანავე მოსთხოვა ხუთი ათასი ტალანტი (თითქმის ცხრა მილიონ ნახევარი მანეთი თეთრი). დამშვიდებულმა ტიგრანმა მიიღო ეს ბძანება და გარდა ამისა აღუთქვა თვითოეულს იმისს ჯარის-კაცს თუმანზე მეტი, თვითოეულს ცენტურიონს

1) თვითო ტალანტი შეადგენდა ჩვენებურად 135 თუმანს თეთრს ფულს.

ოც და ორ თუმან ნახევარი, თვითოეულს ტრიბუნს თვითო ტალანტი. ყმაწვილი ტიგრანი არ დარჩა კმაყოფილი. როდესაც პომპეიმ მამა-შვილი საუზმეზე მიიწვია, იმან უპასუხა: არც შენა ხარო საჭირო და არც შენი მოწყალეობაო. პომპეიმ ის შეაბორკილებინა და თავისს სატრიუმფოდ დანიშნა 1). თვით იბერიის მეფემ მიართო პომპეის მძიმე ოქროს საწოლი და საჯდომი ტრონითურთ თავისის ერთგულობის ნიშნად 2).

«პომპეიმ დასტოვა — განაგრძნობს პლუტარხი — აფრანიუსი სომხეთის მცველად და თვითონ მიტრიდატის კვალს შეუდგა. იმისი გზა გადიოდა იმ ტომთ საშუალ, რომელნიც კავკაზიის გარეშემო ცხოვრობდნენ. იმათ შორის უფრო შემძლენი არიან ალბანელნი და იბერნი. იბერნი ჰფლობენ მთელს სივრცეს მოსხის მთებამდე და პონტამდე; ალბანელნი მკვიდრობენ აღმოსავლეთად და კასპიის ზღვის მხრივ. ალბანელებმა ჯერ მისცეს გზა, რომელიც პომპეიმ იმათ მოსთხოვა, შემდეგ კი, ზამთარმა რომ აქ იმისი ჯარი შეაყენა, ბარბაროსებმა ისარგებლეს იმ შემთხვევით, როდესაც რომაელები სატურნალო დღეობას უქმობდნენ. ალბანელნი იყვნენ 40 ათასს კაცამდე. იმათ განვლეს კირნუსი (კირუსი ანუ მტკვარი), რომელსაც სათავე აქვს იბერიის მთებში და რომელიც იერთებს თუ არა სომხეთიდამ მომდინარე არაქს, თორმეტის შესართავით ჩადის კასპიის ზღვაში. ზოგნი იტყვიან, ვითომც კირნუსს არ უერთდებოდეს არაქსი, რომ არაქსი ცალკე მიმდინარეობდეს კირნუსის მახლობლად და ცალკე იმავე ზღვაში ჩადიოდეს. პომპეის შეეძლო მტრისთვის გასავალი შეეკრა. მაგრამ იმან მისცა გზა, მასუკან ის უცებ დაეცა ალბანელებს და და-

---

1) Plutarque, Vie des hommes illustes, trad. par Alexis Pierron. Paris, 1858, t. III, p. 155—157.

2) Ibid. p. 161.

ფანტა ისინი დიდის ზიანით. ალბანიის მეფემ მოციქულების პირით პომპეის შენდობა მოსთხოვა; პომპეიმ მიიღო თხოვნა და შემდეგ მიჰმართა იბერიელებს, რომელნიც ისე მრავალნი იყვნენ, როგორათაც ალბანელნი, თუმცა ამ უკანასკნელთ ასოვანებით აღემატებოდნენ. იბერთ დიდი სურვილი ჰქონდათ მიტრიდატისთვის სამსახური მიეგოთ და პომპეი განედევნათ. იბერნი არას დროს არ ყოფილან არც მიდიელების და არც სპარსების ქვეშ-ვრდომნი; თვით მაკედონელთ იმპერიას არა ჰქონია იმათზე ბძანებლობა.... პომპეიმ სძლია იმათ დიდს ომში, მოუკლა ცხრა ათასი კაცი და ათი-ათასზე მომატებული დასტყვევა. შემდეგ ის იბერიიდამ მსწრაფლ გავიდა კოლხიდაში, სადაც ფაზის სართავის მახლობლად იმას შეუერთდა სირვილიუსი თავისის ფლოტით, რომლითაც ის პონტის ზღვას იცვავდა«.

«დევნა მიტრიდატისა, რომელიც ბოსფორისა და Pulus-Méotides ტომებს შეეფარდა, დიდ დამაბრკოლებელი საქმე იყო. ამასთანავე პომპეის აცნობეს, რომ ალბანელნი ხელ-ახლად აიშალნენო. ის დაბრუნდა და კიდევ გავიდა კირნუსს, თუმცა მომატებულის დაბრკოლებით და შიშით: აქ ბარბაროსებს ნაპირები დიდად თურმე გაემაგრებინათ; გაღმა მდინარისა დიდი გზა თურმე იყო გასავალი ხრიაკს და უწყალო მხარეში. პომპეიმ გაამხებინა ათი-ათასი ტიკი და ჯარი გაიყვანა პირის-პირ მტრისა, რომელიც საბრძოლად იდგა აბასის წყლის კიდეზე. ალბანელებს ჰყვანდათ აქ 60 ათასი ქვეითი ჯარი, 12 ათასი ცხენოსანი. მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი; მომატებული იმათგანი პირუტყვის ტყავით იყო მოსილი. იმათ ბძანებლობდა მეფის ძმა სახელად კოსისი. ასტუდა თუ არა ბრძოლა კოსისი მსწრაფლ მიიჭრა პომპეისთან და მიახალა იმას ისარი, რომელიც მხოლოდ შეეხო იმისს ჯავშანს. პომპეიმ თავისის მხრით სტყორცნა კოსისს ისარი და მოკლა ისა. ამბობენ, ვითომც ამაზონები ჩამოსულიყვნენ იმ მთიდამ, რომელიც თერმოდონის მდინარის

შელნიც მცხოვრებნ დაეცალათ. ამასთანავე წერილები ამბობდნენ, რომ საზოგადო შემოსავალი, რომელიც პომპეის წინად შეადგენდა 50 მილიონს დრაქმას, იმისის ძლევა-მოსილის მოქმედებით აღვიდაო 80 მილიონამდე და 500 ათასს დრაქმამდე; რომ გარდა ამისა იმან შეჰმატაო რომის ხაზინას მოჭედილის ფულით — თუ ოქროსა და ვერცხლის ნივთიერებით-20 ათასი ტალანტი. ტყვენი, რომელნიც ტრიუმფს შეადგენდნენ, იყვნენ: მეკობართ უფროსებთ გარდა, სომხეთის მეფის ტიგრანის შვილი თავისის ცოლით და ქალით, ზოზიმე, მოხუცის ტიგრანის ცოლი, ურიების მეფე არისტობული, მიტრიდატის და და ხუთი შვილი, სკვითების დედა—კაცნი, და ამანათები ალბანელებისა, იბერებისა და კომმაგენის მეფისა 1).

აქ სტატიის შესავსებლად საჭიროდ ვხადით ორიოდე სიტყვაც დაურთოთ. ჩვენ «საქართველოს» პირველს რვეულშივე მოვიხსენეთ, რომ სულ ძველად ჩვენის ქვეყნის სახელ—წოდება იბერია არ იხმარებოდა არც უცხო-ტომთაგან, არც ჩვენ წინა-პართაგან 2). ის იხსენება მხოლოდ იმ დროდამ, როდესაც რომაელები შემოვიდნენ ჩვენს მხარეში მიტრიდატთან საბრძოლველად. საკუთრივ ამ დროდამ იხმარება ის საზოგადოდ როგორათაც რომაელებისაგან, აგრეთვე ბერძნებისაგან. ჩანსო, იტყვის ვივანე სენ—მარტენი, რომ რომაელებმა ჰპოვესო იბერია თვით საქართველოში და აქედამ გაავრცელესო იმისს გარეთ 3). პომპეის დროდამვე მოიპოვეს იმათ დაწვრილებით ცნობა იმ დიდ სავაჭრო გზაზე, რომელიც ინდოეთიდამ კასპიის ზღვით პონტის ზღვის მხარეს მისდევდა. დაასრულა თუ არა თავისი ომიანობა პომპეიმ წარგზავნა სხვა და სხვა მხარეს მცოდნენი და გამოცდილნი პირნი, რომელთაც უნდა შეეგროვებინათ ამ საგნის შესახები ფაქტე-

1) Plutarque... p. 169—170.

2) გვერდი. 98.

3) Recherches... p. 63, 64.

მახლობლად მდებარეებს და ბარბაროსების წყობაში იბრძოდნენ. მართლა და როდესაც ბრძოლის შემდეგ რომაელებმა მკვდრები გაცარცვეს, იმათ გვამებზე ჰპოვეს ამაზონების ფარები და ფეხ-საცმელები; მაგრამ არ შეუნიშნავთ კი არც ერთის დედაკაცის გვამი. ამაზონები მკვიდრობენ კავკაზიის მხარეში, რომელიც ჰირკანიას დასცქერის. ისინი არ არიან ალბანელების მოსაზღვრენი, რადგანაც იმათ ჰყოფენ გეტები და ლეგები. ისინი ყოველ-წლივ ორის თვის განმავლობაში უერთდებიან ამ ორ ტომს თერმოდონის ნაპირზე; ვადის გავლის შემდეგ ისინი შედიან ისევ თავიანთს ქვეყანაში, სადაც სრულებით მარტო ცხოვრობენ და აქ არავითარი დამოკიდებულობა არა არის რა იმათსა და მამა-კაცებს შორის».

ამ ბრძოლის შემდეგ პომპეიმ მიჰმართა ჰირკანიისკენ და კასპიის ზღვისკენ. იმან დაჰყო გზაზე მხოლოდ სამი დღე; მაგრამ აქ ის მიაწყდა მრავალ—ძალს შხამიანს გველებს 1), რომელნიც ამ მხარეებში იპოებიან. ამისგამო ის ისევ უკუ-იქცა და მცირე—სომხეთში შევიდა 2). გასაოცარი იყო პომპეის ტრიუმფი, იმისის შესვლის დროს რომში. მთელი რომი შეიძრა და სადღესასწაულოდ შეიმოსა. პომპეის წინ მიჰქონდათ წერილები, რომელშიაც იხსენებოდა ძლეული ქვეყნები, პონტი, სომხეთი, კაპპადოკია, პაფლაგონია, მიდია, კოლხიდა, იბერია, ალბანია, სირია, კილიკია, მესოპოტამია, ფინიკია, პალესტინა, ურიასტანი, არაბისტანი... მოიხსენებოდა აგრეთვე, რომ ამ ქვეყნებში პომპეიმ აიღო 1000 ციხე—სიმაგრე და 300 ქალაქამდე, მოუღო ზღვის მეკობრეებს 800 გემი და დაასახლაო 39 ქალაქი, რო

1) ეს ადგილი უნდა იყოს მუღანი, რომელმაც აქამომდე მრავალი შხამიანი გველი იცის (*Броневскаго Новѣйшія извѣстія о Кавказѣ, 1823, Москва, т. II, стр. 272—275*).

2) Plutarque... t. III, p. 157—159.

ბი. ჩვენ ეს გზა აღწერილი გვაქვს 1), ამისთვის იმაზე სიტყვას აღარ გავავრცელებთ. მხოლოდ დავურთავთ, რომ პლინის თქმით, (ცხოვრობდა პირველს საუკ. ქრისტეს შემდეგ.), ინდოეთის სავაჭრო, რომელიც ვითომც ნავებით მიდიოდა სურიუმდე ანუ სურამამდე, სურამიდამ აქლემებით და ცხენებით გადადიოდა სარაპანამდე, საიდამაც ისევ ნავებით მიემგზავრებოდა ზღვამდე.. პლინი ამბობს აგრეთვე, რომ რომაელების ალებ-მიცემობა სარაპანში ვაჭრებს აჯილდოებდაო ასის სარგებლით ასზე, მაგრამ ჩივის, რომ ეს ალებ—მიცემობა მეტად იზიდავდაო აქ ოქროს და ვერცხლს, ასე რომ ყოველ—წლივ რომი ასს მილიონს სესტერცის 2) ჰგზავნიდაო სარაპანში 3).

დიმიტრი ბაქრაძე.

12 ივლისი, 1871.

---

1) «საქართ.» პირ. რვ. გვ. 75.

2) სესტერცი ავგუსტო იმპერატორის დროს უდრიდა ფრანცუზულს 20 სანტიმს. სანტიმი ფრანციაში შეადგენს $1/_{100}$ ფრანკისას ანუ 5 შაურისას.

3) *Броневскаго Новѣйшія извѣстія о Кавказѣ. т. I, стр. 223—241.*

# ვედრება.

როდესაც ზევსმა ცა დაამყარა
და ოროვე მხეცებს მისცა მრავლობა,
შემდგომ როს ამ მხეცთ, შურით დაბრმალთა
ვერ შეიშვნიეს ურთი-ერთობა,
ყველამ დაიწყო ცალკე გაწევა
და საკუთრებას უწყეს მკვიდრება,—
მაშინ ყოველმა ხალხმა თავის მხრივ
ამოირჩიეს თითო მოთავე
და მიუგზავნეს ღმერთთა უფროსსა,
რომ მას ენება თავად თვითონვე
გაენაწილა მათთვის ქვეყანა
და დაეწყსნა—ვის რით ეცხოვრნა.
მათშორის ჩვენი ხალხის რჩეული
წყნარის ნაბიჯით მიეახლოვა
ფიქრით ღმერთთ ღმერთსა,
რომელიც ყველას აძლევდა ხვედრსა,
ვისაც რაც ჰსურდა და რასც ითხოვდა:
ზოგი შესთხოვდა დიდს სიმდიდრესა,
ზოგი სიმძლავრეს სხვა ხალხებზედა,
ზოგი შრომასა და ზოგი რასა;
ხოლო ქართველი ყურს მიუპყრობდა

და შესცქეროდა პირდაღებულზე,
ზევსისგან არ შენიშნული:
ისა ჰფიქრობდა დიდს და ღრმა ფიქრსა...
შინ დარჩენოდა ქვევრი მოხდილი.—
ბოლოს შენიშნა ძლივს ღმერთთა ღმერთმა
ჩვენი ქართველი გაშტერებული
და ჰკითხა: «კაცო, შენ რაღა გინდა?»
მაშინ მოვიდა გონსა ქართველი
და შეევედრა ზევსსა ცრემლითა:
—შინ დამრჩენია ღვინო ქვევრითა
და მეძრე ისიც სარქველ მოხდილი
და გადღეგრძელებს ღმერთი ძლიერი
არ დამახვედრო ის ცარიელი:
არ გაუზიარო ისიც სხვა ხალხსა,
თორემ მოვიკლავ აქ შენ წინ თავსა.
ჩემი ქონება, ჩემი ცხოვრება,
ჩემი ჭკუა და ჩემი გონება
ის ქვევრი არის, სავსე ღვინითა
და სულდგმული ვარ მხოლოდ იმითა.
თუ გამოსწირავ შენ ჩვენ ღვინოსა
ვეღარ ვიცოცხლებთ ვერც ერთს წუთს თავსა.—
«წადი,—უბრძანა იმას ზევსმა,—
«და დაგარჩინოს მარტო ღვინომა.»

ზურაბ მოლენიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვილჰელმ ტელლი

## დ რ ა მ ა.

თხზ. შ ი ლ ლ ე რ ი ს ა.

თარგმნილი

ნ. ავალიშვილისაგან.

ვუძღვნი
ნიკოლოზ ინაშვილის სახსენებლად
მთარგმნელი.

თბილისი.
დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა.
1871 წ.

# მოქმედნი პირნი:

გერმან გესლერი, იმპერატორის მოადგილე (ლანდფოგტი) შვეიცისა და ურისა.

ვერნერ-ფონ-ატტინგაუზენი, მფლობელი ბარონი (მთავარი).

ულრიხ-ფონ-რუდენცი, ამის ძმის წული.

ვერნერ შტაუფფახერი,
კონრად ხუნი,
იტელ რედინგი,
განს მაუერი,
იორგ გოფი,
ულრიხ შმიტი,
იოსტ ვეილერი,
} შვიცის მოსახლენი

ვალტერ ფურსტი,
ვილჰელმ ტელლი,
რესსელმანი, პასტორი (მოძღვარი)
პეტერმანი, კისტერი,
კუონი, მწყემსი,
ვერნი, მონადირე,
რუოდი, მეთევზე,
} ურის მოსახლენი.

არნოლდ მელხტალი
კონრად ბაუმგარტენი
მეიერ სარნენი
სტრუტ ვინკელრიდი
კლაუს ფონ დერ ფლუე
ბურკგარდ ბუხელი
არნოლდ სევა
} უნტერვალდენის მოსახლენი

ფეიფერი, ლუცერნელი,
კუნცი, გერზაუელი,
ჲენნი, მეთევზის შვილი.
ხენნი, მწყემსის შვილი.
გერტრუდა, შტაუფფახერის ცოლი.
გედვიგა, ტელლის ცოლი, ვალტერ ფურსტის ქალი.
ბერტა-ფონ-ბრუნეკ, მდიდარი ქალი.

არმგარტა,
ელისბეტა,
გილდეგარდა,
} გლეხის ქალები.

ვალტერი,
ვილჰელმი,
} ტელის შვილები.

ფრისგარდი,
ლეიტგოლდი,
} სალდათები.

რუდოლფ გარრასი, გესლერის შტალმეისტერი (ამირახორი, მეჯინიბეთ-უხუცესი).

იოჰანნე პარრიციდა, (მამისმკვლელი) შვაბიის გერცოგი.

შტუსი, მეშვილდისრე.

მესაყვირე.

მთხრობელი.

შენობის ზედამხედველი.

კალასტოზი, მისი ქარგლები და მუშები.

გზირი.

ძმანი მოწყალეებისა.

გესსლერისა და ლანდერბერგის მოდარაჯენი.

გლეხი კაცები და გლეხი ქალები ტბის პირის ქალაქებისა.

# მოქმედება პირველი.

## გამოსვლა პირველი.

(მაღალი, კლდოვანი ნაპირი ორს კანტონ შუა მდებარე ტბისა. სცენაზე მოჩანს ტბის პატარა უბე. ტბის პირზედ, ცოტა მოშორებით, სდგას ქოხი. ჟანი ნავით ცურავს. ტბას გაღმა მზე მოჰფენია შვიცის მწვანე ველებს და სოფლებს; მარცხნივ მოჩანს შეღრუბლული კლდეები; მარჯვნივ სჩანან თოვლიანი მთები რომელნიც შორს შორს ცის დასავალში იკარგებიან. ფარდის ახდამდის ისმის სალამურის ხმა, ცხვრების ბღავილი და ზარების წკარუნი).

ჟანი (ნავში მღერის).

ანკარა წყალი ცივად ნარნარებს,
ამ წყლისა პირსა სძინავს პატარას,
რომელიც ჰხედავს მშვენიერს სიზმრებს
და ისმენს ძილში მშვენიერსა ხმას:
თითქოს ზეციდგან ისმოდა ეს ხმა,
გამომდინარე ანგელოზთ ბაგით,
და ამ ხმით უფალს უძღვნიდნენ შესხმას
და უგალობდნენ ტკბილის ღაღადით.
ამ ხმამ განუკრთო პატარას ძილი
და დაანახვა მხოლოდ წყლის ტალღა,
შემდეგ მოესმა ამას ძახილი,
და ამას შემდეგ ამ გვარი მღერა:

«პატარავ, შენ ჩემი ხარ,
არვის მიგცემ,—ჩემი ხარ,
ვინც უნდა შემეცილოს,
მაინც კიდევ ჩემი ხარ;
მე წაგიყვან მძინარეს,
და გიჩვენებ წყლის ზვირთებს.»

კუონი (მთაზედ მღერის).

მშვიდობით, ველნო,
ზამთარი მოდის;
მწყემსიც შინისკენ
ფარებით მიდის.
მშვიდობით, ველნო! შევალთ სახლებში,
ვიდრე გუგული გაზაფხულს გვიმღერს,
ვიდრე ჩასხდებით თქვენ ყვავილებში,
და თქვენს გულზედა რუები იდენს.
მშვიდობით, ველნო!
ზამთარი მოდის;
მწყემსიც შინისკენ
ფარებით მიდის.

ვერნი (გამოჩნდება იმის პირდაპირ სე-რზედ).

მთა გრიალებს და კლდე ხმას აძლევს;
კარგი მეისრე მის ბილიკზედ კვალს არ აირევს;
კლდეს დაჭყურვია
ყინვის ყავარი,—
ჩვენი მეისრე უშიშარია.
მის დასწვრივ მთის ძირს ზღვაი ქოშინებს,
და თვის ოშხივრით თვალეის ახნელებს,—
მეისრეს ჰგონია დიდი ბინდია:

ვერ ჰხედავს იგი სამშობლოს მინდვრებს,
სამშობლოს მწვანეს, საამო ყანებს.

(სურათი იცვლება: ყრუ გრიალი მოისმის მთებიდგან და არე მარეს მოეფინება სქელ ღრუბლები. — რუოდი მეთევზე, გამოდის ქოხიდგან; ვერნი, მონადირე, კლდეზედ ჩამოდის; კუონი; მწყემსი, გუდა აკიდებული მოდის; სენნი ამის შვილი, უკან მოსდევს.)

რუოდი.

ჟენნი, ჩქარა მოაგროვე ერთ ალაგას ეგ ბადეები. ჰხედავ, ცამ როგორ მოიქუფრუშა და ქარიც ქშუის; დავეშურნეთ, ნივღვარმა არ მოგვასწროს.

კუონი.

რაღას ეშურები, მმობილო? წვიმა კიდეც დაიწყო; ჰხედავ, რანაირად ეტანებიან ცხვრები ბალახს; აგერ მაღლიც რარიგად სჩიჩქნის მიწას....

ვერნი

ტყუილა სტიან ე ოხერი თევზები თუ?! შესე ი თევზი-ყლაპიაც რა რიგა ყურყუმალაობს: სწორედ ჭექა-ქუხილი იქნება.

კუონი (შვილს).

სენნი, ფარა ხომ სრულად არის?

სენნი.

სრულად არის, მამი; — აგერ ჩვენი ლიზლიც, აი ზარს არ აწკარუნებს.

კუონი.

მაშ სხვებიც მანდ იქნებიან; მარტო მაგან იცის ხოლმე შორს წასვლა.

რუოდი.

შენ, ძმობილო, კაი ზარები გიბია...

ვერნი.

საქონელიც კაია! სულ შენია, კაცო, ე ცხვრები?

კუონი.

შე კაი კაცო! მე ვინ მამცემს ამდენს? ჩემი ბატონისაა, ატტინგჰაუზენისა.

რუოდი.

აიბე!.. ამ ძროხას რა კარგი საყელური ჰქონია, როგორ უხდება კიდეც.

კუონი.

აბა რა! თითონაც კარგა იცის, რო უხდება და აგი თავიც მოსწონს. საყელური რო მოჰხსნა, კაცო, ბალახს როდიღა მოსძოვს ე დალოცვილი.

რუოდი.

რას ამბობ, თითქოს მაგდენიც გაეგებოდეს...

ვერნი.

მაშ არ იცი, მამიაკ! პირუტყვსაც თავისი ჭკუა აქვს, როგორც ადამიანს, მაშ! ეს მე კარგად ვიცი: ერთხელ და ორჯელ არ მიდევნებია თვალი ჯეირნებისთვის. ი დალოცვილებს, კაცო, თითო მეთვალყურე ადგათ ხოლმე.. მიაა თუ არა იმათ ახლო მონადირე—მაშინვე ყარაულსავით ხმას მისცემს და ყველანი აქეთ-იქით გაცვივიან ხოლმე.

რუოდი (მეცხვარეს).

შინისკენ მიერეკები უთუოდ?

კუონი.

ჰო — დე! საძოვარი შემოაკლდათ მთებში.

ვერნი.

მა, გზა მშვიდობისა მოგცეს ღმერთმა!

კუონი.

ღმერთმა გაგიმარჯოს! თქვენკენაც კი ათასი საფრთხეა....

რუოდი.

ვინ არის ე ასე გასუჭებული რო მოდის ჩვენკენ?

ვერნი.

ოჰ! ეს ჩვენი ბაუმგარტენია,—ალცელნელი.

ბაუმგარტენი. (მოირბენს ქაქანით).

მეთევზევ! ჩქარა ერთი ნავი, თუ ღმერთი გწამს!...

რუოდი.

რაო, კაცო, რას გეშურება?!..

ბაუმგარტენი.

მოჰხსენ ერთი, ჩქარა, დროზედ გადამიყვანე!..

კუონი.

ჩვენებურო! რა დაგმართვია? რა ყოფაში ხარ?...

ვერნი.

ვინ მოგდევს, კაცო, უკან? ვერ მოესწრობი?!..

ბაუმგარტენი.

რას ამბობთ, სუნით მეძებენ; ლანდფოსტმა მდევარი გამომიყენა... ვაიმე! დავიღუპები, თუ ხელში ჩამიგდეს!

კუონი.

რაზედ, კაცო? რათ დაგადევნა?

ბაუმგარტ.

ჯერ ერთი მიშველე რამე, მერე გიამბობ.

ვერნი.

ე რა არის, კაცო, სისხლში მოსვრილხარ?

ბაუმგარ.

როსბერგის მმართებელი.......

კუონი.

როგორ თუ? ბოლფენიშენი? იმან გამოგიყენა?

ბაუმგარტ.

რაღას გამომიყენებდა: კისერი გავაგდებინე...

ყველანი (სახტად დარჩებიან).

ბიჭო, ეგ რა გიქნია?!

ბაუმგარტ.

რა მიქნია.... თქვენ რაღას იქდით?... მე ჩემი ნამუსი ყველას მირჩევნია: თავი შემირცხვინა... ცოლი წამართვა.....

კუონი.

როგორ! იმან?!

ბაუმგარტ.

სწორედ იმან... მაგრამ, მადლობა ღმერთს! აი ამ ჩემი ხანჯლით სიცოცხლე კი ჩავუმწარე.

ვერნი.

რას ამბობ? ხანჯალი ისმარე?!

კუონი.

ერთი გამაგებინე რამე, რა გიქნია? თქვი დროით, მინამ მეთევზე ნავს აჰხსნის.

ბაუმგარტ.

რაღა გაგაგებინოთ. ტყეში ვიყავ, შეშას ვსჭრიდი; ერთიც ვნახოთ, ჩემი ცოლი გაფითრებული მოვარდა ჩემთან, მეუბნება: როსბერგის მთავარ-მმართებელი მოიჭრა ჩვენსა; ჩვენ აბანოებში ბანება მოინდომა და მეც უნდოდა ძალით შევეყვანო შიგ... მაგრამ ძლივ-ძლივას დასხლეტოდა ხელიდამ და მოიჭრა ჩემთან ამ ამბით; მეც ვეღარა გავიგე რა თავბედისა,—გავსწიე მაშინვე შინასკენ და—დასწყევლოს ღმერთმა იმის ეშმაკი! აკი ისევ შინ არ დამხვდა ის სულის მტერი!. და... რაღა.. იქვე ანდერძი აუგე ამ ხანჯლით!

ვერნი.

ღვთის წინაშე, შენ გასამტყუნარი არა ხარ.

კუონი.

ბარაქალა შენს ბიჭობას! კარგად ამოგიყრია ჯავრი: გადაგიხდია, ძმავ, უნტერვალდენის სამაგიერო.

ბაუმგარ.

ეს ამბავი ფიცხლავ გაეგოთ ქალაქში და მდევარი გამომიყენეს. — დრო მიდის, ლაპარაკს თავი დავანებოთ.....

(ქუხს).

კუონი.

მებადე! გაიყვა დროით ე კაცი!

რუოდი.

ახლა როგორღა იქნება, ამ ვაივაგლახში? უნდა მოვიცადოთ მინამ გადიღებს.

ბაუმგარ.

ვაიმე თავო! ვიღუპები!.

კუონი (მეთევზეს).

რას ამბობ, თუ ღმერთი გწამს, შენ შენი ვალი აასრულე: ეს კაცი სიკვდილს გადაარჩინე, მანამ შეგიძლიან რამე: ჩვენც ადამიანის შვილები ვართ—ეგება რა შეგვემთხვას.

(ელავს, ჭექავს, ქარიც ამოვარდება).

რუოდი.

ერთი შეჰხედე, რა ამბავია ტბა; ზვირთი ზვირთზედ გადადის და გადმოდის —აბა როგორ მოუსვა ნიჩაბი?

ბაუმგარტ. (მოეხვევა).

მიშველე რამე, შენი ჭირიმე! ღმერთი გადაგიხდის მაგიერს.

ვერნი.

სწორედ სულს ჩაჰბერავ!

კუონი.

სახლობა ჰყავს, კაცო! ცოლი, შვილები..

(რამდენჯერმე დაიქუხებს).

რუოდი.

ახლა ჩემს თავს კი არაფრად აფასებთ? მეც მინდა კაცის შველა მაგრამ რო ვერაფერს გავაწყობ....

ბაუმგარტ. (მუხლებზედ დაეცემა).

მაშ ეგ არის იმედი გადავიწყვიტო?.. ეს არის დავტყვევდი? ბორკილებს ვერ გავექეც? ვაი მე! ამ ნაპირზედ ეგიდა ჩემი სიცოცხლე!.. ერთი მოსმის მეტი არაფერი უნდოდა.... სრიალით გავსწევდით! მაგრამ შველა აღარ საიდამა მაქვს... დავრჩი უწყალო!...

კუონი.

ე ვინ მოდის აქეთ? —აბა ერთი გაჰხედეთ.

ვერნი.

ოჰ, ტელლი—ბიურგლენელი!

ტელლი. (შემოვა შვილდისრით).

რას გეხვეწებათ ეს კაცი? ვინ არის? სადაურია?

კუონი.

ალცელნელია. მთავარ-მმართებელი მოუკლავს როსბერგში თავის გაუპატიურებისთვის და გამოქცეულა. ახლა ლანდფოსტს მდევარი გამოუყენებია, და აი მეთევზეს ესვეწება გადამიყვანეო, მაგრამ უარს ეუბნება: ტბა ღელავსო.

რუოდი.

აი ტელლიც აქ არის, —ამან კარგად იცის ნიჩფის მოსმა—აბა ამას ვკითხავ: ეხლა ენდობა კაცი ამ ტბას?

(ძალიან დაიჭექებს; ტბა უფრო აღელდება)

უჰ! შეხე ერთი! ღმერთმა დამიფაროს თავი არ გავიწირო.... გიჟი ხომ არა ვარ!

ტელლი.

კაცო, რას ამბობ! შენ თავზე განა მაგდენს იფიქრებდი, რომ ვინმე ირჩობოდეს წყალში? უშველე რამე—ღმერთიც შენ გიშველის!

რუოდი.

ხმელზედ მეც კარგად ვიცი დარიგება... აი ტბა, ეს ნავი და ახეც შენ.

ტელლი.

ტბა დამშვიდდება, მაგრამ ლანდფოხტი თავისას არ დაიშლის. უშველე რამე მეთევზე!

ყველანი.

უშველე, კაცო! უშველე რამე! ეს კაცი დაიფარე!....

რუოდი.

რას ამბობთ, ხალხნო! ჩემი ღვიძლი შვილიც რო იყოს, მაშინაც ფეხს ვერ მოვიცვლიდი. დღეს სვიმონის დღეა, იმ იუდასი; ამ დღეს ყოველთვის კაცი იღუპება ხოლმე—იცით, თუ არა?

ტელლი.

რას როტავ კაცო! რადროს ეგებია? ამ კაცის სიცოცხლე ბეწვზედ ჰკიდია,—შენ კი აქ რაღაცეებს მოჰყოლიხარ... თქვი: გაიყვან თუ არა?

რუოდი.

არა, ძმაო, ჩემი საქმე არ არის.

ტელლი.

მაშ ღმერთმა გაპატიოს! მოიტა ეგ ნავი! თავი გამიწირავს: აბა ვნახოთ გავაწყობ რასმე, თუ არა.

კუონი.

ოჰ, ჩვენო ტელლო! ბარაქალა შენს კაცობას!..

ვერნი.

ერთი შეხედეთ-და! კაცს კოჭებზედ შეეტყობა.

ბაუმგარ.

ოჰ, ტელლო! ჩემო ღმერთო! ჩემო მხსნელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტელი.

მტრის ხელიდამ დაგიხსნი, მაგრამ ამ ღელვისაგან—ღმერთმა იცის. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! (მეცხვარეს მიუბრუნდება). ჩვენებურო! ჩემ ცოლ-შვილს იმედი რამ მიე, თუ დამემართოს რამე... ამისთანა საქმე ყველას კარია: სიკვდილ-სიცოცხლეა, ხომ იცით. (ჩაჯდება ნავში).

კუონი. (მეთევზეს).

შე კაი კაცო! თავი რაზედ შეირცხვინე? თუ კი ტელლი უსვამს, იმდენი შენ როგორ ვერ შეიძელ?!

რუოდი.

მაგას ვერავინ ჩაიდენდა: მაგისთანა მოსმა ჩვენ მთებში არავინ იცის.

ვერნი. (კლდეზედ ავა და გასცქერის).

შეჰხედეთ! როგორ მილივლივებს ნავი. ღმერთმა გიშველოს!... შენ მარჯვენას კი გენაცვალე!... ერთი უყურეთ: რანაირად აპობს ტალღებს!... გაქრა, კაცო, აღარ სადა ჩანს: ტალღამ ხომ არ შემოჰკრა? არა! არა! აგერ, გამოჩნდა! ყოჩაღ, ბიჭო! რა გულადი რამ არის ი დალოცვილი შვილი! გასაოცრად უსვამს.

ჯენნი.

შეხე! მდევარი მორბის ჩვენსკენ.

კუონი.

მართლა! სწორედ ისინი არიან.... აბა რაღას მოუწევიან?

(ლანდენბერგის რაინდების ოლოქა).

პირველი.

მკვლელი სად არის? რა იქნა?

მეორე.

აქ არის; თქვენ დაჰმალეთ უთუოდ, გამოაჩინეთ ეხლავ?

კუონი და რუოდი.

ვის ეძებთ, კაცნო, ჯამაათნო!

პირველი. (ნავს თვალს შეასწრობს).

აგერ, აგერ! ის ავაზაკი სად მიცურავს.

ვერნი (კლდიდამ).

ვის მისდევთ? აიმ ნავს ხომ არ ქმებთ? რაღას სდგეხართ? გა-მოუდექით რაღა!

მეორე.

ხელიდამ გაგვისხლტა, შეჩვენებული!

პირველი.

ქს სულ თქვენი საქმეა; სულ თქვენ გადაგვასხლევინებთ ამას: თქ-ვენ საქონელს სულ გვკრეჯავთ; სახლებს დაგიწვავთ, აგანაცრებთ! (წა-ვლენ).

სვნნი. (მირბის).

ვაი მე, ჩემო ცხვრებო და ბატკნებო.

კუონი (ქსეც გაიქცევა).

ვაი მე, ჩემო საქონელო!

ვერნი.

ჭაი, თქვე ბოროტო სულებო!..

რუოდი. (გულმტკივნეულად).

ოხ, მაღალო ღმერთო! როდის მოგვივლენ ჩვენ მამულის მხს-ნელს! (შევა ქოხში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოსვლა მეორე.

### შ ვ ი ც ი,

დიდი შარა გზა; შტაუფახერის სახლის პირ და პირ, ხიდთან დგას ერთი დიდი ცაცხვი.

ვ ე რ ნ ე რ - შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი დ ა ლ უ ც ე რ ნ ე ლ ი ფ ე ი-ფ ე რ ი შ ე მ ო დ ი ა ნ ლ ა პ ა რ ა კ ი თ.

ფეიფერი.

დიახ, შტაუფახერო! მითქვამს და კიდევაც გეუბნებით: რაც უნდა გაგიჭირდეთ — ფიცი არ მისცეთ ავსტრიას. თქვენ სიმტკიცეს და ერთგულებას ნუ უღალატებთ: იყავით, როგორც აქამდის ჭყოფილხართ. ახლა კი მშვიდობით! უფალმა მოგიმართოსთ ხელი ყველა საქმეში. (გრძნობით ხელს გამოართმევს და წასვლას დააპირებს).

შტაუფახერი.

აქა ბძანდებოდე, მეგობარო, ეხლავ ჩემი დედაკაციც მომივა.... ერთი მეც მინდა გაგიმასპინძლდეთ, როგორც თქვენ გამიმასპინძლდებით ხოლმე ლუცერნში.

ვ. ფურსტი.

არა, გეთაყვა, გმადლობთ. დღესვე უთუოდ გერზაუში უნდა მივიდე. — ამასაცა გთხოვთ, რომ, რამდენიც შეიძლოთ, მოუთმინეთ ჩვენ სისხლის მსმელ მთავარ-მმართებელს. უეჭველია, დროება გამოიცვლება, — სულ ყოველთვის ხომ ამგვარი იმპერატორი არ გვეყოლება? მაგრამ თუ ავსტრიას დაემონებით — საუკუნოდ ყმად გაგიხდისთ. (მიდის. შტაუფახერი დაჯდება ცაცხვის ქვეშ სკამზედ და ჩაფიქრდება. მოვა ამის ცოლი გერტრუდა, მოუჯდება გვერდით და მდუმარებით შესცქერის რამდენიმე ხანი).

გერტრუდა.

ეგრე რას დაჰღონებულხარ? შენ განაცვალოს ჩემი თავი. რა დაგმართვია—რატომ არ იტყვი? მე დიდი ხანია გატყობ: გულზედ რაღაცა გაწევს რაღაცა დარდები გაწუხებს; არ ეტყვი შენთვის თავ გადაკლულს რაზედ ჰსწუხარ ეგრე? თქვი, შენი კვრესამე, მეც მინაწილე შენი ნაღველი. (შტაუფახერი მდუმარებით ხელს გამოართმევს). ერთი მითხარ ეგრე რამ შეცვალა შენი გუნება? მადლობა უფალს, ჯერ არც ერთს შენს ამაგს ფუჭად არ ჩაუვლია: ცხვრის ფარები და ცხენის ჯოგები მთიდამ უკლებლად მოგირეკეს. თუ სახლს ვიტყვით-და—ისე მშვენივრად არის აშენებული და ისეთს მასალისგან, რომ თვით ციხე-დარბაზსაც არ დაუვარდება; ღმერთმანი, ფანჯრები სარკესავით არ უბრწყინავენ! ამას რომ კედლებზედ ნაწერებიც მიუმატოთ, რომელსაც ისე არ გაივლის ვინმე, რომ არ წაიკითხოს და არ გაჰკვირდეს იმის აზრს,—ეს სულ ყველაფერი მგონია საკმაოა, რომ ეგრე არ მოიწყინო.

შტაუფახერი.

ჩემი სახლი მშვენიერიც არის და ციხე-დარბაზსაც არ დაუვარდება, მაგრამ, ვაი უბედურებას! სამირკველი ვერა აქვს მკვიდრი.

გერტრუდა.

მე სულ ვერა გავიგერა მაგ სიტყვებიდგან, ჩემო თვალის ჩინო!

შტაუფახერი.

ამას წინად ვიჯექი ამ ცაცხვის ქვეშ და სიამოვნებით შევსცქეროდი ჩემ ახალ სახლს. ამ დროს, ვნახოთ, მოაჭენებს კუსნახტიდამ ლანდფოგტი თავის მცველებით და დაინახავს თუ არა ჩემ სახლს—მაშინათვე შედგება და გაოცებით დაუწყებს ყურებას. მე, დავინახე თუ არა—მარდად წამოვდექ და პატივის ცემით მივახლოვდი, როგორც ჩემი ქვეყნის მბძანებელს.—ეს სახლია, თუ სხვა რამეო, მცბიერებით მკითხა, თითქოს ვერა-ჰხედავდა რა იყო. მე მაშინვე უპასუხე: სახლი

გახლავსთ, ჩემო ბატონო, და ეკუთვნის ხელმწიფეს და თქვენ მეთქი, მე კი იჯარით მაქვს აღებული მეთქი. იმან დააყოლა: მე, როგორც ამ ქვეყნის მბძანებელი, ჩემ დაუკითხავად არ აგაშენებინებთ გლეხებს, ამისთანა სახლებსაო; თქვენ რაღასაც ჰბატონობთო! ამოგიფხვრით მე მაგ თავის-უფლებასაო,—ეს სთქვა თუ არა, მრისხანედ გაქუსლა ცხენი და წავიდა. შემო-მეხვია დარდები და ვფიქრობ ახლა იმის ბოროტის მომასწავებელ სიტყვებზედ.

გერტრუდა.

დამაცალე, შენ გენაცვალე, რა გითხრა:—მამა ჩემი იზბერგი გათქმული კაცი იყო, იქნება მეც მომდევდეს რამე იმისი.—როდესაც მე და ჩემი დები ვისხედით ხოლმე და ვართავდით საღამ-საღამოთი, მამა ჩემთან შეიყრებოდნენ ხოლმე სახლთ ხუცესები, დაიწყებდნენ სახელმწიფო წერილების კითხვას და თათბირობდნენ ხოლმე, თუ რა არგებდა ჩვენს ქვეყანასა მე ყოველთვის გულ-მოდგინებით ვისმენდი იმათ ლაპარაკს და რჩევას... ესლა ყური მიგდე რა გითხრა. მე დიდიხანია შევამჩნიე—რაღაცა გაწევს გულზედ, ჩემო თვალის სინათლევ, შენ მთავარ-მმართებელი ჩამოგმტერებია, მგონი? იცი რისთვის? იმისთვის, რომ შენ უწინამძღვრე შვიცს, როცა ის თავის ძველი ჩვეულებისთვის და უფლებისთვის აღუდგა ჩვენს შემავიწროებელს. მართალს არ გეუბნები, ჩემო ვერნერ? ესე არ არის?

შტაუფახ.

სწორედ, მაგაზედ მომიძულა.

გერტრუდა.

უთუოდ ჰშურს, რომ შენ შენი თავის უფალი ხარ და საკუთარი საცხოვრებელი გაქვს; მეფეს მოუცია შენთვის ეს ალაგი და ისეთი ბატონი ხარ, როგორც თითონ ის თავის სამძანებელში. მეფეს მეტი ბატონი შენ არავინა გყავს. ეგ კი, იმის ხელქვეითი, შიშველი მოურავი ბძანდება: ერთი სარაინდო ქურქის მეტი არა ჰრჩე-

გერტრუდა.

ჩემისთანასაცა აქვს შველა: მთები და წყლები მრავალნი არიან ჩემს ქვეყანაში.

შტაუფახერი. (მოეხვევა).

ოჰ, რა გული გაქვს! შენ, მგონი, თავს გადასდებდი შენი სახლ-კარისთვის. შენ დაგიჯერებია გული, რომ კაი სიკვდილი ცუდ სიცოცხლეზედ უკეთესია.... მაშ მე ამ საათში ურისკენ გავუტევ. იმედი მაქვს ჩემი მოკეთე—ვალტერ ფურსტი ყველაფერში დამთანხმდება. ამასთან ვნახავ ატტინგაუზენის ბარონს; თუმცა დიდი ჩამომავლობის კაცია, მაგრამ მაინც ხალხი უყვარს, და დროზედ კიდეც წაესარჩლება. მე ორივესთან მოვილაპარაკებ თუ რა უშველოთ ჩვენს თავს, რა მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის გამოსახსნელად. მშვიდობით! მინამ მოვბრუნდებოდე სახლ-კარს კარგად უგდე ყური: ყველა გაჭირვებულს ხელი გაუმართე; მგზავრი, ან ბერი—ეკკლესიისთვის გამზადებული, ყველა შეიწყნარე, ჩვეულებისამებრ; ჩემი სახლი არ დაიმცროს, ურიგოება არა მოხდესრა: შარა გზაზედა სდგას—ყველა მგზავრს პატივი უნდა ეცეს. (ეს რომ წასვლას აპირობს, ამ დროს შედიან ვილჰელმ ტელლი და ბაუმგარტენი).

ვილჰელმ ტელლი. (ბაუმგარტენს).

ესლა მე აღარას გარგივარ. ემაგ სახლს მიჰმართე (უჩვენებს). მანდ სცხოვრებს ერთი ღვთის-მოყვარე კაცი—შტაუფახერი.... აგერ თითონაც! მომყევ – მივიდეთ. (მიდიან).

(სურათი იცვლება.)

## გამოსვლა მესამე.

### ალტდორფის გაშლილი ალაგი.

სცენის სიღრმეში, მაღლობზედ აშენებენ ციხეს, რომელის უკანა მხარე თითქმის გათავებულია, ხოლო წინამხარეზედ ჯერ კიდევ ხარაჩო დგას და ზედ მუშები დადიან; ზევით ბანს ჰხურავენ. გაცხარებული მუშაობაა.

ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი, კ ა ლ ა ტ ო ზ ი, ი მ ი ს ქ ა რ გ რ ე ბ ი  
დ ა შ ე გ ი რ დ ე ბ ი.

ზედამხედველი (ჯოხით თავს ადგას მუშებს).

მარდად, ჰა! ნუ იზლაზნებით, ქვა ზიდეთ! აბა, ყოჩაღად ჰა!... თქვენ მანდ კირი კარგად აურიეთ, აქეთ იქით ნუ იყურებით—მარდად! რომ მთავარ-მმართებელმა საქმე წინ წასული ნახოს. შეჰხედე როგორ დაიზლაზნებიან, ეშმაკის შვილები! (მიუბრუნდება ორ მუშას, რომელთაც ჯინით ქვა მიაქვსთ). განა აგრე მუშაობენ? მოუმატეთ კიდევ! წელი არ მოგწყდებათ.. თქვენ თვალი მოგარიდოსთ კაცმა, თორემ,.. ფეხებზედ გკიდიათ!...

პირველი შეგირდი.

სწორე გინდა და—ამ სახლის აშენება ძალიან არ გვიხარიან; ჩვენვე დაგვატუსაღებენ, შვილო, რა!...

ზედამხედველი.

მანდ რას სდუდუნებ?! წუწუნებს უყურე!... ძროხების წველის მეტი და მთებზედ სეტების მეტი შნო ღმერთს არ მოუცია ამათთვის!..

მოხუცი მუშა.

ჰარაქათი აღარა მაქვს... (დაჯდება).

ზედამხედ. (მუჯლუგუნებით).

ზებრუცუნავ! მუშაობა დაგავიწყდა? ადე ზეზე!

პირვ. შეგირდი.

კაცი არა ხარ, შე დალოცვილო, განა ვერაჰხედავ სიბერით ფეხები ძლივს დააქვს საწყალს.

კალატოზი და შეგირდები.

უღმერთობას ნუ სჩადი, ღმერთისა მაინც გეშინოდეს....

ზედამხედველი.

ხმა ჩაიწყვიტეთ, ჰარამზადებო! რასაც მიბძანებენ იმას ვასრულებ.

მეორე შეგირდი.

ზედამხედველო, რას დაარქმევთ, ამ რაღაც ვერანა სატუსაღოს რომ აშენებთ?

ზედამხედველი.

ამას ერქმევა: ურის უღელი. სწორედ ეს უღელი მოგხრისთ წელში, ჩემო მეგობარნო.

შეგირდი.

რააო? ურის უღელი! ხა! ხა! ხა!...

ზედამხედველი.

აქ სასაცილო რა არის, მითომ?

მეორე შეგირდი.

ბეჩა, ამ პაწაწა რაღაცათი გინდათ მთელი ური მოჰხაროთ წელში?

პირველი შეგ.

ვნახავ როგორ მოგიხდებათ ურის წელში მოხრა და რამდენს ამისთანა სახლებს ააშენებთ კიდევ. (ზედამხედველი სცენის შუა გულში შევა).

კალატოზი.

თავი არ მომიკვდება, ამ ჩემ ჩაქუჩს აიმ ტაბაში უმასხებ: აბა შევინახამ და იმ იარაღს, რომელსაც ამ სახლის აშენებაში ვხმარობდი?!

(შემოდიან ტელლი და შტაუფახერი).

შტაუფახ.

ოჰ, სიკვდილო! შენ მაინც სადა ხარ? ეს შენობაც ნახა ჩემმა თვალებმა!

ტელლი.

იქით წავიდეთ,—აქ როგორღაც საეჭვო ალაგია.

შტაუფახერი.

ნუ თუ ეს არის ური? თავისუფალი ქვეყანა?

კალატოზი.

თქვენ უნდა ჰნახოთ, ბატონო, კოშკებს ქვეშ რა სარდაფეფი დაატანეს! სწორე მოგახსენოთ, იმ სარდაფების მდგმური ძნელადღა გაიგონებს მამლის ყივილს.

შტაუფახერი.

ოჰ, ზეციერო გამჩენო!

კალატოზი.

ერთი შეჰხედეთ თაღებს: თითქო საუკუნეებთან უნდა აბრძოლონო.

ტელლი.

ჩემო ძამიავ, რაც ხელით არის აშენებული—ხელითვე დაინგრევა. (მთებზედ ხელს მიუშვერს). აგერ ჩვენი თავისუფლების სადგური; თითონ ღმერთს აუშენებია ჩვენთვის.

(ისმის დაფდაფებ ბრახაბრუხი; რამდენიმე კაცს მოაქვს ჯოხზედჩამოცული ქუდი იმათ მოსდევს გზირი. სცენა ივსება დედაკაცებით და ყმაწვილებით).

პირველი შეგირდი.

რა ამბავია? ეს რათ უკვრენ დოლს?

მეორე შეგირდი.

არიქა, ბიჭო. ეს რა ამბავია, ქუდი აბელად გაუხდიათ?

გზირი.

კოროლის სახელისთვის გამიგონეთ

შეგირდები.

ჩუ, დაჩუმდით.... ყური დაუგდოთ!

გზირი.

ყურის მოქალაქენო! აი ეს ჯოხი ამ ქუდით უნდა აიმართოს ალტდორფის მოედანზედ და ამასთან მთავარ-მმართებელი ამ გვარ ბრძანებას გაძლევსთ: ამ ქუდს ყველამ ისეთი დიდება და პატივი უნდა სცეთ, როგორსაც თითონ იმასა სცემთ: ყველამ უნდა ამ ქუდის წინ თავშიშველამ მოიდრიკოს მუხლი. ამით უნდა მეფეს შეიტყოს თავისი მტერი და მოყვარე. ესეც უნდა იცოდეთ, რომ, ვინც არ აასრულებს ამ ბძანებას, იმას წაერთმევა ქონებაც და თავისუფლებაც.

(ხალხი ხმა მაღლა იცინის; დოლს აბრახუნებენ; ხალხი და-იშლება).

პირვ. შეგირდი.

ჰხედავთ კიდევ რა მოუგონია ჩვენ მთავარ-მმართებელს?! იმის ქუდს უნდა თაყვანი ვსცეთ?! ამისთანა რამე გაგონილა სადმე, თქვენი ჭირიმე!

კალატოზი.

მუხლი უნდა მოვიყაროთ ქუდის წინ?! ჩემ სალოცავს შეუშლია, თუ რა დაჰმართვია? ასე ჰგონია პატარა ბავშვები ვიყვნეთ....

პირვ. შეგირდი.

მეფის გვირგვინი იყოს, კიდევ ჰო; თუ არა, უბრალო ქუდის თაყვანისცემა ვის გაუგონია?

შეგირდები.

ეგ არის, ავასრულეთ ბძანება, რაღა! ჭაი, შეშალოს ჩემმა სალოცავმა!

კალატოზი.

აბა წავიდეთ რჩევა ვკითხოთ ვისმე. (მიდიან სცენის სიღრმეში).

ტელლი. (შტაუფახერს).

ახლა კი თქვენ იცით. მშვიდობით, ვერნერო!

შტაუფახერი.

შენ სადღა მიხვალ? თუ ღმერთი გწამს, ცოტაც მოიცადე.

ტელლი.

არა, გეთაყვა, არ შემიძლიან. შინ უნდა წავიდე უთუოდ. მშვიდობით!

შტაუფახერი.

ნეტა იცოდე გულზე რამდენი რამ მაწევს!—არა, ძმაო, მინდა ერთი გელაპარაკო.

ტელლი.

რას იქ? გულის დარდებს მითომ ლაპარაკით შეიმსუბუქებ?

შტაუფახერი.

არა, ძმაო, ლაპარაკი საქმესთან მიგვიყვანს.

ტელლი.

ჩვენი საქმე — მოთმინება და ჩუმად ყოფნაა.

შტაუფახერი.

რას მეუბნები? ნუ თუ უნდა მოვითმინოთ, რის მოთმენაც არ შეიძლება?

ტელლი.

მაშ რას იქ? ნუ დაივიწყებ, რომ ხანგრძლივი არ იქნება ჩვენი შევიწროება; იცოდე ეს ჩვენი უბედურება ჰგავს ქარიშხალს, რომელიც,

თუმცა შეაშინებს და შეაძრწუნებს კიდეც ზღვაში მცურავ გემებს, მაგრამ სწრაფად გადუვლის ხოლმე უვნებლად. ყველამ უნდა თავისთვის მშვიდობიანად იცხოვროს და, ალბად, მშვიდობიანისთვის მშვიდობას არავინ დაიშურებს.

შტაუფახერი.

მითომ?

ტელი.

ხომ გაგიგონია გველს ხელს ნუ ახლებ და არც ის დაგეშხამავსო. დამიჯერე: თითონ დამშვიდდებიან, როცა ჰნახავენ, რომ ჩვენ ყველანი მშვიდად ვიქნებით.

შტაუფახერი.

თუ შევკრთდებოდით—მე გიჩვენებდი რა საქმეც შეგვეძლო!

ტელი.

ძლევაში მარტოობა სჯობია.

შტაუფახერი.

შენ, როგორც გატყობ, ცივად ეკიდები საზოგადო საქმეს.

ტელი.

ყველას თავის თავის იმედი უნდა ჰქონდეს.

შტაუფახერი.

განა არ იცი—შეკავშირებული ლაჩრებიც კი ღონივრები არიან.

ტელი.

მაგრამ ღონიერი—მარტოც ღონიერია.

შტაუფახერი.

მაშ, მამული რომ აუდგეს თავის მტერს—შენგან შველის იმედი ნუ ექნება?

ტელი. (ხელს აძლევს).

ტელი საფთხიდგან ბატკანსაც იხსნის ხოლმე და გაჭირვებაში მეგობრებს ვერ უშველის?! მაგრამ ერთსა გთხოვთ: ნუ რა რჩევას ნუ

მკითხავთ, — მე სიტყვით ვერ შეგეწევით, და თუ დაგჭირდებათ ჩემი ხელები — ერთი კი სთქვით და მაშინ მე ვიცი, როგორც მოგეხმარებით. (განშორდებიან ერთმანერთს. ხარაჩოზედ უეცრივ დაიყვირებენ).

კალასტოზი. (მოირბენს).

რა ამბავია? რა არის?

პირველი შეგირდი.

რაღა რა არის? ბანის დამხურავი ჩამოვარდა და, მგონი, სულიც აღარ შერჩა უბედურს.

ბერტა. (შემოირბენს თავის მცველებით).

დაიჩეხა?.. უშველეთ, თუ ღმერთი გწამსთ! აჰათ ფულები, ოღონდ კი უშველეთ რამე. (გადაუგდებს მანიაკს).

კალასტოზი.

ყველგან ფულები იძახეთ! თქვენთვის ყველაფერი იყიდება! საწყალ ბავშვებს მამას წაართმევთ, ცოლს — ქმარსა და მერე იძახით: აჰა ფულებიო! მადლობა თქვენს სიკეთეს! მითომ კაცი გაგიცოცხლებიათ! სწორე მოგახსენო: თქვენ მოსვლამდის დარდები ცოტა მოშვებული გვქონდა გულიდამ, ახლა მოხველით — და ჩვენი ვაება სულ თვალ წინ წარმოგვიდგა.

ბერტა. (ზედამხედველს, რომელიც მოახლოვდა).

ცოცხალია? (ზედამხედველი ანიშნებს რომ არაო). ოჰ, კედლებო! წყევითა ხართ აშენებულნი და ვერც იხეირებთ. (მიდის).

## გამოსვლა მეოთხე.

### სადგომი ვალტერ ფურსტისა.

ვალტერ ფურსტი და არნოლდ მელხტალი შემოდიან სხვა და სხვა მხრიდგან.

მელხტალი.

აა! ვალტერ ფურსტს ვახლავარ!

ვალტ. ფურსტი.

მაინც იყავ, არ მოგვასწრონ, თორემ მსტოვრები (მზვერავები) გარს გვახვევია.

მელხტალი.

ამბების ხომ არა მოსულა უნტერვალდენიდამ? რას შვრება მამაჩემი? ოჰ! მომწყინდა ამდენი ხნის ტუსაღობა. ან კი რა დავაშავე იმისთანა, რომ ყველას ვემალები, როგორც კაცის მკვლელი? თითი მოვტეხე, სხვა ხომ არა დამიშავებია? რავქნა, რას მემართლებოდა, რათ გაირეკა ჩემ თვალ წინ ჩემი ხარები?

ვ. ფურსტი.

თითონ შენი ბრალია, რათა სცხარობდი? არ იცოდი, რომ მთავარ მმართებლის გამოგზავნილი იყო, ლანდფოხტისა? ახლა რაც მოგივიდა — უნდა აიტანო, რას გააწყობ, ძმაო? მეტი ღონე არა გაქვს....

მელხტალი.

ნეტა როგორ მომეთმინა იმ უმსგავსის ლაპარაკი: «ვისაც პურის ჭამა გინდათ, გუთანსაც თითონ უნდა ეწიოთო. ასე მეგონა გულში დანა დამიტრიალეს მეთქი, როდესაც დაუწყო ხარებს გუთნიდამ გამოშვება; ხარებმაც თითქოს იცნეს ჩემი მტერი — დაიწყეს ყრუდ

-ღავილი და თავის ქნევა. მეც ამიდუღდა გული, ველარ შევიმაგრე თავი და გაცხარებულმა დაუწყე ჯოხით ცემა.

გ. ფურსტი.

შენ რა გაგამტყუნო? ჩვენ რომ ვერ შეგვიმაგრებია თავი, აბა უმაწვილს კაცს რაღა გეთქმის?

მელხტალი.

მამა ჩემი მენანება, თორემ მე კიდევ რაც მომივიდა—მომივიდა! იმას აქ შეეწე არავინა ჰყავს—მე კი აქა ვარ ტყუილად; ამასთან ლანდფოგტსაცა სძულს ის უბედური, რადგან მუდამ თავისუფლების მოყვარეა. რაღა თქმა უნდა, რომ ეხლა ძალიან შეავიწროებს ბედკრულს, —აბა ვილას დაერიდება? არა, რაც უნდა მომივიდეს, უთუოდ წავალ მივეშველები მოხუცებულს.

გ. ფურსტი.

ერთხელ ხომ გავნო აჩქარებამ, მეორედ უარესი მოგივა. ცოტაც მოითმინე, საქმე ჯერ არ გაფუჭებულა; იქნება ამბავიც მოგივიდეს რამე იქიდამ.... აცა!.. ვინ არახუნებს კარებს? ნუ თუ ლანდფოგტის გამოგზავნილია ვინმე?.. დამალე, ჩქარა, არ გეგონოს, რომ ურში უფრო ცოტა სიფთხილეა საჭირო; ლანდერბერგი უკეთესი ნუ გეგონება: ჩვენი შემავიწროებელნი ერთმანერთს ჰბაძვენ და ერთმანერთს ჰშველიან, იცოდე.

მელხტალი.

მაშ ჩვენ რაღას ვუყურებთ? ჩვენც ვუშველოთ ერთმანერთს.

გ ფურსტი.

წადი, წადი! მერე ვილაპარაკოთ. (მელხტალი გავა). საბრალო-არ ვიცი, ღმერთმანიცის, როგორ გამოუცხადო, რაც ეწვი ამილის?... ვინ უნდა არახუნებდეს? რა უბედურობაა! დაჭაჭუნებს თუ არა ეს კარები,—მაშინვე მგონია უბედურება მეწვია მეთქი; საითაც არ მივიხედა—ყველგან ღალატობა, ყველგან ძალადობა,—მთელი ხალხი ამაზ

ზედ ჩივის. მგონი ჩვენ კარებს ჩქარა მოუნდეს რკინის ურდული... (გააღებს კარებს და დაინახავს თუ არა გერნერ შტაუფახერს, გაკვირვებული დაიწევს უკან). ვისა ვხედავ? გერნერო! თქვენა ბრძანდებით! ჩემო ძვირფასო, პატივცემულო სტუმარო! დიდი ხანია თქვენზედ უკეთესი კაცი არა მწვევია. ძალიან მოხარული ვარ.. მაგრამ რამ მოგიყვანათ ამ დროს?

შტაუფახერი. (ხელს გამოართმევს).

შვეიცარიას დავეძებ, თავისუფლებას დავეძებ...

ვ. ფურსტი.

ორივენი თან დაგდევენ.—ჩემ გულს თქვენი ნახვის მეტი შვება არ უნდა. დაბძანდით, გეთაყვანე, გერნერო. ერთი მიბძანეთ, რასა იქს თვენი ჭკვიანი მეუღლე, გონიერი იზბერგის ასული? ყველა მოგზაურნი, ვინც კი იტალიას მიდიან და გაუვლიათ თქვენი სახლისკენ, ისე აქებენ თქვენ სტუმრის მოყვარე სახლს, რომ მეტი არ შეიძლება... თქვენ ეხლა, მგონი ფლუელენიდგანა ხართ? ერთი მითხარით, ხომ არა გინახავთ რა გზაზედ, ჩვენ მაზრაში რომ გადმოხვედით?

შტაუფახერი. (ჯდება).

როგორ არა, ერთი დიდი შენობა ვნახე, მაგრამ ვერ გაუძელ იმის ყურებას....

ვალ. ფურსტი.

ოჰ, მეგობარო, უეჭველია, რაწამს შეჰხედეთ, მაშინვე მიჰხვდით რაც იყო.

შტაუფახ.

ჯერ აქამდის არავის გაუგონია ყურში ამ დანიშნულების სახლი. აბა ვის უნახავს სატუსაღოები? ამ დრომდის მხოლოდ საფლავი იყო ჩვენი სატუსაღო.

ვალ. ფურსტი.

მითომ ეს კი საფლავი არ არის—თავისუფლებისა?

შტაუფახერი.

არა, ვალტერ ფურსტო, არ დაგიმალავთ, რომ მე თქვენთან უსაქმოდ არ მოვსულვარ! დარდები ძალიან მაწუხებენ. რა უბედურება! შინ დავტოვე შევიწროება, აქ მოველ და აქაც უკეთესს არასა ვხედავ! რამდენი უნდა მოვითმინოთ კიდევ? ბოლო კი აღარა აქვს და! შვეიცარიელი ყოველთვის თავისუფალი იყო, მშვიდობიანობის მეტი არა იცოდარა: რაც ჩვენ მამა-პაპას მთები გაუცვნია—განა გაუგია ოდეს-მე, თუ შევიწროება რას ერქვა?

ვ. ფურსტი.

დიაღ, გასაოცარი თავისუფლება ჰქონიათ! თითონ კეთილ-შობილი ატტინგაუზენიც კი—იმას კარგად ახსოვს უწინდელი დროების თავისუფლება—თითონ ისიც კი ამბობს, რომ ეს უღელი ძნელი მოსათმენია.

შტაუფახერი.

უნტერვალდენშიაც ეს ამბავია. იქაც დიდი ხანი არ არის როსბერგის მოადგილემ, ბოლფენიშენმა, მოისურვა აკრძალული ხილის გემოვნება და ალცენში ბაუმგარტენის ცოლს მიჰმართა. მაგრამ, ოლოლო იმას! ვერ მოასწრო: ბაუმგარტენმა იქამდის აღარ დააცადა, იქვე ანდერძი აუგო ხანჯლით!...

ვ. ფურსტი.

ოჰ, მართლმსაჯულო უფალო! მერე.. ბაუმგარტენი? ერთი მითხარით: გაიქცა სადმე? დაიმალა?.

შტაუფახერი.

თქვენმა სიძემ ტბით მოიყვანა ჩვენთან და ეხლაც იდუმალ ჩვენთანა სცხოვრობს. მაგრამ ეს ყოველიფერი როგორ შეედარება იმას, რასაც ის მელაპარაკა ერთს სარნენში მომხდარ საქმეზედ. სწორე მოგახსენოთ, იმის გამგონეს ყველას გული მოუკვდება.

ვ. ფურსტი (ყურადღებით).

მიბძანეთ, გეთაყვა, რა საქმეა ეგ?

### შტაუფახერი.

აი, ბატონო: იმათგან, მელხტალში, სცხოვრებს თურმე, ქერნის ახლოს, ვინმე ჰენრიხ გალდენი, მართალი კაცი და, თურმე, პატივ-ცემული გარეშემო მოსახლეთაგან.....

### გ. ფურსტი.

ვინ არ იცნობს? მერე, რა მოჰსვდენია გალდენს?

### შტაუფახერი.

უბრალო დანაშაულობაზედ ლანდერბერგს ებძანებინა ჰენრიხის შვილის გუთნიდამ ორი ხარის გამოშვება. ამაზედ, გულზედ მოსულს უმაწვილ-კაცს, როგორც მოგეხსენებათ, ეცემა იმ კაცისთვის და გაქ-ცეულიყო სადღაც....

### გ. ფურსტი.

მამა, მამა რაღას იქს! მითხარით, თუ ღმერთი გწამსთ!

### შტაუფახერი.

მამა დაიბარა თურმე მთავარ-მმართებელმა და უბძანა: შვილი გა-მოაჩინეო. მოხუცი თურმე ეფიცებოდა: არ ვიცი სად არისო, გაიქ-ცაო. აბა თუ არ იციო და—ებრძანებინა: ჯალათს დაუძახეთო....

### გ. ფურსტი. (წამოხტება, რომ იქით წაიყვანოს).

წყნარად, თუ ღმერთი გწამს!

### შტაუფახერი. (უფრო ხმა მაღლა).

თუ შენი შვილი წამივიდა ხელიდამ შენ ხომ ველარსად წა-მიხვალო, და თავის თვალ წინ დააგდებინა მიწაზედ და დანით ორივ თვალები ამოაჩიჩქნინა!!..

### გ. ფურსტი.

ოჰ! ზენავ!

### მელხტალი. (შემოვარდება).

რა სთქვით? თვალები ამოაჩიჩქნინაო?!

შტაუფახერი. (გაკვირვებული მიუბრუნდება გ. ფურსტს).

ვინ არის ეს უმანკილი კაცი?

მელხტალი. (გამწარებული ეჭიდება).

თვალები ამოათხრევინა? თვალები?!

გ. ფურსტი

ოჰ, შე საბრალო!

შტაუფახერი.

ვინ არის? ნუ თუ იმის შვილია? (გ. ფურსტი თავს დაუქნევს). ეს რა უმეცრება მომივიდა!.. ჰე, ღმერთო მაღალო, დაილოცა შენი სამართალი!...

მელხტალი.

მე სადღა ვიყავ მაშინ, უბედურო მამა ჩემო!

გ. ფურსტი.

გული შეიმაგრე, ნაღველს ნუ მიეცემი.... გაუკაცურად მოიქეც...

მელხტალი.

ჩემთვის, ჩემი დანაშაულისთვის დაკარგა თვალები! საუკუნოდ მოაკლდა თვალში სინათლე!...

გ. ფურსტი.

იმის სიყვარულით მაინც შეიმაგრე თავი.

მელხტალი.

არ შემიძლიან!... (ხელებს მიიფარებს პირზედ და რამდენიმე ხანი ჩუმად არის, შემდეგ მიუბრუნდება ორივეს და ლაპარაკობს ერთ ტირილის ხმით). ოჰ, თვალის სინათლევ, რა ძვირფასი ნიჭი ხარ! ყველა სულიერი შენით ჰსცხოვრებს და შენით არის ბედნიერი; თვით მცენარეც კი ეტრფიალება სიხარულით მზის შუქს, და მამა ჩემი კი ყოველთვის უნდა ჰხედავდეს სიბნელეს, იმისთვის ყოველთვის ღამე უნდა იყოს!... განაღა გაახარებენ იმ უბედურს მწვანედ აღყვავებული

ველები! ან დილის გარიჟრაჟს კიდევ და ჰნახავს როდისმე?! ოჰ, შე დალოცვილო ღმერთო! სიკვდილი—კიდევ ჰო, მაგრამ რას უნდა ჰგვანდეს საბრალოს სიცოცხლე, რომლისაც სინათლის დანახვაც ვერ შეეძლება. რას მიყურებთ ეგრე მონაწილეობით? მე ხომ არა ვარ ბრმა?.. აჰ, ნეტა შემეძლოს ამ თვალებით ნახევარი სინათლე მაინც დაუბრუნო!.

შტაუფახერი.

კიდევ ესეც უნდა გითხრა—დეე მწუხარება მოგემატოს—მოადგილემ ყოველი ფერი წაართვა: მამაშენს დარჩა მხოლოდ ერთი ყავარჯენი, ახე რომ უბედურმა მოხუცმა, ბრმამ და შიშველმა უნდა აქა-იქ იგლახოს.

მელხტალი.

ყავარჯენის მეტი აღარა დარჩარა! ყველა წაართვეს და თვალის სინათლეც, რომელიც გლახებსაც არ აკლიათ? მაშ ეხლა ნუღარავინ მეტყვით: დაიმალეო. მე უღირსი, მხოლოდ ჩემი თავისთვის ვფიქრობდი, და შენ კი სულ დამავიწყდი, უბედურო მამა ჩემო! ეს რა მოუვიდა ჩემს თავს? გირაოდ მიგეც სისხლის მსმელ მტარვალს თუ?! ახლა კი კმარა! ახლა კი მაგიერის გადახდას ვეცდები, წავალ პირ-და-პირ მოადგილესთან და მამიჩემის თვალებს უკანვე მოვთხოვ, თუ არ მომცემს, იმის ხელ ქვეითებს იმის თვალ წინ გამოვჩიჩქი! ეხლა ჩემთვის ყველაფერი ფუჭია, და ან კი რათ მინდა თავი ცოცხალი, თუ ჩემი უბედურება იმისი ბოროტი სისხლით არ გავიბანე. (წასვლას აპირებს).

ვ. ფურსტი.

მოიცა!.. ახა რას გააწყობ შენ იმასთან? ეხლა ის სარნენში ჰსცხოვრებს, თავის მაღალ ციხე-დარბაზში,—იქ იმას შენი ულონო სიფიცხე ვერ შეაშინებს.

მელხტალი.

თუ გინდ თვით შრეკგორნის გაყინულ მწვერვალზედაც ჰსცხოვრობ-

დეს, ან კიდევ უფრო ზევით—უნგრავის მწვერვალზედ,—გზას უშოვნი მე იმას! ერთი ოციოდე ჩემისთანა ბიჭი და იმის ჯანი! ერთი ოციოდე ბიჭი თუ ვიშოვნე, ჭნასავთ იმის ციხე-დარბაზს როგორ მიწს დავცემ. თუ ვერავის ვიშოვნი-და, ან თუ კიდევ თქვენ ყველანი სასლობითა და სარჩო-საბადებლით ქვეშ გაქეფინებით ჩვენს შემავიწროებელს,—მაშინ წავალ მთებში, დავუმასხებ მწყემსებს და იქ, სადაც თავის უფალს სულს არავისი ეშინიან, არც გულს გამოუცდია რამე შევიწროება,—იქ მეთქი, მწყემსებში, გავამყლავნებ ყველა უსამართლობას, რასაც ჩვენ გვაღწევენ ბოროტის-მოქმედნი.

შტაუფახ. (ვ. ფურსტს).

ბოროტება თავს გადმოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ დავიცადოთ, და თუ უარესი იქნება...

მელხტალი.

უარესი? რაღა უარესი, ამაზედ უარესი რაღა იქნება? თვალებსაც კი აღარ გვარჩენენ! რაღა მოვიცადოთ? ძალიან უშიშრობაში ვართ, განა? მაშ რისთვის გვასწავლიდნენ შვილდისრის ხმარებას და მიზანში სროლას; რად გვინდოდა, რომ ხმლის ხმარებაზედ იმდენს დროს გვაკარგვინებდნენ?—პირუტყვებისთვისაც კი მიუცია ღმერთს იარაღი, რომ მტერს პასუხი გაეცითო და ჩვენ რაღა დავგვემართა. აბა შეხე; დეთ ირემს. ძაღლები რომ მიესევიან, თავის რქებით იგერებს ხოლმე-ან ჯიხვი რომ მონადირეს დაინახავს, თავის ხერხით იმდენს ეცდება—კლდეზედ გადმოაგდებს ხოლმე; თითონ ხარი, ხომ ისეთი მორჩილი საქონელია, მაგრამ ისიც კი გაჯიჯრების დროს თავის მტერს რქებით მაღლა აისვრის ხოლმე.

ვ. ფურსტი.

სამი ჩვენი კანტონიც რომ ჩვენსავით ფიქრობდნენ, მაშინ მგონი შევიძლებდით რასმე.

შტაუფახერი.

ერთი კი დაიძახოს ურმა და—ჭნახავთ, რომ შვიცეც და უნტერვალდენიც დაეშურებიან იმასთან შეკავშირებას.

მელხტალი.

მე უნტერვალდენში ბევრი ისეთი მეგობრები მყვანან, რომ სიხარულით აუდგებიან მტერს, თუ რომ იმედი ექმნებათ სხვა განტონების შემწეობისა.—თქვენ, ჩვენი ქვეყნის მეგობარნო, ხუცესნო! მე თუმცა უმაწვილი ვარ და ვალი მაქვს თქვენ წინ ჩუმად ვიყო; თუმცა ახალგაზდა ვარ წლითაც და გამოცდილებითაც, მაგრამ გევედრებით მოისმინეთ ჩემი საუბარი. ნუ გეგონებათ, რომ ახალგაზდა სისხლი სდუღს ჩემში,—არა, ჩემში უბედურება სდუღს, რომელზედაც იქნება გამხმარ კლდეებსაც კი მოუვიდეს ცრემლი. თქვენც, უეჭველია, გსურსთ, რომ თქვენი შვილებიც ისეთი ღირსების პატრონები იყვნენ, რომ არავის აპატიონ თქვენი გაუპატიურება. მართალია, თქვენი ქონება ჯერ აუკლებელია და არც თვალები დაუთხრიათ ჯერ თქვენთვის; მაგრამ იცოდეთ ეს უბედურება შეიძლება მალე თქვენც გეწვიოსთ, რადგანაც თქვენც ჩვენ ქვეყანაში სცხოვრებთ; თქვენშიაც ისეთი სისხლის მსმელი მტარვალია, როგორც ჩვენში; ამასთან, გახსოვდეთ, მამაჩემივით თქვენც სცდილობდით, რომ ავსტრიისთვის უფლება ჩამოგერთმევინათ და უეჭველია თქვენც უნდა გეშინოდეთ.

შტაუფახერი. (ვალტ. ფურსტს).

გაჰბედეთ—მეც მოგყვებით.

ვ. ფურსტი.

მაშ დავეკითხნეთ ჯერ სელლინის და ატტინგაუზენის მფლობელებს; იმათი სახელიც დიდი რამ არის ამ საქმისთვის.

მელხტალი.

რას ბძანებთ? ვისი სახელიღაა პატივცემული ამ ჩვენ მთებში, თუ არ თქვენი? ხალხი ყოველთვის პატივის ცემით გიხსენიებს თქვენ და უეჭველია თქვენ უფრო დიდი გავლენა გექნებათ იმაზედ. თქვენ არ გაავრცელეთ ეს ჩვენი მამა-პ.პის მამული! მაშ რაღათ გვინდანან რაინდები? ჩვენც სამყოფნი ვართ; ჩემის ფიქრით, მარტონიც კარგად მოვიგებთ საქმეს.

### შტაუფახერი.

მე დარწმუნებული ვარ: დიდკაცებს არ ესმისთ ჩვენი საჭიროება; ვის გაუგია, რომ ხევების რუები მთების წყაროებთან ასულიყვნენ. მაგრამ მაინც იმედი მაქვს უარს არ გვეტყვიან შემწეობაზედ, თუ ჩვენ ყველანი ერთგულად მოვეკიდებით ჩვენ საქმეს.

### ვ. ფურსტი.

კარგი იქნებოდა, რომ შუამავალი ვინმე გვყოლოდა მეფესთან, იქნება სამართალი მოეცა. მაგრამ რასა იქ? ჩვენი შემავიწროებელი თითონ შემძლებელ კეისარსაც არ დაუვარდება; ჩვენი მსაჯულიც ის არის და ჩვენი მეფეც: მეტს რას გავაწყობთ? უნდა მხოლოდ მოუწოდოთ მაღალ ღმერთს და ვითხოვოთ იმისგან შემწეობა! — თქვენ მოაგროვეთ შვიცში თქვენი მეგობრები; ურში მე მოვაგროვებ. მაგრამ უნტერვალდენში ვიღა გავგზავნოთ?

### მელხტალი.

მე აქ არა ვარ? სხვას ვის გაჰგზავნით?

### ვ. ფურსტი.

არა, შენ ვერსად გაგიშვებ; შენ ჩემი სტუმარი ხარ, — პასუხის გებაში არ ჩავვარდები.

### მელხტალი.

არა, გეთაყვა, მე წავალ! მე იქაური ხევები და ბილიკები არც ერთი არ გამომეპარება, და ისეთ მეგობრებსაც ბევრს ვიშოვნი, რომ დამმალონ მტრის თვალისგან.

### შტაუფახერი.

წავიდეს, ფიქრი არ არის. იქ ამას არავინ გასცემს: ასე სძულთ იქაურებს თავიანთ მთავარ-მმართებელი, რომ ერთ მსტოვარსაც (მზვერავსაც) ვერ იპოვნის იქ კაცი. ამას გარდა ალცელნიც იქ გავგზავნოთ, იმანაც თავის ამხონები მოგვიგროვოს და ხალხიც ააღელვოს.

მელხტალი.

ახლა ჩვენი ამბავი ერთმანეთს როგორ შევატყობინოთ, რომ მტარვალი ვერ მიხვდეს ჩვენს წადილს?

შტაუფახერი.

ჩვენ შეგვიძლიან შევხვდეთ ერთმანეთს ბრუნენში ანუ ტრეიბში, სადაც სავაჭრო გემები დადგებიან ხოლმე.

ვ ფრუსტი.

ხუმრობა საქმე არ არის, ამის გაამჟღავნება არ შეიძლება: ჩვენ უნდა დაფარულად ვისაქმოთ. აი ჩემი რჩევა: ტბიდან მარცხნივ ბრუნენის გზა რომ მიდის, იქ დაბუჩქულ ტყეში არის ერთი ველი, რომელსაც მწყემსები რიუტლის ეძახიან, ეს ალაგი სწორედ ჩვენი კანტონების მიჯნაა. (მიჰხედავს მელხტალს). თქვენ შეგიძლიანთ (მიჰხედავს შტაუფახერს) შვიციდამ პატარა ნავით მოსცურდეთ იმ ალაგს; ჩვენც ღამე მოვალთ იქ დაფარული ბილიკით და — ვითათბიროთ. ამასთან ჩვენ შეგვიძლიან მოვიყვანოთ ხოლმე თან ათამდის მეგობარი; — დროცა ამნაირად შევასრულებთ ჩვენს თათბირს, მაშინ საქმესაც ხელი მივყოთ.

შტაუფახერი.

მე თანახმა ვარ. ახლა, ჩემო მეგობარნო, შევაერთოთ ხელები ერთად. როგორც ეხლა ჩვენ სამნივ ხელებით შეკავშირებულნი ვდგევართ, ისე შევაკავშიროთ სამივე ჩვენი მაზრა და შეერთებულის ძალით წავართვათ ჩვენს მტერს — მტარვალს ჩვენი თავისუფლება, ან არა და სულ დავიხოცნეთ! ან თავისუფლება, ან სიკვდილი!

ვ. ფრუსტი და მელხტალი.

ან თავისუფლება, ან სიკვდილი!!, (ამათ ერთმანეთის ხელები უჭირავსთ და ასე დგანან რამდენიმე ხანი)

მელხტალი.

უსინათლო მამაჩემო! ვეღარ ჰნახავ განთავისუფლების დღეს, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ შეიტყობ კი, როგორ ავანთებთ მთებზედ ცეცხლს და ამით შევატყობინებთ მტერზედ დაცემის დროს: როგორ დავამსხობთ ჩვენ ამაყ შემავიწროებლებს და დავიბრუნებთ ჩვენი მამა-პაპის თავისუფლებას! ნეტარება იმ დღეს! ისარზედ უჩქარეს მოგივა ამ ბედნიერი დღის მახარობელი და იქნება მაშინ მაინც იგრძნო სინათლე!... (დაიშლებიან).

# ს ც ე ნ ა

## ე რ თ ი მ ა ზ რ ი ს მ ო მ რ ი გ ე ბ ე ლ მ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს წ ი ნ.

(ხალხი, შეკრებილი სხვა და სხვა სოფლებიდგან და ქალაქებიდგან, დილით ცხრა საათზედ, მოუთმენლად ელოდებიან მომრიგებელს მოსამართლეს, და სხვა და სხვა ენებზედ მოჩივარნი უამბობენ ერთმანეთს თავიანთ საქმის გარემოებას. ამ ხალხში შიგა და შიგ ირევიან: განცხადების მწერლები და ადვოკატები).

თათარი გულ-მაჭმად-უზეინ-ოღლი (ჩარვადარი თათარი, თავის ნაცნობს კაცს უამბობს თავისს საჩივარს).

კასო (კაცო) ჩემთან ქალაქიდამ (ქალაქს იმ მაზრაში, სადაც ეს სცენები წარმოსდგება მდაბალი ხალხი და მომეტებული მაღალისაც ემახიან თ ბ ი ლ ი ს ს) გუშინ წინ ჩემცხენებზედ ერთი სომახი და ერთი ურია მაიტანა. გარიგებული ვიყავ ოროთ მანეთათ აქამდინ; ესლა სომახმა მოგცა ჩემთან ქირა, ურია კი არ აძლევს, ბრისტავთან უთხარ, ჩემი საქმე არ არი—დეირ, (დეირ თათრულად—სთქვა,) მიროვი სუდთან წადი—დეირ... ესლა აქ მოსულვარ.

თათრის ნაცნობი კაცი.

რატო აღარ გაძლევს, რას გეუბნება?

გულ-მაჭმად-უსეინოღლი.

რავიცი, შარი უგონებს, ამბობს: ჩემ ხურჯინშია, რავიცი, რაღაცა სახელი ამბობს, კალბაზი (კალბასი) იყო და აღარ არისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათრის ნაცნობი კაცი.

კალპაზი რა არის?

გულ-მაჭ-მადა.

არ ვიცი ჩემი თავის მზემ. თუ იმას ამბობს: ერთი ძროხის წელში გამსებული ხორცი ჰქონდა მაგას, დუქანთან, რომ მოვალთ მაშინ დასჭრა და ჭამა; არვიცი მაგას თუ ამბობს.

თათრის ნაცნობი.

ნეტა რა იქნებოდა! უთუოდ მკირკასი რამ იყო.

გულ-მაჭ-მადა.

რა მკიროვასი, კასო, ბაზარშიაც არა ჰყიდიან აქ, ერთი ერთ შაურათ, ჯოხზედ არის გაკეთებული ჩურჩხელასავით.

თათრის ნაცნობი.

შენ უთუოდ მქხვებს ამბობ.

გულ მაჭ მადა.

რა ვისი, იმან ეუბნება კალპაზიაო, რა ვიცი, ხათაბალა კია ჩემ თავსა, ეხლა მიროვი სუდთან უნდა უთხრა არვისი გადასჭრის სამართალს თუ არა?

თათრის ნაცნობი.

რავიცი, ჩვენმა მამასახლისამ კი ბძანა, რომ ყველა საქმის გადაჭრა შეუძლიან მირვნის სუდარაო.

გულ-მაჭ-მადა.

შენთან რაღა საქმე გაქვს?

თათრის ნაცნობი.

ღმერთი, რო გაუწყრეს აგ კაცსა და მაბეზარს!... რა ვიცი, კაცო, გზაზე მოვდიოდი ჩემთვის სამუშაოდამ; სოფლისთავში რომ მოველი, შორიდამ დავინახე ორი კაცი ძამგილაობდნენ ღობის ძირას. ეოხერი, გულმა არ მომითმინა, ვსთქვი ერთმანეთი არ დახოცონ მეთქი, ჩემს მეტი მე ხორციელი კაცი არავინ არ იყო, მივედი რო-

გორც იყო გავაშველე, იმ ერთმა მაშინვე დაიძახა: ჭი, მოწამე იყავიო მკლავდაო. მე მაშინვე გულში დანახსავით მეცა, რომ ეს არის უთუოდ მოწმად დამწერენ მეთქი, და მაინც კიდევ არ ამცდა. ეხლა იმ ერთს უჩივლია და ლაზბორი (რაზბორი, გარჩევა) ყოფილა. იმ დღეს პრისტავი ჩამოვიდა და მითხრა შენზედ სწრაფის (შტრაფი) დადებული ერთი მანეთიო, სუდიისაგანა, რადგანაც შენ მოწმად ყოფილხარ მიწვეული და არ ჩასულხარ თავის დროზედ სუდშიო.

მეორე მოჩივარი.

უწყება გქონდა ჩაბარებული თუ არა?

თათრის ნაცნობი.

შენი ცოდო არა მქონდეს არც უწყება, და არც გამეგონოს ვისგანმე დაბარება, თორემ განა არ ვიცი ..... კანონის ზაკონის ანგარიში, რომ ცუდად მომივიდოდა საქმე.

მეორე მოჩივარი.

ფიქრი ნუ გაქვს, გაპატიებენ, თუ მართლა უწყება არ მიგიღია.. ეგ რა ქაღალდი გიჭირავს ხელში?

თათ ის ნაცნობი.

ეს მოწმობა მამცა მამასახლისმა, რომ თუ შეეტყო ამასაო თქვენი ბძანებაო უთუოთ გიასხლებოდათ თქვენ სასამართლოშია.

მეორე მოჩივარი.

ეგ კაი ქაღალდი ჭგქონია, უთუოდ გაპატიებენ.... შენ კითხვა არ იცი? აბა ემა გვერდზედ რო გიდგა, მაგას წააკითხე, მაგან ყველა ფერი იცის გზა და კვალი—ადვოკანტია (ადვოკატი).

თათრის ნაცნობი (რუსულად ჩაცმულს ადვოკატს).

ღმერთი გადღეგრძელებს, აბა ერთი ე ქაღალდი წამიკითხე და ამისი ანგარიში, შემატყობინე.

ადვოკატი (გაჯავრებით).

რას მიჰქარავ, კაცო, მე რა შენი მოჯამაგირევარ, რომ ქაღალდები წაგიკითხო მუქთად.

თათრის ნაცნობი.

თქვე ღვთისგან დალოცვილებო, რათ გინდათ ე თქვენი სწავლა თუ არ გამოიყენებთ, ი დალოცვილმა ღმერთმა იმიტომ არ გააჩინა კითხვა-წერა, რომ ვინც არ იცის, ეგეთანა ჩემსავით ბეჩავ კაცს წაუკითხოთ და დაუწეროთ.

ადვოკატი.

არა შენ ერთი ეს მითხარი, შენ, რომ გუთნის დედა იყო და გუთანი გეჭიროს ხელში, მუქთად უხნავ ვისმე ალოს, აბა ერთი მისი პასუხი მომეცი შენ? ჩვენი ხელობა ეს არის, ამითი ვცხოვრობთ.

თათრის ნაცნობი.

არა კიდეც ი გუთნის გამჩენის ჭირიმე, ი რომ არ გვეჩინა ღმერთსა და ჩვენ, მე მგონია, ეგ თქვენი, კალამი ძალიან თხელია და ვერც მოხნავდა და ვერც მოსთესავდა.

ადვოკატი.

მე შენთან საფილოსოფოდ არ მცალიან, თუ მამცემ ჩემს გასამრჯელოს, კიდეც წაგიკითხავ და კიდეც დაგარიგებ, თუ არა—შენ იცი. ეგრე, რომ ყველას მუქთად ვასწავლოთ, ყველა ისწავლის კანონებს და თითონ ადვოკატები გასდებიან და ჩვენ—შიმშილით დავიხოცებით.

მესამე მოჩივარი. (ყურს უგდებდა ადვოკატის ლაპარაკს).

ეჰ! გლეხ კაცის გაჩენაში ღმერთი არ ურევია.... არა ერთი ჩვენთვინა ვთქვათ, ე გლეხ კაცები, რომ არ გავეჩინეთ ღმერთსა, ე თავადი ხალხი როგორ დარჩებოდა, ეგენი ხო ვერც მოხნავდნენ და ვერც მოსთესავდნენ და ვერც არა სხვას იმუშავებდნენ. ჩვენი შრომით

ვინახავთ რამდენ ხალხს, რომლებსაც არც ხვნა იციან და არც თესვა და ეგენა ერთი ბეწოხან ქაღალდის წაკითხვას გვზარდებიან. და ფულს გვთხოვენ. ეჰ, ღმერთო, დაილოცა შენი ღვთი განგება და სამართალი!

თათრის ნაცნობი. (ხსნის მონძებიდგან შეკერის ქისას და არჩევს თამბაქოდამ გროშებს და მიუახლოვდება ადვოკატს)

აბა, აი ის წეღან რომ ქაღალდი გაჩვენე და ფულიც, ვინძლო ხერხად გამიკეთო კარგად, შენი გამჩენის ჭირიმე. ეხლა განცელაში ვიყავი და იქ მითხრეს, რომ რუსულად უნდა პრაოჩიკს გადაათარგმნებინო, თორემ სუდია არ მიიღებსო. (აძლევს ქაღალდს და ფული კი ხელში უჭირავს).

ადვოკატი. (ართმევს ქაღალდს და მერე ფულს და რომ ჰნახავს, რომ ერთ შაურმეტი არ არის, მაშინ ჯავრობით გლეჯს:)

შენ ვის უბედავ შაურის მიცემას შე....... მე შენ მაგგვარი სიბრიყვისათვის აიქ (უჩვენებს საბყრობილეზე) ექვსი თვე ჩაგალპობინებ!!

თათრის ნაცნობი. (მშვიდად).

შე დალოცვილო, რა ვქნათ, გლეხ კაცი ვართ, რომ მეტი ვერ გვიშოვნია, მაშ ოჯახი ამომიწყდეს, თუ ჩემ სახლ კარში მაგაზე მეტი გროში იშოვებოდეს, ესეც იმ დღეს ერთი დღე უშველე გასპარას (მოვაჭრე სომეხია) სუთ შაურად, ერთი აბაზი ქალმებში მივეცი, ერთი შაური ღა დამრჩა, თამბაქოსთვინ შევინახე და ეხლა იმას შენ გაძლევ და შენ რას ჯავრობ, შე დალოცვილო. ღმერთი ხელ მოგიმართავს, ემას დამჯერდი, და ერთი კაი დედალსაც მოგართმევ ხვალა.

ა დ ვ ო კ ა ტ ი. (გაჯავრებით) შენ კიდევ არ მეშვები! (ხალხისკენ). აი

მოწმება იყავით, ამ კაცმა აბიდა მამცა;.. აბა ეხლა მე შენ გაჩვენებ შენ სეირს........

ხალხი (თათრის ნაცნობს).

აქეთ მეეტლე, კაცო, გიჟი ხომ არა ხარ შენ? რას ჩაასცივდი!

თათრის ნაცნობი.

ე ტიელი რა ბედისავარ! არ გამილანძღავ, და არაფერი... ფული ვაძლიე... თუ ამაზე მეტი მქონდეს და არ ვაძლევდე, მაშინ მინავოთი ვიქნები, რომ ამაზე მეტი არა მაქვს რა უნდა უყო. თუ კი მაგდენი მექნება, მანეთს იქ შევიტანდი და მოვიშორებდი, და არც მაგას შევეხვეწებოდი და აღარც სხვას.

განცხადების მწერალი.

რა გაქვს დასაწერი აბა მიჩვენე?

თათრის ნაცნობი.

აი ე ქაღალდი, რა ვიცი რა ტიალობაა.

განცხადების დამწერი. (ართმევს და კითხულობს).

ეს მოწმობა მოუცია შენთვის მამასახლისს, რომ სცოდნოდათ ამას თქვენი დაბარება უთუოთ მოვიდოდათ ეხლა რა უნდა ამას?

თათრის ნაცნობი.

რავიცი, კანცელარიაში მითხრეს რუსულად გადაათარგმნეო.

განცხადების მწერელი.

რას აძლევ ამის გასაკეთებელს?

თათრის ნაცნობი.

აი ემას ვაძლევ. (აჩვენებს ერთი შაურის გროშებს). ამის მეტი არცა მაქვს მე და ჩემმა დაჭირების დღემა.

განცხადების მწერალი.

იმას წელან რაღაცა ქათამსაც ჰპირდებოდი.

თათრის ნაცნობი.

ჰო, შენც მოგართმევ, ერთ კაი დედალს თუ გამიკეთებ.

განცხადების მწერალი.

მაშ ორი დედალი მომიყვანე ხვალ და დაგიწერავ, როგორც ზაკონია. ქაღალდსაც ჩამოგართმევ, რომ თუ ხვალ ორ კარგ დედალს არ მომიყვან, მაშინ ხუთი მანეთი გადაისადო ჩემს სასარგებლოდ.

თათრის ნაცნობი.

მაშ ქვათ მეგცეს თავი თუ ჩემს სახლში სამი დედლის მეტი იყოს; ერთი კრუხათა ზის, ერთი წიწილების დედა არის და ერთიც კვერცხის მდებელია, რომელიც შენ უნდა მოგიყვანო. მყვანდა ქათმები, განა არა მყვანდა, მაგრამ ერთი ოხერი ქორი შემეჩვია და ისე გაზიდა, რომ სამის მეტი აღარა მყავს.

განც. მწერალი.

ეჰ, რაკი საწყალი ჭყოთვილხარ, დაგიწერავ. ისე მუქთად. მაგრამ დედალი კი მაიყვანე უთუდ. (ართმევს ქაღალდს).

თათრის ნაცნობი.

(აძლევს ქაღალდს და ეუბნება) დედალსაც მოგართმევ, და მეც ისეთი კაცი არა ვარ: ერთი დღე მუშაობა სადაც შენი ნება იყოს დამიძახე, თუნდა სისხლის ღვრის დრო იყოს (ივნისსს და ივლის ემახიან)

განცხადების მწერალი.

(სწერს და თან იმას ელაპარაკება). მე შენი შველა რათ მინდა, ვენახი არა მაქვს და ყანა. აი მოვრჩი კიდეც, წაიღე და მიართვი სუდიას.

თათრის ნაცნობი.

აი დავგელოცა მკლავი მარჯვენა, ღმერთმა გადემელოს. (ართმევს ქაღალდსა და მიდის სუდიასთან).

მეოთხე მოჩივარი. (განცხადების მწერალს).

აბა ერთი ამის ანგარიში შეიტყე, და რაც გერგებოდეს ანგარიშში გაგვაწერინეთ. (აძლევს უიმისოთ გადაწყვეტილობის განაჩენის პირს).

განცხადების მწერალი. (წაიკითხავს და ეტ-ყვის).

ეს უშენოდ გადაწყვეტილობის განაჩენის პირია, რომლითაც შენ-ზედ დაუდვიათ მირონ ხეჩოვის სასარგებლოდ ერთი ურემი ღვინო, ეხლა შენ ამას გიგზავნიან და გაძლევენ ორი კვირის ვადას, რომ თუ საბუთი გაქვს რამე ამ ვალის მიცემაზედ ორი კვირის განმავლობაში შეიტანო.

მეოთხე მოჩივარი.

ვაიმე, რა დაუღუპივარ იმ ოჯახ ამოსაოვხვნელს! შენი კვნესამე, თუ მეშველება რამე მიშველე, მეც ისე არ მინდა, სამსახურს გაგიწევ.

განცხადების მწერელი

აბა მიამბე გარემოება ამ საქმისა, ფასზედაც მოვრიგდეთ და და-გიწერ.

მეოთხე მოჩივარი.

აი საქმე როგორ გახლავს, მოგახსენო: ჩემ საწყალ უფროსს ძმას, ჩემი რძალი რო მოკვდა, იმის სამარხათ ერთი თუმანი აეღო მაგისაგან და სარგებელი მაშინვე ზედ მისულიყო ზედა — ერთი საპალნე ღვინო დაეწერა, ქაღალდიც მიეცა, რომა, თუ ვინიცობაა ღვინო ვერ მოგცეო, მაშინ ხუთი თუმანი მოგცეო. გაუწყრა ღმერთი, ჯვრ რომ ე ნაცარი გვღუპავს, ახლა კიდევ დავისეტყვენით და აბა რაღას მივ-ცემდი იმ წელსა.

განც დამწერი.

მაშ შენ ამბობ, რომ არ მიგიცია რაღა?

მეოთხე მოჩივარი.

არა, შენი ჭირიმე, მე იმას ვამბობ, რომ იმ წელიწადს ვერ მივეცით მეთქი.

განცხადების მწერელი.

აბა მაშ გაათავე, ზღაპრებს კი ნუ მოჰყვები წარამარად.

მეოთხე მოჩივარი.

ერთი კარგათ უნდა გიამბო, შენი ჭირიმე, თავი კი შეგეწყინება, მაგრამ ყური უნდა დამიგდო. სად დავადექენე ლაპარაკი? ჰო, იმას მოგახსენებდი: იმ საწყალმა ჩემმა ძმაც თქვენი ჭირი წაიღო იმ წელსა და აბა როგორც მოგეხსენება მკვდარს თავისი ანგარიში და დამარხვა უნდა......

განცხადების მწერელი

მე შენი სახლობის ამბავი რათ მინდა: ვინ მოგიკვდათ და ვინ არა, მე საქმის გარემოება მიამბე მიცემული გაქვს თუ არა, თუ მიცემული გაქვს ბათილამა გიჭირავს ხელში, თუ არა?

მეოთხე მოჩივარი.

მე დალოცვილო, აბა როგორ გითხრა მივეცი მეთქი, რომ ჯერ იქამდის ვერ მიველი, აცა შენი ჭირიმე, მოგახსენო ერთი კარგა, რომ მოსამართლესაც ისე დაასმინო შენ ქაღალდით.

განცხადების მწერელი.

შენ ისე გგონია, რომ მე შენს მეტი საქმე არა მქონდეს, რომ მთელი დღე შენზედ მოვცდე; თუ გაათავებ ჩქარა გაათავე, თორემ ამ ქაღალოსაც გადმოგიგდებ და არც ყურს დაგიგდებ.

მეოთხე მოჩივარი.

აი, ვათავებ, შენი ჭირიმე... იმას მოგახსენებდი როგორც იცით გლეხობის ანგარიში იმ წელიწადს ის ძმა გამიხდა დასამარხავი, აბა იმას ის ერთი ხაპალნე ღვინო ვეღარ მივეცი, წამოვიდა და იმან ხუთი თუმნის თხოვნა დამიწყო, მერე აქეთ იქით მოგვარიგეს სალხმა და იმ ხუთ თუმანში ერთი ურემი ღვინო დამაწერეს, თუ არ მიმეცა კიდევ — თხუთმეტი თუმანი უნდა მიმეცა; ახლა შარშან ორი ხაპალნე და ნახევარი სულ წითელი ღვინო ჩავაბარე.

განც. მწერალი.

ბათილამა გაქვს?

მეოთხე მოჩივარი.

არა, არა მაქვს, იმ ოჯახ დაღუპილმა ისე მითხრა, შვილოთ, რაკი შენ რიგიანათ გამისწორდიო იმ ნახევარ საპალნე ღვინოსაც გაპატივებთო, ქაღალდი ეხლა შინ დამრჩაო და ხვალ დაგიხევთო; ახლაკი წამოსულა და უჩივლია. ეს მთელმა სოფელმა იცის.

განცხადების მწერელი.

ეხლა შენ რა გინდა? გინდა, რომ მეორედ დანიშნონ გარჩევა ამ საქმისა, თუ გინდა, რომ შენ მაგივრად სუდში პასუხი მისცეს,-პოვერნიად გაგიხდეს.

მეოთხე მოჩივარი.

მე დალოცვილო, მე რაც კარგია, ის მინდა და რაც ჩემს საქმეს მოუხდება! მე, რომ მაგვდენი ვიცოდე ხომ შენთან აღარ მოვიდოდი.

განცხადების მწერ..

ნდომაზედ ხომ არ არის, აქ სხვა ანგარიშია, თუ მარტო ქაღალდის დაწერა გინდა იმაზედ, რომ საქმე მეორედ დანიშნონ გასარჩევად—იმის გაკეთება როგორც კანონია სამი მანეთი ეღირება, და თუ გინდა, რომ შენ მაგივრად ამ საქმეზედ შრომა გასწიოს, ამას დიდი ანგარიში, დიდი კანონების ცოდნა უნდა შვილო, შენ ამას ვერ შეიძლებ, მაშინ, ის ერთ ურემ ღვინოს არ გედავება ან თხუთმეტ თუმანს, —შენ უნდა ათი თუმნის ქაღალდი მამცე, იმ ათი თუმნიდამ ხუთი თუმანი ეხლა ამ თავით და ხუთი თუმანიც როცა საქმეს გავათავებ.

მეოთხე მოჩივარი.

თუ ვერ მაიგე, ხო იმასაც თხუთმეტი თუმანი უნდა მივცე, და შენ ათი თუმანი რაღათ მოგცე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადების მწერელი.

არა, მე ხომ ეხლავ ათ თუმანს არა გთხოვ, ხუთი თუმანი ეხლა და ხუთი მაშინ თუ მოვიგო საქმე.

მეოთხე მოჩივარი.

შენ სასარგებლოდ, მალიან კარგათა ბრძანებ, თუ ვერ მაიგე ხუთი თუმანი მაინც ხომ დაიკარგება ჩემი.

განცხადების მწერალი.

ჩემ შრომას არაფრად აგდებ; ქაღალდის დაწერა უნდა, ახლა რამდენი უნდა ვთხოვო, რომ ჩქარა დანიშნონ საქმე გასარჩევად, ახლა კანონების პოვნა, ისეთი კანონი უნდა ვიპოვნო, რომ ის გადაწყვეტილობა სულ გავაბათილო,—შენ ხუმრობა ხომ არა გგონია ეს საქმე!

მეოთხე მოჩივარი.

მე დალოცვილო, მაგდენი ილაპარაკე და სულ შენკენ, მანდ ჩემი სასარგებლო არა გამოვიდა რა; ის ხუთ მა თუმანმა მაინც კიდევ ისე ტყუილად უნდა წამიაროს.

განც მწერელი.

მაშ, როგორ გინდა შენ?

მეოთხე მოჩივარი.

მე ესე მინდა, რომ თუ გააუქმებ იმ საქმეს, ხუთ თუმანს მოგართმევ.

განცხ. მწერელი.

უჭკუო ხარ, გლეხ კაცი არა ხარ, არა შენ, რომ წააგო თხუთმეტი თუმანი უნდა მისცე იმას? რომელი გირჩევნია; ათი თუმანი მე მამცე თუ თხუთმეტი იმას? თუ გინდა, თუ ეხლა ფული არა გაქვს ხელში. ხუთი თუმნის თამასუქი მამეც ორი თვის ვადით და ხუთი თუმანიც თუ მოვიგო მაშინ მომეც, თუ არა და არ იქნება. ჰა რას იტყვი.

მეოთხე მოჩივარი.

არა, შენი ჭირიმე, შენ დამღუპავ, თუ ისა—ჩემთვის სულ ერთი იქნება, ეგრე თუ იქნება როგორც მოგახსენე კარგია, თუ არა და არ შემიძლიან. მშვიდობით, შენი ჭირიმე (მიდის)

განცხადების მწ[.]რელი.

აქმო, შვილო, ტყუილათ წახვალ, ჩემსავით ვერცარავინ ქაღალდს გაგიკეთებს და მოგატყუებენ კიდეც; ერთი სიტყვასაც გეტყვი, შენ არ გეგონოს, რომ გესვეწები,—მე ძალიან მებრალები და ამიტომ გეუბნები: ჰა თანახმა ხარ, რომ სამი თუმანის თამასუქი მომცე ეხლა და ხუთი თუმანიც როცა მოვიგო საქმე?

მეოთხე მოჩივარი.

არა, შენი ჭირიმე.

განც. მწერელი.

მოიცა კაცო, რას მირბიხარ, მაშ ეგრე თანახმა არა ხარ? ჩემი ცოლ შვილის მზემ, მეცოდები იმიტომ, თორემ ხელსაც არ მოვკიდებდი ისეთი ძნელი საქმეს, ეს. არც ორი თუმნის თამასუქი გინდა, უკანასკნელს სიტყვას გეუბნები.

მეოთხე მოჩივა[.]ი.

რო ჭკვაში მომდიოდეს, კიდევ შეიძლება, აბა შენ სულ შენკენა ჰკითხულობ სახარებას, მე დალოცვილო და.

განც მწერალი.

შენ შენი სასარგებლო საქმე არ გესმის, აბა რა გიყო, შვილო, მაშ ეხლა წადი, და რაც ბოლოს მე მლოცო-ის ჩემ ცოლ-შვილს მიუვიდეს, სთქვა, თუ ნეტავი მოვრიცებულიყავო.

განცხადების მწერელი (სხვა კაცს)

აბა შენ იმ კაცს დაუძახე, მითომ მე არა მითქვამს რა შენთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უთხარი: მოდი ერთ თუმნად მოგარიგებთ თქო, და თუ შენ ამას მოახერხებ, — მე შენ მუქთად დავიწერ ქაღალდს.

სხვა კაცი (ეძახის)

აქმო ერთი რა გითხრა.

მეოთხე მოჩივარი. (მობრუნდება)

რას მეძახი რა გინდა კაცო?

სხვა კაცი. (განც. მწერლს)

მოდი, ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი თუმნის თამასუქს დაა-ჯერდი ესლა და ხუთი მერე გამაართვი.

განც. მწერელი.

რას ემაწვილობ, განა ჩვენ მეუბრები ხომ არა ვართ, რომ ეგ-რე ოხრათ ვაკეთოთ საქმე.

სხვა კაცი.

არა უშავ რა დასჯერდი, კაი ოჯახი შვილია, სხვა პატივის ცე-მასაც გადაიხდის. აბა თამასუქი დააწერინეთ.

მეოთხე მოჩივარი.

მე ერთი გროშის თამასუქსაც ვერ მივცემ, გიჟი ვარ, კაცო, ის ფულიც წამართონ მაგასაც თამასუქი მივცე, ბარემ ჩემი ცოლ-შვილი წყალში ჩავყარო.

სხვა კაცი.

უნდა გითხრა, ასეთი ხელისა კია, რომ ჯერ ერთიც არ გაცუდე-ბულა მაგის ქაღალდი, ძალიან ბევრ საქმეებსაც აკეთებს

მეოთხე მოჩივარი.

არა, გეთაყვა, მე ეგრე თვალებს ვერ დავიბრმავებ.

სვ. მგალობელი.

# იმედს.

(სიმღერა ფიქრის შემდეგ).

ისევ შენ და ისევ შენ
ჩემო წინა მორბედო...
გამამხნევე ძაბუნი
მომავალის იმედო.

მხოლოდ შენა ხარ ჩემი
ნუგეშინის მცემელი,
ჩემსა სევდიან გულთან
მარად, მარად მყოფელი.

ოდეს სულში შემოდის
სასოწარკვეთილება,
მყისვე შენ მევლინები,
მყისვე სულიც მშვიდდება.

მაშ ისევ შენ, ისევ შენ
ჩემო წინა მორბედო!..
გამამხნევე ძაბუნი
მომავალის იმედო.

ნ. ლომაური.

1871 წ. ენკენისთვის 17-სა.

## ჩემს დედინაცვალს ქ.—ჩ—სას.

დედინაცვალი
თვალში ნაცარი.

ხ ა ლ ხ უ რ ი.

რას მომყვირი?—რა გინდა ჩემო დედმამის მკვლელო?
გიცან, გიცან—დამეხსენ ბოროტ გესლების მცველო!...
შენ მომიკალ დედმამა, ძმები ამომიწყვიტე;
დამაქციე, დამღუპე—ზედ შუაზედ გამწყვიტე.
მკლავ და არ გებრალები ჩემო ტვინის მწუწნავო,
და თანაც ჩამომძახი: მე ვარ შენი დედაო.
მაგრამ გიცან, დამეხსენ ბოროტ გესლების მცველო!
რას მომყვირი?—რა გინდა ჩემო დედ-მამის მკვლელო!..
ეხლა კი გცან ვინცა ხარ—ბოროტებით აღვსილი—
მე ის ნუღარ გგონივარ ერთხელ რომ მატყუებდი,
«იყავ შვილო უზრუნველად» ამას როს ჩამძახოდი
შენ გინდოდა, ბოროტო, ყოველი დამევიწყა,
რომ შენი შემაყურე მუდამ დავრჩენილიყავ.
მაგრამ ეხლა მიგიხვდი ჩემო დედ-მამის მკვლელო!..
რას მამყვირი?—რა გინდა ბოროტ გესლების მცველო!...
რომ ამელო რამ საქმე შენ ხელებში მწვდებოდი—
«მაგას მე გაგიკეთებ» თანაც მეუბნებოდი.
მეც ვიყავ უგუნური—შენ ყველას გიჯერებდი,

ყოველს შრომას ხელიდგან უზრუნველად ვაგდებდი.
ეხლა კი სრულებ გიცან ჩემო დედ-მამის მკვლელო!
რას მომეკირი?—რა გინდა ბოროტ გესლების მცველო!
დამეხსენ, დამეხსენი;—დამეხსენ გევედრები.
ღმერთო, ღმერთო შენ ჰკიცხე ყველა დედის-ნაცვლები!...

ნ. ლომაური.

1871 წ. ენკენისთვის 1 ხა.
ს. არბოში.

---

# ქალების წინააღმდეგ და სასარგე-ბლოდ.

### ფანნი ლევალდისა.

(გაგრძელება)

## მეოთხე წერილი.

ჩემის აზრით, საქალო სასელოსნო სასწავლებლებით ყველაზედ უფრო უწინ ისარგებლებენ ხელოსნისა, მეწვრილმანე მოვაჭრეებისა და ღარიბი მოხელეების (ჩინოვნიკის) ქალები; მაგალითებრ ბერლინში, თვით მდიდარი ხელოსნის ქალებიც კი ყოველთვის სწავლობდნენ რომელსამე ხელობას თავიანთი სარგებლობისთვის.

მე ვიცი ერთი მდიდარი ბაშმაკის მკერავი კაცი, კარგის სახლკარის პატრონი, რომელსაც ლონდონისა და პარიჟის გამოფენაზედ მიუღია მენდალი თავის ნაწარმოებისათვის, — თავის ერთად ერთს ვაჟს ასწავლებინებს პეტერბურღისა, ლონდონისა და პარიჟის საუკეთესო მაღაზიებში. ერთხელ იმან მე მიამბო, რომ იმისი უფროსი ქალი მაშინაზედ კერვით იგებს წელიწადში ოცდა ათ თუმნამდის. მე ვკითხე იმას, საქმობს თუ არა შენი ქალი შენ მაღაზიაში მეთქი? — «არა, მე არ მინდა რომ ფულის ანგარიში რამე მქონდეს ჩემ შვილებთანაო» მიპასუხა იმან. «ის ჰკერავს დიდი მაღაზიისათვის პალტოებს და წამოსასხმელებს, და მე თავის დღეშიაჳ არა ვკითხავ იმას, თუ რას

უშვრება თავის მოგებულ ფულებს; მე მხოლოდ ის კი ვიცი, რომ როდესაც ის მოაგროვებს ხოლმე ცოტაოდენს ფულს მაშინ მოვა ხოლმე და მთხოვს, რომ ის ფული ვასარგებლო იმის სახელობაზედ. იმ ფულიდგან ცოტაოდენს ნაწილს ის ჰხარჯავს ჩაცმა-დახურვაზედ, მაგრამ ძალიან ფრანტიც არ არის ჩემი ქალი, თითონ იკერავს კაბებს და წამოსასხმელებს, და რადგანაც მაღაზიიდან, სადაც თითონ ის მუშაობს, ფარჩეულს იაფად აძლევენ, ამისათვის ტანთ-საცმელზედ იმას ცოტა ეხარჯება. ის ეხლა არის ოცდა ორი წლისა; თხუთმეტი წლისა—იყო როდესაც იმან დაიწყო თავის შრომით ფულის მოგება და აი ახლა იმას აქვს ას ოც თუმნამდის, რასაკვირველია, ამ ფულის ჯამი შეიძლებოდა და კიდევაც უნდა მომეტებული ყოფილიყო, მაგრამ ამ სამი წლის წინ, იმან გაიცნო ერთი ყმაწვილი ექიმობის მოსწავლე სტუდენტი, ძალიან ღარიბი შთამომავლობისა, რომელსაც თავისის მეცადინეობით, თითონ გაუხსნია გზა შკოლაში და უნივერსიტეტში შესასვლელად. ის ლამაზი და რიგიანი ყმაწვილი კაცია; ასე რომ იმის წინააღმდეგ მე ვერას ვიტყვი. ისინი მე არაფერს არ მეუბნებიან, მხოლოდ ის ყმაწვილი კი ჩვენსა ხშირად დადის, და მე ეს კარგად ვიცი, რომ ჩემი ქალი ორი წელიწადია რაც იმას ფულით შემწეობას აძლევს, იმისთვის რომ ეგების უფრო ცოტა დრო დაკარგოს სხვის სწავლებაზედ და მომეტებული დრო ჰქონდეს დასრულების ეგზემენიის მოსამზადებლად,—ამისთვისაც რასაკვირველია კიდევ შემწეობას მისცემს. როდესაც საქმე ქორწინებაზედ მივარდება, მე მაშინ მივცემ მზითევს, და თუ პირველსავე დროს ახალ გაზდა ექიმს ბევრი ავადმყოფები არ ეყოლება, მაშინ იმას შეუძლიან ცოლის ფული მოიხმაროს. ჩემი ქალი ძალიან ხერხიანია, და სახლის გაძღოლაც კარგი იცის, ისიც პატიოსანი კაცია და ერთის სიტყვით იმათი საქმე კარგად წავა».

ამისთანა მაგალითები შემეძლო ბევრი მომეყვანა. 1866 წ. ბერ-

ლინში ჩემ წასვლამდის, მე გავიგე შემდეგი შემთხვევა. იქ სცხოვრებდა ერთი კარგი ნიჭის პატრონი გაზმის გამკეთებელი უმაწვილი კაცი; დარჩომილიყო ობლად ღარიბ დედ-მამის სიკვდილის შემდეგ, აეყვანა ერთს კარგს სახლობას და მიეცა გაზმის გამკეთებელ ოსტატთან ხელობის სასწავლებლად. როდესაც სწავლის დასრულების შემდეგ ის დაბრუნებულიყო ბერლინში, იმ განზრახვითს რომ იქ დასახლებულიყო, იმან ნახა თავის აღმზდელის და მფარველის ქალი, თავიზედ თხუთმეტი წლით უმფროსი, და ორი პატარა ქალის პატრონი, დიდ შეწუხებაში. ის გაჰყროდა თავის ლოთს და გარყვნილ ქმარს, და რადნაგაც სუსტი აგებულებისა ყოფილიყო, ამისათვის ვერ შესძლებოდა თავისთავის და შვილების შენახვა.

ახალ გაზდა ხელოსანმა აღარა იფიქრა რა და სთქვა: «თქვენ მე მშველდით ხოლმე, და ახლა მე უნდა თქვენ გიშველოთ. რაწამს ის კარგად მოეწყო, მაშინვე დედა თავისის ორი ქალით გადმოსახლდა ამ ხელოსანთან და ისწავლა ის მუშაობა, რასაც ჩვეულებრივ აკეთებენ მოწაფეები. მალე უმფროს ქალსაც შეეძლო სასწავლებელში შესვლა, და თავის-უფალ დროს შეეძლო ეშველა მუშაობაში ხელოსნისათვის. მშვენივრათ მიდიოდა იმათი საქმე; ის ახალ-გაზდა ხელოსანი იყო მაგალითი მეცადინეობისა და ცოტა ხნის შემდეგ აიყვანა რამდენიმე მოწაფეები და ქარგლები. მაგრამ უეცრად გაჩნდა ომი 1866 წ. ის გაიყვანეს სალდათათ და გაგზავნეს ბოჰემიის ჯარში. ძნელი საქმე მოუვიდა იმ საწყალ ხელოსანს, მაგრამ იმისმა თანაშემწემ იმ სამ წელიწადში ისე კარგათ ისწავლა ის ხელობა, რომ ერთის ქარგლით და რამდენიმე მოწაფეებით შეეძლო განეგრძელებინა მუშაობა. ყველა ბრძოლის შემდეგ მე ყოველთვის მივდიოდი ხელოსნის ამბის გასაგებად. რამდენიმე ხანი იმან მოჰსპო წერილის გამოგზავნა ჩვენთან, და ჩვენ ძალიან ვსწუხდით იმაზედ. ბოლოს დაბრუნდა ჩვენთან ცოტა ხნის ავადმყოფობის შემეგ, მშვიდობით და უვნებელად. მე წაველი იმის სახა-

სავად, იმას ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა, მაგრამ მაინც არ იყო სასოწარკვეთილებაში, თუმცა ზრუნვა უფრო მოჰმატებოდა. ადვილი არ არის მეორედ მომართვა და საქმის გაწყობა როდესაც კაცს მოაშორებენ ხელობას და სახელოსნო უპატრონოდ დარჩება. ერთ რიგად კაზმის გამკეთებელი არა სწუხდა, და არ იცოდა თუ როგორ ექო თავის თანაშემწეს მოცადინეობა და ერთგულობა. «ამ ავადმყოფ და სუსტ დედაკაცს, ამბობდა ხელოსანი, ჩემზედ ცუდად არ მიჰყოლებია საქმე. ქალიც ყოველთვის ყოჩაღად ყოფილაო, მარწმუნებდა მე. ქალი იყო მაშინ მისწეული თხუთმეტ წლამდის. «თქვენ არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ როგორი ხერხიანი და მარდია ის ქალი. წიგნის შეკერვაში ის აჯობებს თვით უკეთეს ქარგალს. როდესაც დაამტკიცებენ ხელობაზედ (დაილოცება) მაშინ მე ვეცდები, რომ სახელოსნო ამქარში ჩავაწერინო, და ნახეთ როგორ საგანგებო ხელოსანი დადგეს; ანგარიშიც უნდა ისწავლოს—დავთრების წერა, მე თითონ ხშირად ვსწუხვარ, რომ რიგიანი ანგარიში არ ვიცი».

მე ყოველთვის ვაქებდი იმის კეთილ განზრახვას და ვურჩევდი რომ იმას მიეცა ის ქალი ახლად დაფუძნებულ საქალო სახელოსნო შკოლაში. ახალ გაზდა ხელოსანს ძალიან კარგად ესმოდა იმ მაგალითის ღირსება, რომელსაც აპირებდა ეჩვენებინა თავის მოძმებისათვის.

ამ შემთხვევების გარდა შემეძლო კიდევ სხვებიც მომეყვანა, და მით მეჩვენებინა ხალხისათვის, თუ რა გზით უნდა მოველოდდეთ საქალო სახელოსნო შრომის გავრცელებას, და ამასთან ისიც რომ უეჭველია გაჭირება მალე გააქრობს იმ ცრუ აზრებს, რომელიც განსაკუთრებით იჭერს იმის გავრცელებას.

თითქმის ამავე მდგომარეობაში იყო კაცების სახელოსნო შრომაც. მე ჯერ ისევ კარგად მახსოვს ის დროება, როდესაც მოხელეებს (ჩინოვნიკებს), პროფესორებს და პასტორებს მხოლოდ მარტო ფიქრიც კი შეაძრწუნდებდათ ხოლმე, რომ მიეცათ ერთ ერთი თავიანთი ვაჟი შვი-

ლი ვაჭარისთვის სასწავლებლად, ან მეტადრე რომელიმე ხელოსნისთვის, და მდიდარი ხელოსნები კი პირიქით ოცნებობდნენ, ეგების თავიანთ შვილი როგორმე ჩინოვნიკი გაეხადნათ. მეცნიერი კაცის ვაჟი უსათუოდ უნდა ყოფილიყო მეცნიერი, და ასე მიდიოდა შთამამავლობიდან შთამამავლობამდის, მინამ ისე არ გაბევრდა ის მეცნიერი ხალხი, რომ სამსახურში ალაგი აღარსად იყო იმათ შესასვლელად, და მმართებლობა იძულებული იყო გაეფთხილებინა დედ-მამა რომ იმათ თავიანთი შვილებისათვის ეს ხელობა არ აერჩიათ.

მაშინ წვრიმან მოხელეებმა (ჩინოვნიკებმა) და ვაჭრებმა გაჰბედეს თავიანთი ვაჟებისათვის ხელობის სწავლება; და როდესაც იმ კარგად აღზრდილმა და განათლებულმა ყმაწვილმა ხალხმა თავიანთის ცოდნით ძალიან წინ წასწიეს ხელობა, და თვით ხელობაც უფრო სასარგებლოდ აღმოჩნდა, ვიდრე მოხელეობა (ჩინოვნიკობა), მაშინ უეცრად გამოიცვალა იმ საგანზედ შეხედულობა, და ის ცრუ-აზრებიც, რასაკვირველია, დამარცხდა. პატარა რეალური შკოლები გაამრავლეს, და ახლა პროფესორისა და სტატსკი სოვეტნიკის სახლობაებს აღარა სცხვენიანთ, როდესაც იმათ ვაჟს შეგირდის მგზავსათ მიაქვს პატარა პოვოსკით ფიცრები, ან მებალის მგზავსად, კვლებსა ჰფარავს.

სწორედ ესე იყო მაშინაც, როდესაც ჩინოვნიკები თავიანთ სიცოცხლეშივე აძლევდნენ ნებას თავიანთ ქალებს, რომ სხვისთვის ესწავლებინათ. ამბობდნენ, ვითომც ქალებს განუსაზღვრელი ნდომა აქვსთ სხვის სწავლებისათვისაო, არწმუნებდნენ, რომ იმათთვის უნდა ესწავლებინათ შრომის მოყვარეობა, რომ ვინიცობაა «უბედურება რამე შემთხვეოდათ», შესძლებოდათ თავიანთ თავის შენახვა. ცდილობდნენ ფარისევლობით და მოხერხებით მოეტყუებინათ ხალხი, მაგრამ მაინც არავინ არ უჯერებდათ, რადგან ყველას კარგად ესმოდა, რომ დიდ სახლობას არ შეეძლო მარტო მამის შრომით ცხოვრება, და რომ გაჭირება, როგორც მომავალს შემთხვევაზედ, დიდი ხანია მომდგარი ჰქონდათ.

სახელოსნო შკოლებსა და ქალების ხელოსნურ შრომასაც ასე მოუხდება. როდესაც ხელოსნის წოდების ქალები და დედაკაცები ისარგებლებენ სახელოსნო სასწავლებლებით, როდესაც გაიგებენ, რომ ჩილინგდარისა ქალი კასირად არის წიგნების მაღაზიაში და წელიწადში ორმოც თუმანს იღებს ჯამაგირს, და მებულკის ბ ქალი თეთრეულის მკერავ ქალთან მუშაობს, და წელიწადში ორმოცდა ათ თუმან იღებს, და რომ ერთი ქალი არის ტელეგრაფისტკად, მეორე გრავერად, რომ იმათ სუყველას კარგი შემოსავალი აქვსთ, მაშინ სულ ცოტა ხანში გამოიცვლება ცრუ აზრები, და ყველა მოინდომებს სახელოსნო სასწავლებელში შესვლას. მაშინ ქალების შრომის განთავისუფლება, განსაკუთრებით იმ გვარი განთავისუფლება, რომელსაც მხოლოდ კეთილ-გონიერება ჰრიცხავს საჭიროდ, ყველას დაარწმუნებს იმ აზრის სიცრუეში, რომელზედაც შიშობენ: ქორწინების რიცხვი მოემატება, სახლობრივი ცხოვრება უფრო გამტკიცდება და უფრო მარტივ საფუძველზედ იქნება დამყარებული.

უმთავრესი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ამ საგანზედ ცრუ აზრები შეიცვალოს ჭეშმარიტ და ცხად შეხედულობად. ჩვენ უნდა დავარწმუნოდ ჩვენი თანა-მედროვენი შემდგომზედ:

1) რომ სიმდიდრეს თვითონ თავისით არ მოაქვს კაცისათვის პატიოსნება, მაშასადამე,

2) სიღარიბე არ შეადგენს სირცხვილს, რომელიც მეცადინეობით უნდა დაიმალოს.

3) რომ მუშაობა ხალხს გააკეთილშობილებს, არა თუ მარტო კ ა ც ე ბ ს, არამედ ქ ა ლ ე ბ ს ა ც;

4) რომ ყ ვ ე ლ ა კარგად შესრულებული შრომა, პატივსა სდებს შემსრულებელს;

5) რომ ქალი, რომელიც თვით ბუნებით ძალიან შთამბეჭდელი ხასიათისა არის, იმისთანა ქალს აგრეთვე

პატრონების გრძნობაც ძალიანა აქვს, რომლის გამოც ადვილად სწუხდება ის მეტის მეტი დამოკიდებულებისაგან. მაშინ როდესაც, ქალსაც ისე, როგორც კაცს, შეუძლიან ჰპოვოს ბედნიერება იმაში, რომ შრომით მოიპოვოს საზრდო თავისთვის და თავის სახლობისთვისაც, აგრეთვე იზრუნოს იმათ მომავალზედ და მიანიჭოს კმაყოფილება თავის თავსაც და იმათაც, ვინც უყვარს. დედისა, ქალისა და დის სიყვარულს აგრეთვე ადვილად შეუძლიან სულ გრძელ მსხვერპლად შეწირვისადმი მიმართოს ქალი, როგორც ძმისა და ვაჟი შვილის სიყვარულს.

მე ხშირად გაკვირვებული ვკითხავ ხოლმე ჩემს თავს, თუ აქამდის როგორ ვერ გაიგეს ეს?. განა აქამდის იპოვება იმისთანა ხალხი, რომლებსაც არ უნდოდესთ ამის გაგება? რატომ დედ — მამა თავიანთ თავს არ ეუბნებიან: რომ თუ ჩვენმა ქალებმა იმუშავეს, მაშინ ისინი უფრო სიმრთელით; მხიარულად და ღონივრად არ იქნებიან, როგორც ჩვენი ვაჟები არიან, მაშინ ჩვენ ხომ არ გვექნებოდა იმდვენი ზრუნვა, როგორც ესლა, და ბედნიერათაც ვიცხოვრებოდით.

როდესაც მე ვნახავ ხოლმე ხაზმუზიან და ბებერ გასათხოვარ ქალებს, მე ყოველთვის დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ბევრ შემთხვევებში არიან ისე მოუძლურებელი ამაო გათხოვების მოლოდინით. ლოდნა ვის არ შეაწუხებს. როდესაც ფაეტონისათვის გაჰგზავნით და დროზედ არ მოგივათ, იმ პირველ მეოთხედ საათში კი დამშვიდებული ელით; მაგრამ მერე კი დაიწყებთ შფოთას, გადიხართ და გამოდიხართ ოთახებში, ფანჯრებს აღებთ, ჰკითხულობთ, სჯავრობთ და რამდენიმე საათის შემდეგ ჰგრძნობთ ნერვების აშფოთებას. ჩვენ კი ქალები ჩვიდმეტი წლიდანვე ვსხედვართ უქმი ფიქრით და ხელშიაც რამე უსარგებლო საკერავი გვიჭირავს და ვუცდით დღითი დღემდის და იმედი გვაქვს, რომ აი საცაა მოვა ის კაცი, რომელსაც ისე შეუყვარდებით,

რომ შეიბრალებს ჩვენ შეუძლებლობას. ყოველ ჩენი ნაცნობი კაცის ცოლის შერთვაზედ ჩვენ ვწუხდებით, ამისათვის რომ იმას შეეძლო ჩვენ ავერჩიეთ თავის საცოლოდ; ყველა ჩვენი ამხანაგი თხოვდება ჩვენ და სამწუხაროდ, იმიტომ რომ ის უფრო ჩვენზედ მომეტებულად მოიწონეს და აირჩიეს საცოლოდ; ასე მიდიან დღეები, თვეები, და ყოველ წლივ ჩვენი სიყმაწვილე ჭკნება და იმედი გვიწყდება. ქალები უნდა ყოფილიყვნენ სიმდაბლის გმირნი და სიმშვიდის ანგელოზნი, რომ იმისთანა შეურაცხებელ შეუძლებლობას და გამოუსვლელ მომავალ ისე ნაღვლიანი არ გაეხადნათ იმათი ხასიათი.

რადგან ის წინააღმდეგობა, რომელიც ამ საგანზედ შეგვხვდება, უფრო მეტ შემთხვევაში არის დაფუძნებული ცრუ რწმუნებაზედ, ამის გამო ისინი რომლებსაც მწუხარება შეხვდებათ ამ ცრუ აზრებისა გამო, საუბედუროდ თითონ სხვის შეუწევნელად არ შეუძლიანთ, გამოსვლა იმ შეუძლებელი მდგომარეობიდამ, მით უფრო რომ ისინი არიან დაჩვეულნი სხვაზედ დამოკიდებლობას, და თვითონ თავის თავად მოთაოება არ შეუძლიანთ. ამისგამო საჭიროა, გავსინჯოთ, თუ კიდევ რა მხრით შეიძლება შეგვხვდეს ნამდვილი ეჭვები ქალების სახელოსნო შრომის სარგებლობის შესახებ, და ეს ეჭვები რა შემთხვევებში არის დაფუძნებული მხოლოდ ძველ უსაფუძვლო წინა დაჯერებაებზედ. ნება მომეცით ყველაზედ უწინ შევნიშნო, რომ არა თუ სიღარიბე ატანდა ქალებს ძალას სახელოსნო შრომაზედ, არამედ იყო შემთხვევები, როდესაც გონიერი და განათლებული კაცები ატანდნენ ძალას თავიანთ ქალებს, რომ იმათ მიეღოთ მონაწილეობა სახელოსნო საქმეებში და სწავლაში. ერთი იმ ღირსეული კაცთაგანი იყო ფილიპე დანიელ ლიპერტი ვინკელმანის მეგობარი და წინამორბედი.

იუსტი უახლესი ვინკელმანისა და იმის დროების, ბიოგრაფი იმ ნაწილში, რომელსაც უძღვნის ლიპერტს, ამბობს შემდგომს: ლიპერტს ჰქონდა იმ თვისების ნაწილი, რომლითაც იმ დროში ნემეცების

სატასტო ქალაქების მოქალაქეები იძინებდნენ თავისათვის შეძლებას; სახელდობრ კერძული დანიყება და საკვირველი ნიჭი ახირებული აღებ-მიცემისა. თავის საწყლის დედის მაგალითით რომელმაც იპოვნა ტყავის შეღების საშუალება და ამით აცხოვრებდა თავის თავს და თავის შვილებსაც, ლიპერმა მოასხდინა რამდენიმე ტეხნიკური გამოჩენა (მოგონება) მუშის ქარხანაში მუშაობის დროს, და საფუძველი დაუდო ახალ მაწარმოებლობას, რომელმაც თუმცა კი სიმდიდრე არ მოუტანა იმას, მაგრამ ცოტ-ცოტად შეადგინა ვაჭრების ცალკე საგანი და თავის გავლენით შეეძლო აკადემიის ქარხანას შესცილებოდა. ლიპერტი ყველაფერი იყო თავისთვის: ზედამხედავიც, პრიკაშჩიკიც მუშაც და ვაჭარიც. მხოლოდ მარტო თავის ქალი ჰშველოდა იმას; თავის ქალზედ ის ხშირად იტყოდა ხოლმე: «მე ის აღვზარდე ისე, როგორც კაცი, და არა როგორც დედაკაცი; მე ის ყოველის ფერში მშველის და საქმე ისე იცის, როგორც თვითონ ვიცი».

## მეხუთე წერილი.

წარსულს წელიწადს მე მქონდა ჟენევაში ჩემს ნაცნობებთან მსჯელობა სახელოსნო შრომისადმი ქალების მიზიდვაზედ და იმათ მითხრეს რომ იქაური ქალები შრომობენ დიდი ხანია სხვა და სხვა ხელობაში. როგორცა სჩანს, ამასაცა ჰქონდა ქალებზედ ცუდი გავლენა, ისინი თავისი სახლობაშივე რჩებოდნენ და ხშირად თავისთვის მზითევს თითონვე იმზადებდნენ. ჩემდა სამწუხაროდ ვერ გავიგე, თუ ჟენევის ქალები ზნეობით მაღლა იდგნენ, თუ დაბლა იმ მაზრის ქალებზედ, სადაც ქალები ცოტას ან სულ არას აკეთებდნენ ხელობის საქმეს. ეს კია, რომ ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ კარგი შედეგი ექნებოდა თუ ქალებს საფუძვლიან სწავლას მიანიჭებდნენ ისე, რომ საკუთარი შრომით ფულის მოპოვება შესძლებოდათ, მაშინ გამრავლდებოდა ქო-

რწინება და იმ გვარად სახლობრივი ცხოვრება დაითვარავდა ქალებს ზნეობის სიწამხდრისაგან და დააბრკოლებდა ქალების და კაცების ურიგო შეერთებას. უფრო ცუდი სახელი ჰქონდა ქალების სახლობის გარეთ შრომას. მე ამიწერდნენ ხოლმე, თუ როგორ დღიური მუშაობით დაღალული დედმამა შინ დაბრუნების შემდეგ უნდა კიდევ წასულიყო, ხელში აყვანილი პაწაწა ყმაწვილებით, სამზარეულოში ან ყავახანაში ვახშმის საჭმელად და ერთი სტაქანი პივისა ან ღვინის დასალევად; და იმათ პაწაწა ყმაწვილებს როგორ დაეძინებოდათ ხოლმე სტოლებზედ ან სკამებზედ, და შინ დაბრუნების დროს, ძალიან გვიან, იმ პაწაწებს ათრევდნენ სინოტიეში და სიცივეში; აგრეთვე ისიც, რომ სახლობის უფროსს (ტანტივანს) ძალიან იშვიათად მოუხდებოდა ხოლმე ეკკლესიაში წასვლა, რადგან ის სადა დღეებს გარეთ მუშაობაში ატარებდა და სახლის საქმეები კი უნდა კვირაობით გაერიგებინა ხოლმე, და ისიც ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ სახლის უფროსი ვერ მოჰშორდებოდა ხოლმე თავის სახლს გარეთ სამუშაოდ იმ მიზეზით, რომ ან ყმაწვილი გაუხდებოდა ავად ან თითონ. ჩემის აზრით ეს გარემოებაები ისე ცოტად აჩვენებენ საზოგადოდ სახელოსნო შრომის მავნებელობას, როგორც ის ჩივილები, რომლებიც ძალიან ხშირად შეგვხვდება ხოლმე ბერლინში იმაზედ, რომ ვითომც ქალები საკუთარი შრომით საზრდოს მოპოების ნიჭს შემძლებულობას, მიჰყავს ახირებულ დამოუკიდებლობამდის, ასე რომ ისინი მშობლებს აღარას უ ჯ ო ნ ე ბ ე ნ და ითხოვენ სიამოვნებაებს სახლს გარეთ—ამ გვარი სიამოვნებას კი სადამდის მიჰყავს ქალი—ყველამ იცის.

გათხოვილ ქალებს, რასაკვირველია სახლს გარეთ არ ეკუთვნისთ მუშაობა; ამ ბოროტებას შეძლების გვალად უნდა მოერიდნენ, და ამიტომ საჭიროა, რომ ქალებს ერთნაირი სწავლა კი არ მისცენ, არამედ ისინი უნდა შეაჩვიონ სხვა და სხვა ხელობას, რომ ვინიცობაა საჭიროება ითხოვდეს და ერთი საქმით ვერ ისარგებლონ, მაშინ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის გაკეთებაც შეეძლოსთ. მართლაც, რაღა თქმა უნდა, რომ, თუ გათხოვებამდის ქალი რომელიმე მაღაზიაში ბუღალტერად (ესე იგი ანგარიშის დამჭერად) მსახურებდა, იმან, რასაკვირველია, ქორწინების შემდეგ სჯობია შინ იმუშაოს: ან ბუმბულები დაასუჭუჭოს, არშიები დანემსოს, ან კიდევ სხვა რიგი მუშაობით მოიგოს ფულები. დიაღ რომ მაღალი სახლობითი დადგენილობა არ უნდა ითრგუნებოდეს ქალების სახელოსნო შრომის მიზეზით, არამედ უფრო უმეტესად უნდა უკეთესდებოდეს და მტკიცდებოდეს იმით, და ამ მხრივ სახლობის გაუკეთესება და გამტკიცება კი მაშინ შეიძლება, როდესაც ქალებს უკეთესად აღზრდიან და ბევრნაირ ხელობას ასწავლიან სახელოსნო შკოლებში.

ამას რა ეჭვი უნდა, რომ იმ ქალს, რომელიც თავისთავს თავის შრომით ინახავს, უფრო მომეტებული თავისუფლება აქვს — დამოუკიდებულია, ვიდრე ის, რომელიც თითონ ვერას იგებს და სხვის შრომით სცხოვრობს. მაგრამ დამოუკიდებლობის გრძნობა, რომელიც თავისთავად წაქეზების ღირსია, მხოლოდ მაშინ არის საშიში, როდესაც შეუფერებლობა და ზნეობითი საწამხდრე ბოროტათ ამოქმედებენ იმ შრომის ნაჭით: მოპოვებულს თავისუფლებას. ვინც კი იცნობს ცხოვრებას და დიდი ქალაქების ჩვეულებაები და ზნე იცის, არაოდეს არ ახირდება იმაზედ, რომ ამ გვარი ბოროტ მოქმედება არ მომხდარიყოს და ან ეხლაც არა ხდებოდეს ხოლმ. ამ ბოროტებას უშველის მხოლოდ უმაწვილი ქალების კარგათ აღზრდა, და განსაკუთრებით, როგორც მე მეყურება, იმ ცნობის გახსნა იმათში, რომ მეცადინეობით და შრომით ისინი ყოველთვის უზრუნველ ჰყოფენ თავიანთ მომავალს და იმის დარდიც აღარ ექნებათ გათხოვდებიან თუ არა.

დიდ ქალაქებში გაუნათლებელი წოდების უმაწვილი ქალების გარყვნილობამ თითქმის უსაზღვარი გადაიარა და ამ ბოროტების მიზეზი უფრო ხშირად ის არის, რომ იმათ არ შეუძლიანთ თავიანთი შრომით ასაზრდოვონ თავის თავი.

ამ გვარ გამოუსავალ გარემოებაში, რაღა თქმა უნდა, რომ უმაწვილი ქალი ბრმად დაენდობა ყველა კაცს, რომელიც კი ცოტაოდენს იმედს მისცემს იმაზედ ჯვარის დაწერისას. მაშ იმათი ბედი რაღა უნდა იყოს, რომელნიც უმაწვილობითვე არიან ნამსხვერპლნი—ამათ რომ მოვიგონებ გულს სისხლი მომაწვება ხოლმე! ამ შემთხვევაშიაც ერთი გამოსავალია, ეს მომეტებით ზნეობითი აღზრდა დედებისა, რომ სინიდისმა და პატიოსნებამ აღარ გააყიდვინოს იმათ თავიანთ საკუთარი შვილები და არ მიაცემინოს უშვერებას და გარყვნილობას. სულ დაბალ წოდემაებში დედაკაცებს უჭირსთ მხოლოდ ზნეობითი გრძნობის გაღვიძება; იმ ქალების საქმე კი სულ სხვა არის რომელთაც ცოტაოდენი განათლება მაინც მიუღიათ და სისაწყლის გამო იძულებულნი არიან თავიანთ თავი თითონ შეინახონ. ამ გვარ ქალებთაგანი ბევრი დაიწყობდა რამე ხელოსნობას, მაგრამ ეშინიანთ ის პატივი და უაღრესობა არ დაკარგონ, რომელიც იმათ თავიანთ წოდებაში აქვსთ მინიჭებული—ეშინიანთ თავიანთ კასტისთ *) (წოდების) ხალხისაგან სამრახისნი არ შეიქნენ. სიტყვა კ ა ს ტ ა მე განგებ ვიხმარე აქ, ამი-

---

*) ძველ დროში, როგორც ეხლა არის, ყველა ხალხი იყოფებოდა წოდებაებად ამ წოდებაებს ეწოდებოდათ კ ა ს ტ ა, და იმით განირჩეოდა ეხლანდელ წოდებაებისაგან რომ ყველა კასტას თავის განსაკუთრებული წრე ჰქონდა და განსაზღვრული მოქმედება და თანამდებობა სახელმწიფოში და ეს თანამდებობა შთამომავლობიდამ შთამომავლობაში გადადიოდა—უცვლელად ასე რომ რა ცხოვრება, ჩვეულება და თანამდებობა მამასა ჰქონდა—ის შეუცვლელად და შეუხებლად უნდა ჰქონოდა შვილსაც, და ვერავის ვერ შეეძლო თავის კასტიდგან სხვა კასტაში გადასულიყო, ვინც ისურვებდა ძალიან დაისჯებოდა. ამ გვარი წოდებაები—კ ა ს ტ ე ბ ი ინდოეთში ეხლაც ისევ არის.

ტომ რომ ჩვენ საზოგადოებაში ჯერ კიდევაც არსებენ კასტები, თუმცა კი მართალია ტანისამოსით და გარეგანი შესახედაობით ისე არ არიან ერთმანერთისაგან გარჩეულნი, როგორც ინდოეთშია.

«ბატონო შტარ!» გაკვირვებით მითხრა ერთხელ ერთმა ბანკირის ქალმა, როდესაც მე შევატყობინე, რომ ერთი გამოჩენილი ვაჭრის სახლობის ნასვას ვაპირობდი (ეს სახლობა მე წულებზედ გავიცან); ბატონო—შტარ! ნუ თუ თქვენ დასდიხართ იმათთან.«—»მითომ რატომ არა?«—»ქა, და იმიტომ, რომ ისინი დუქანში ვაჭრობენ»! ამ გვარი გარჩევა ამისთანა საქმეზედ ბომბეაში (ინდოეთშია) თუ იქნებოდა შესაფერი.

ამ გაგებაების წინააღმდეგ, რომ ამა და ამ წოდებას ეს საქმე ან ქცევა შეეფერებოდაო და ეს კი არაო—ამ გაგებაების წინააღმდეგ უნდა იმოქმედონ შეძლებულმა ქალებმა, რომელნიც არ არიან იძულებულნი თავიანთ შრომით საზრდოს მოპოვებას, თუ ასე არა, სხვარიგათ არ შეიძლება ფართო გზა მისცეს ქალების შრომას. მე რასაკვირველია, იმას არ ვითხოვ, რომ განათლებულ საზოგადოებაში გაუნათლებელი ქალები მიიღონ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავიანთი შრომით სცხოვრებენ და ან კიდევ რამე ხელოვნებაში არიან გამოცდილნი; მე ამას არ ვამბობ, მაგრამ ეს კი მგონია, რომ უსამართლოება არის განათლებული საზოგადოებიდამ იმისთანა გაზდილი ქალების გამორიცხვა, როგორც აქამდინ ხნადიოდნენ, რომელნიც, სისაწულის გამო, ჰზბედავენ რამე ხელობის შრომას. ამ საგანზედ მე შემეძლო ბევრი მაგალითები მომეყვანა, მაგრამ ამ ერთის მეტს არ მოვიყვან, და ესეც კი უნდა დაუმატო, რომ ამ მაგალითში მოხსენებული პირები სულ დაიხოცნენ.

სავაჭრო გემების უწყების თავმჯდომარესთან (პრეზიდენტთან) ბერლინში, სცხოვრებდა (მისი ცოლის ავან-ჩავანად კომპანიიდგან) ერთი, დიაღ საპატიო დედ-მამის შვილი, უმაწვილი ქალი. ლიზა (იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალის სახელია) არ იყო მაღალი ტანისა, მაგრამ კი ძალიან ეშხიანი, მახვილ გონიერი და საყვარელი რამ იყო; სახლის უფროსი-ქალი ძალიან რთავდა ხოლმე იმას და დიდად უხაროდა, როდესაც სხვებს მოსწონდათ ის; თვრამეტი წლიდგან მოყოლებული ვიდრე ოც და რვა წლამდის მუდამ გუნდა გუნდად ეხვივნენ იმას მოტრფენი, და ამიტომ ყველას უკვირდა თუ რატომ არა თხოვდებოდა ის ქალი. ლიზა არ იყო არშიყი, ეს ყველა კაცსა სწამდა, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ის მიეჩვია ფუფუნებას, თეატრში ლოჟაში ჯდომას, წვეულებზედ გართულ-გაქსოვებულ ცხოვრებას, მასთანავე არც ერთი გროში არ ებადა და რა უფრო უარესი-იყო მხოლოდ «ავან ჩავანი კომპანიონკა», ასე რომ სახლოსნობის გაგებაც არა ჰქონდა, რადგან თავმჯდომარეს სახლის მოურავიც ჰყავნდა. ამ ქალის საქმეც ისე დაბოლოვდა როგორც სხვა ამ გვარები დაბოლოვდებიან ხოლმე: ლიზა ბევრჯელ დარჩა სახტად, ბევრი ტკბილი იმედი გადაუწყდა; იმისი კარგი გუნება და მხიარულება თან და თან დასცხრა, თავმჯდომარის ცოლმა შეჰნიშნა, რომ იმის ავან-ჩავანი ალერსიანობას ჰკარგავს, ის საყვარელი ბავშვი აღარ არის, რომელსაც ყველა სიამოვნებით ეტრფოდა და ესუმრებოდა. ხან და ხან ლიზას სხვა და სხვა შემთხვევა დააფიქრებდა ხოლმე, რომლის მიზეზით ის ცხარე ცრემლებსა ჰღვრიდა ხოლმე; ამ ცრემლებისგან ის არც ლამაზდებოდა და არც ემაწვილდებოდა. ბოლოს უნდა ლიზა და გაჰყროდა ამ ცხოვრებას, რადგან უფრო და უფრო ამძიმებდა იმას ყოველთვის შეკვეთით, სხვის ქეიფზედ ალერსიანობა. მაშინ იმან საჭიროდ ჰრაცხა და სახლის გამგებლად მოურავად დაუდგა ერთ დიდიხნის ქვრივ კაცს, ბერლინში პირველი მორთულობის (მოდის) მაღაზიის პატრონს, რომელსაც ხუთი ვაჟი შვილი ჰყავნდა. ლიზა კარგათ ჰგრძნობდა თავისთავს ამ სრულებით უცხო მდგომარეობაში, მაგრამ იმ «საზოგადოებამ» კი რომელსაც დიაღ წესიერ-ბუნებით მოვლინებად მიაჩნდა იმის ათი წლის უქმი ცხოვრება

და პრეზიდენტის სახლში კაცებთან არშიყობა, იმ «საზოგადოებამ» გადასწყვეტა, რომ ამ ექვსი კაცის მოვლა ამ ქალისაგან უზრდელობა რამ არ არის და უთუოთ ჰნიშნავს რასმეო; ესეც კი უნდა დაუმატოთ აქ, რომ ამ «ექვს კაცს» ისვე საზოგადოება სხვათაშორის ძალიან პატივსა სცემდა და კარგათაც ჰყვანდა მილებული. შვიდი თუ რვა წელიწადი დაჰყო ლიზამ ამ ახალ ადგილზედ და «საზოგადოებაც» თანდათან დადუმდა და შეეჩვია ამ ქალის უჩვეულებრივს მოქცევის ატანას. ამასობაში ამ ქალმა გაიგო ვაჭრობის ანგარიში და ერთს ქალს დაუმეგობრდა, რომელიც იმის ალას მაღაზიაში დიდხანს იყო; ამ ორივე ქალმა გადასდეს ცოტაოდენი თანხა, და, რადგან ესმოდათ, რომ იმ მდგომარეობაში ყოველთვის დამოკიდებულებაში იქნებოდნენ, პატარა თეთრეულების საკერავი სახელოსნო დააფუძნეს, ეს სახელოსნო ეხლაც არსებს პაულისა და შარენვებერის სახელობაზედ. ეს ორივე ქალი დიდის მეცადინეობით შეუდგნენ საქმეს, ასე რომ იმათმა მაგაზიამ ჩქარა გაითქვა სახელი და საქმეც ბევრი ჰქონდათ მუშტრებისგან, მაგრამ ლიზას მდგომარეობა კი საზოგადოებაში ძალიან შეიცვალა. მხოლოდ ცოტაოდენმა სახლობამ დაათვასა იმის კეთილ გონიერება და ყოველთვის მიიღებდნენ ხოლმე იმას უწინდებურად, და მომეტებულმა ნაწილმა იმავე მცნობებმა კი სრულებით დაითხოვეს სახლიდგან ერთი იმის ნაცნობთაგანი ქალი სწორედ იმ დროს შეესწრო იმის მაგაზიაში, როდესაც ლიზა ერთ ვიღაც კაც, იმათ საერთო ნაცნობს, უჩვენებდა სალამურ პერანგებს, მეორე ქალმა კიდევ ნახა, რომ ის ჰყიდდა პერანგის ამხანაგებს და საუმაწვილო თეთრეულს! ეს ამბავი იმ ქალებს დიდად «უცნაურ და სასაცილო» საქმედ მიიღეს ერთის სიტყვით «უკადრის» საქმედ ჩათვალეს. ამ სახით იმ ქალების მომეტებული ნაწილი, რომლებსაც ლიზა მიაჩნდათ ტურფად, საყვარლად და სასიამოვნო მოსაუბრედ, იმ დროს როცა იმას არც ერთი გროში არა ჰქონდა საკუთარი, უცხო სახლზედ იყო დამოკიდებული და არც

ერთი საათის მოსმარება არ შეეძლო თავის ნებად, ახლა კი, როდე-საც ლიზამ სხვა თავის უწინდელ ზნეს შეჰმატა კიდევ ქონება და და მოკიდებულობა—ახლა ჰრაცხავდნენ იმას სათაკილოდ და თავიანთ სა-ზოგადოებაში გარევის უღირსად.

ერთხელ როგორღაც შემთხვევით შემხვდა ის და მე მიულოცე იმას საქმის წარმატებით სვლა; მაშინ ის გამომიტყდა მე, რომ ბევ-რი შეურაცხყოფა მოუთმინა, თავის უწინდელ მეგობრებისაგან, და თან დაუმატა, რომ ჩქარა განკურნებულიყო საზოგადოებაში «ბრწყინ-ვის» სურვილისგან და დიდიხანია დაჰღწეოდა საზოგადოების ცრუ აზრებსა და მამა-პაპური თან შეზრდილი ჩვეულებების დამორჩილე-ბას.

ეკატერინე ღვინიაშვილი

ტფილისი.

(შემდეგი იქნება).

# წინა-სიტყვაობა რედაქციისა.

ჩვენის აზრით, ყველა ქართველებში, ვისაც კი საქართველოზე მწერლობით თავისი შრომა დაუდვია, ვახტანგ მეფეს უნდა მიეცეს უპირატესობა. ვახტანგის ქართლის-ცხოვრება, როგორც თვითოეულმა ქართველმა იცის, დიდი შრომა არის. იმისი «სჯული» რომელიც მთელს საქართველოში იყო სახელ-მძღვანელოდ მიღებული, შეიცავს მთელის ჩვენის ტომის ძველადვე დამყარებულს რიგს და წესს, რომელიც ვახტანგს შემოუკრებია გუჯრების და სიგელების ჩვენებით, და თავის «სჯულში» ჩაურთავს. საქართველოს წარსულის შინაურის ცხოვრებისათვის ეს წიგნი ძვირფასი წიგნია. ამ გვარივე შრომა არის იმისი წიგნი, რომელსაც ეწოდება «დასტურლამალი» და რომელიც ვახტანგს დაუწერია, როდესაც ის ჯერ მეფედ არ იყო და მხოლოდ განაგებდა სამეფოს.

«დასტურლამალი» უჩვენებს ყოველ-გვარს შემოსავალს საქართველოს მეფეებისას, შემოსავალს და ჯამაგირს სახელმწიფო მოხელეებისას, აგრეთვე რა დამოკიდებულება ჰქონიათ სამეფო სახლის მოხელეებს სახელმწიფო უმთავრესს მოხელეებთან. საზოგადოდ «დასტურლამალი» შეიცავს მთელს სურათს საქართველოს განმგეობისას... ამ წიგნის მნიშვნელობას მაშინ დავაფასებთ, როდესაც ჩვენ მოვიგონებთ, რომ ჩვენის ხალხის წარსულის დროების შინაგანს ცხოვრებაზე ჩვენ ძალიან მცირე ცნობები გვაქვს. ამ გვარი ცნობები გაფანტულია საეკკლესიო გუჯრებში და საკეთილ-შობილო სიგელებში ანუ გრამატებში. ეს დოკუმენტები, რომელთ დაბეჭდვაც დიად სასურველია, ვახტანგის «სჯული», «დასტურლამალი» და აქა-იქ ქართლის-ცხოვრებაში

გაფანტული ცნობები შეადგენენ უკეთესს წყაროებს, საიდამაც შეიძლება შესდგეს სურათი ძველის საქართველოს შინაგანს ცხოვრებაზე.

დასტულამას მნიშვნელობაზე აქ სიტყვის გავრცელებას საჭიროდ არა ვხედავთ. მკითხველი თვითონ შეჰნიშნავს ამას შემდეგ იმისის წაკითხვისა. საჭიროდ ვხადით აქ მხოლოდ ის დაურთოთ, რომ უ. ბროსსე, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის ყოველივე ჩვენის ისტორიის წყაროები, დიდად აფასებს «დასტულამალს». რასაც რომ «დასტულამალი» შეიცავს, ის ბროსსეს შემოკლებით შემოაქვს თავისს ქართლის-ცხოვრებაში ფრანცუზულს ენაზე. იხილე Histöire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu' au XIX siéscle, IIpartie. Introduction et Tables des matières. S. Petersbourg, 1858, p,—CIII—CIX.

*P.S.* ძნელად გასაგებ ლექსთა განმარტება ჩაერთვის ბოლოში, რომელსაც დავასრულებთ ამის ბეჭდვასა.

---

## ა. ეჰა შენ ყოველთა მბადო, დიდება შენდა.

რომელმან ყოველნი არა არსნი არსებად მოიყუანენ, იყავ კარ, და ეგები უკუნისამდე, ჟამთა და წელთა დაუბერავობითა, და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნულნი ჴელთა შენთანი, დიდება გამოუთქმელსა და მიუწდომელსა ძალსა მღრთაებისა შენისასა, და აღურაცხელსა კაცთა მოყუარებასა შენსა! ჩუენ მიერ პირველიდგანვე ზეცით საქართუჱლოს მეფედ განკუთვნილსა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულ-ბრწყინვალედ მნათობელის პირველ ვახტანგ ჴმობილისა, და შემდგომად ხუარსთა ენითა შანავაზ წოდებულის ძისა მისისა ქართუჱლთ მეფისა, და სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეტად დადგინებულისა, ყანდაარისა და ქირმანისა ბეგლარ-ბეგისა, გირიშქისა და აჭიალათის მჯირავისა, პირველ გიორგი ჴმობილისა, და შემდგომად მეორე შა-ნავაზ წოდებულის მაგიერად მყოფმან, ძმის-წულმან მისმან, და ძემან ერანის მდივანბეგის შაჰ-ყული-ხანისამან, საქართუჱლოს ჯანიშინმან ბატონის შვილმან პატრონმა ნვახტანგ; ოდეს ვიგულს-მოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა, განუჩინეთ და განვუწესეთ წიგნითა ამით, რათა ყოველნი ჴელის-უფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ იქცეოდენ და განაგებდენ თჳს თჳსნი მოხელენი, სახელოთა თჳსთა, და წესითა და შემსგავსებითა იქცეოდენ, რომელთაცა არს გონიერება, უკეთუ ჰსჯულის დებასა საჴელმწიფოთასა ეგნენ უცვალებელად და ნურავინმცა მკადრე იქმნებიან ბრძანებულისა და განჩინებულისა რიგისა ამის შეცვალებითი სლვასა. არამედ კეთილად და ესრეთ ჰყონ, ვითარცა გუჱმეცნნეს. რამეთუ უეჭუჱლად და დაუცადებელად არს მივლინება ბოროტი, უწესოდ მქცევთა ზედან, ხოლო პატივ და დიდება არა მედგარსა მონასა, არამედ მორჩილად განმგესა და მართებით

მქცევს. აწ ვიწყოთ, და ამით ყოველთა ჴსცნან და დაიმარხონ წესი და რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქმედი და მოჴელენი და-ვიდგინებიან საჴელოთა თჳსთა ზედა, ესრეთ თჳთოეულად აღწერილის წიგნითა ამით, რათა იცნობდნენ და ეგნენ, და ნუმცა ვინ დაკლებულ იქმნების ნახევარი ერთ-ხანად, და ნახევარი მეორედ ხანს ცვალებითა, და რიგითა სამსახურსა ჩუენსა, რაჟამს რომლისა რიგი აღესრულოს. ყოვლად სხუაჲ კარისაგან განუყრელად იქმნებოდნენ, თჳსითა უხუცესთა დასტურითა და შეკითხვითა.

პირველად ჯერ-არს ჴსენება და აღწერა, რამეთუ ამათ-მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვისა.

---

ბ. ხოიბათიასა-ულისათჳს.

იოთამისშვილი ორბელი.
თარხნისშვილი ზაალ.
შანშიას შვილი ბეჟან.
სავინასშვილი ბესპაზ.
შალიკასშვილი ედიშერ.
სუფრაჯისშვილი ბახუტა.
თოფჩიბაშისშვილი ალა.
მუღუმა.
იედიგარასშვილი.
ხალილა.
საფარაჯმადას ძმა.

გ. აბდრებისათჳს.

აბდარ-ბაში ქაისოსრო.
აბდარი თავლიდარი ზაალია.
აბდარი სულუა.
კახაბერი.
ემაკასშვილი ავთანდილ.
ჯანდიერის შვილი.
ჯირას შვილი ლევან.
არეშისშვილი გურგენა.

დ. ზინდრებისათჳს.

ყორღანას შვილი ავთანდილა.
რუისელი გოგიტა.
გიუასშვილი ბასილა.
იქივ შოშიტა.
აბრამასშვილი.
ქრცხინვალელი უნამე.
კავთისხეველი გენგამე ბერი.
მიქელისშვილი იოანე.

ე. ჯილდის მიგმდეგისათჳს

ადუასშვილი.
ტუაჰ მქელიძე
დიდმელი ჯანარას შვილი.
არეშისშვილი ჩალაბა.
არეშისშვილი ურქმაზა.
არეშისშვილი მელიქუა.
ყორღანასშვილი გოდერძა.

ვ. ალანდრებისათჳს.

სააკაძე ქაისოსრო.
ქარიმა.
ელის ალანდარი.
კიდევ ელის ალანდარი.

## ფ. ალაყაფის შუა სახლის რიგისათჳს.

თუ ბატონმა ალაყაფის შუა მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკ-აღასი, ორი ბოქაულთ-უხუცესი, ორი სობათ იასაული დადგებოდენ. ოთხი აბდარი, ერთი ხუფრაჩი, ოთხი ხუფრაქეში, ორი თუშმალი, ორი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგა-მდევი, ოთხი მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონ-ყორჩი, ერთი სხვა ყალიონ-ყორჩი. ამათ იმავ ზემოთის წესით იმსახურონ.

## ც. ალაყაფის აივნისათჳს.

თუ ბატონმა ალაყაფის აივნის შუა სახლში მეჯლისი ბრძანოს, იმ სახლისათჳს გააკეთონ ფლავი, ყაბი თექვსმეტი. ამისგან სამი ყაბი ბატონის წინდასადგმელად, და სხვა საჯაროდ, მისის აშითა და ბორნითა; ზროხა ორი.

## თ. ახალის სასახლის რიგისათჳს.

თუ ბატონმა ახალს შანიშინში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკ-აღას-ბაში, ოთხი ბოქაულთ-ხუცესი, ორი სოიბათ იასაული, აქეთ იქით დადგნენ. ერთი აბდარ-ბაში, ხუთი აბდარი, ორი ხუფრაჩი, ორი ფარეშთ-უხუცესი, ორი თუშმალი, ექვსი ხუფრაქეში, ოთხი მეგოდრეთ-უხუცესი, ოთხი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდევი, ექვსი სხუა მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონ ყორჩი, ორი სხუა ყალიონ ყორჩი, ესენი იმავ ზემოთის წერილის წესით იმსახურებოდენ.

თუ ახალს შანიშინში ბატონმა მეჯლისი ბრძანოს, იმისთჳს უნდა გაკეთდეს ფლავი, ყაბი ორმოცი; ამისგან ხუთი ბატონის წინ-დასადგმელი, ოცდა თუთხმეტი საჯაროდ, იმისის აშითა და ბორნითა; ზროხა ოთხი.

## ი. აჯილღის ქერისათჳს.

| | | |
|---|---|---|
| აჯილღისა ქერი აქუს: | კავთისხევს კოდი.. ლ. | წინწყაროს . . . ნ |
| დიღომს კოდი. . .ჲ. | ქვემობოლნისს. . . ჲ. | გომარეთს. . . . ლ. |
| ასტენს კოდი. . . . კ. | თრიალეთზედ. . . ჲ. | ოფრეთს. . . . . ლ. |
| გორს კოდი. . . . ჲ. | ტაშირზედ. . . . . . . | |

## ია. აბანოთ იჯარათათჳს.

აბანოს იჯარა ზოგჯერ ცოტა ყოფილა, და ახლა თორმეტს თუმნად არის, ზოგჯერ ცამეტად იქმნების. იმის ათის-თავი აიღების, ნახევარი სალთხუცისა არის, და ნახევარი ვეზირისა და მდივნებისა.

## იბ. არაყხანის იჯარათათჳს.

ხან ოცდა თუთხმეტი, ხან მეტ-ნაკლები იქმნების ხოლმე. ვინც იჯარად აიღებს არაყს, სხუა კაცი მის მეტი ვერც გაჰყიდის, ვერც იყიდის. სოფლის არაყს იყიდის ლიტრას სამს ბისტად, შაურად; მერმე დუათაშად გამოჰკდის და ექუს შაურად ლიტრას გაჰყიდის, კანშვიდ შაურად. ამისი რუსუმი აიღების, ნახევარი სალთხუცისა არის, და ნახევარი ვეზირისა და მდივნებისა.

## იგ. ელის ნოქრის მოჯამაგირის ამასალისათჳს *).

| | |
|---|---|
| სოფი ოღლი მამად აღა. . . . გ). | ხიალუ მერაბ აღა. . . . . . . გ). |
| ალანდარი ჰუსეინა. . . . . დ). | ნაბი მოლა-ოღლი. . : . . . . ბ). |
| ვეზირის ძმის-წული მუსტოფა. ბ). | სალოღლი სადუხ მოლა. . . ა)ჭ. |
| ხალიფად ინოღლი აბდულა. . ბ). | მეთი ოღლი აჰმად აღა. . . . ბ). |
| ისმაილოღლი მაჰმადა. . . . ა)ჭ. | ალავერდი აჰმად ოღლი. . . . ბ). |
| მოლა ბაბა ოღლი აბულ ყასუმა. ა)ჭ. | ყაზიოღლი ნურია. . . . . . ბ)ჭ. |
| მოლა ბადმულ- ოღლი მაჰმადა. ვ). | ველიოღლი ყაზი ყარდაშა. . . ბ)ჭ. |

*) რადგანაც სტამბეში ვერ ვიშოვნეთ ძველად ხმარებული თუმნის გამომსახველი ნიშანი, ამიტომ თუმნის ასოს ფრჩხილი მოუსვით მარჯვნივ, ფრჩხილ გარეთ მარჯვნივ მანეთი და ფული იქნება.

მაგ.

მოლა მუსტაფა მეთ ოღლი. ა)ჭ.
ქეშალუ ყოჯა. . . . . . . . . . ბ).
ფირ მამად ოღლი იბრეიმა. . . გ).
ხალილ აღა დერმი ოღლი. . ე).
ემინ აღა უზბაში. . . . . . . იბ).
ეთაზე. . . . . . . . . . . . . ვ).
ქოდაკზე. . . . . . . . . . . . ვ).
იაღლუფ ოღლი მუსტაფა. . ა)ჭ.
ვარდა ოღლი უსუფა. . . . . ბ).
ალახდარი რუშან. . . . . . . დ).
ნური აღა. . . . . . . . . . ბ)ჭ.
ალავერდი გულ-ოღლი. . . . ბ).
მუსტაფა ანა ყიზ ოღლი. . . ბ).
მაჰმუდა აჯი ჯიბრაილ-ოღლი. ბ).
შარაფ ადინ აღა. . . . . . . გ)
ქაფანაქჩი ჯავარ აღა. . . . . ბ).
ქაფანაქჩი ალი ყული. . . . . ბ).
ქაფანაქჩი ფათა. . . . . . . ბ)ჭ.
ხარაჯალუ ემინ ოღლი იბრეიმა. ა)ჭ.
აზიმოღლი ველი. . . . . . . . ბ).
ჰაჯი მასით ოღლი ყული უსუფა. ბ).
დარგა ყული ჯავანშირი. . . . ბ).
ფირ მაჰმად აღა ამირამადლუ. ბ)ჭ.
ჩოლახ სულეიმან ოღლი. . . ა)ჭ.
ჰაჯი ჰაჯი ოღლი ველია, და
ფირ მამადა. . . . . . . . . დ).
შიხი აღა ყაზახი. . . . . . . ე).
ველი ამად ოღლი. . . . . . ბ)ჭ.
ამად აღა აზიზ ოღლი. . . . ბ).
მუსტაფა აზიზ ოღლი. . . . . ბ).
ეიბაღა ყიზილ აჯლუ. . . . . დ).
ისა უზბაშის ძმა. . . . . . . ა)ჭ.
ისმაილ აღა ყაზახი. . . . . . გ).
იანუ ოღლი მუსა. . . . . . . ა).
მუსაბეგ. . . . . . . . . . . გ).
ამადაღა. . . . . . . . . . . ბ).
მუსა. . . . . . . . . . . . . ბ).

## იდ. აღამათის ელის კაცზედ დებულებისათჳს.

ბატონი რომ ყარაიაზედ წაბრძანდება, ოცს კომლზედ ზროხა—ა; ცხჳარი – დ; ბატკანი – დ; ბრინჯი ლიტრა – ი; ერბო ლიტრა—ბა; ფქჳილი ლიტრა—ი; ქერი ლიტრა—კ; მარილი ლიტრა—ე; ხახვი ლიტრა—ე; ბზე საპალნე—ბ; რამდენიც ოცი კომლია, ასე გამოიღებენ. ამის ათის-თავი სალთხუცისა და მდივნებისა არის, სხჳას მოხელეს საქმე არა აქჳს.

## იე. აღეკისა ბატონის გამოსაღებისათჳს.

სამი დღე ბატონის ხჳნა, იმისი მკა, ზიდჳა, ლეწჳა, თავზედ ხამი აბაზი მალი, საქჳრიო ძროხა ბატონისა არის. ფურზედ ჩარექი ერბო, შვიდზედ ერთი ღალა აძეს. ფეტვჳს ამოკჳწთილი აქჳსთ,

კომლზედ თითო ულაყი აქსთ. საშობაო ორი ცხვარი. და ათი ქათამი, ასევ სააღდგომო ორი ცხჳარი და ათი ქათამი აქეს. ბეგარა, რაზედაც დაუძახონ, უნდა წავიდეს. სამი დღე უნდა ზჳარი იმუშაონ თავზედ თითო კონა სარი აქსთ, თუ ქურდობა შეაჩნდესთ ვისმე, საზღაური ბატონისა არის, და ათის თავი მოურავისა. მოურავს ერთი დღე ხჳნა, ერთი მკა, მისი მოზიდჳა, ლეწჳა, თავზედ ორი შაური, თავის გასამტეხლო. ძროხა ერთი საშობაო. ცხჳარი ერთი, კჳამლზედ ქათამი, სააღდგომოთ ერთი ბატკანი, ქათმის კვერცხი. სააღდგომო ბატონის მოსავლისა ათის-თავი ნახევარი მოურავისა არის, და ნახევარი მეღალეს სალთხუცესსა და მდივნებსა. ქალის საჩექმე სამი აბაზი მოურავსა, ულაყის ათის-თავიც მოურავისა არის.

### იგ. ავლაბრის რიგისა და სამსახურისათვის.

რასაც ქალაქის მოყალნე და თარხანი იქს, ისრე ესენიც გაერევიან. ღალა დღიურზედ სამი ფოხალი პური, საბალახე სამართლიანად. ერთი მეხრე ვინც იქნების ერთი სამეხრეო უნდა შეინახოს, სითარხნე აქჳს. და თორმეტი კოდი პური ულუფა. მუშას, სოფლებიდამ გარიგებული სამკალი ხარჯი ბევრი მოვა, თუ ცოტა ნაზირი ისე მისცემდეს. ქათამი თუ აბარია, თავნი.—იზ. იმისი ნაშენი წელიწადში.—ნა.

### იზ. ატენელს კაცზედ ბატონის დებულებისათჳს.

საბალახე პირის-თავი, ნაპირის თავი, კოდის-პური, კულუხი, ორი ბატონს, ოთხი პატრონს, სააღდგომო ძღვენი, ქათმის ბარება, ურიებს სანთელი.

### იჱ. ატენის მოურავის დებულებისათჳს.

ჴევის თაობა მოურავისა არის, სოფელში თჳთო კოკა ტკბილი, ძღვენი, ცხენის ბმა, გასამერელო, თავის გასამტეხლო, და საჩექმე.

## ით. ატენის კასადრისათვის.

თერთმეტის თავს სამს წილს ზჳრებიდამ მოურავი და კასადარი გაიყოფს; სთველზედ პურს მესთჳლესთან აჭმევენ. ატენის მესთვლი-სა თჳთო კოკა ტკბილი, სთველში პურის ჭმევა.

## კ. ატენის ნაცჳლისათვის.

ატენის ნაცჳალი თავის განწესებისამებრ თავის სარგებელს აი-ღებდეს, როგორც განგვიწესებია და გვიბრძანებია.

## კა. ატენის მეზვრისათჳს.

ატენის მეზვრეს ჭაჭა, თჳთო ზროხა, ბარი, სათიბელი წალდი, შვიდი აბაზი ტანის-სამოსისათვის.

## კბ. ატენის ბატონის ზვრებისათჳს.

ატენს ბატონის ზჳრის მუშაობისა რიგი: ქლენის ზჳრის მესამედს სვრელნი და საციციანოელნი შეიმუშავებენ. ამავ ზჳარში ერთს ამდენს ბატონის ფასით შეიმუშავებენ; კიდევ ამავ ზჳარში ერთს ამდენს ქვა-ხვრელნი მუშაობენ.

ციცისშვილის ედიშერის ნაქონს ზჳარში რომ გლურჯიძისათჳს წაერთმია, იმასაც ბატონის ფასით მუშაობენ.

დიდს ზჳარს, ის ცისელნი, აველნი, ვერელნი, გარდატნელნი, ბოშნაველნი, სანდნელნით, თხილარნელნი, ბისელნი, დვივისხეველნი, ღვარებელნი, ოლოზნელნი, ბნეველნი, კეზველნი ბარამათუბნელნი,— ესენი თავის სარით, ნეხვით და ყოვლის ფერით მუშაობენ. მაგრამე ამავ ზჳარში ცოტას ალაგს ჭვიროსელნი მუშაობენ; ისინი აიყარნენ და იმათს კერძს ბატონის ფასით მუშაობენ. ატენელნიც ამავ ზჳარში მუშაობენ. ამ ფასით სამუშაოს ზჳრებს მიეცემის თეთრი სალარო-დამ, ან ფარნად. პური და ღვინო მიეცემის ერთობრ ზჳრებისათჳს: პური კოდი, ღვინო კოკა.

## კგ. ყაიყულის გამოსაღების გარიგებისათჳს.

ახლა რომ საქართჳელოს ჯანიშინმა ბატონის-შვილმან ვახტანგ ყაიყულის გამოსაღები საბატონო და მოურავისა ესე ბრძანა და გაარიგა, დასტურად მეფის ბატონის გიორგის გარიგების წიგნი სხჳა იყო საბატონოსა და სამოურაოს გამოსაღებისა; მაგრა მაშინ ყაიყული ახალი მოშენე ყოფილა და მაშინდელი რიგი მართალი არის, ისე იქნებოდა. მაგრამ რა ქჳეყანა მომრავლდების, ერთმანერთში ბევრი ძალა და ურიგო მოჰხდების. ამის თჳს თჳთონ ყაიყულელნი მოვიდნენ, ბატონის შვილს ჯანიშინს შემოეხვეწნენ და ასრე გაარიგებინეს უფროსი ერთი უწინდელი გარიგებაებივე არის ამას შიგან, მაგრა ასე უნდა იქნებოდე.

არის ბატონისათჳს მალი თავზედ ექვსი შაური. ამას გარდაის თავზედ ერთი შაური კიდევ სხჳა აიღების. ამისგან ნახევარ-შაური სალთხუცისა და მდივნებისა; ერბო ფურზედ ხუთი სტილი გამოიღონ. ამ წესით ერთი ერთიბრიანი კაცი წავიდოდეს, ფურს დასთჳლიდენ, სოფელსა და სოფელსა რაც ფური დადგეს, თავ თავის სოფლის მამასახლისებს დააწერდენ. მამასახლისი ამ ერბოს სოფლის ულაყით ჩამოიტანდეს, აუშტარს მიაბარებდეს. ვინც ამ საქმეზედ სამწერლოდ წავიდოდეს, ასმევდენ, აჭმევდენ; სხჳას ნურას მოსცემენ.

## კდ. ახალის მოსულის კაცისათჳს.

ახალი მოსული კაცი ერთს წლამდის თარხანი იყოს, ნურასა ჰსთხოვენ; საბატონო ულაყი არა ჰსდებია, ნურც ჰსთხოვენ. თევზის ფასი გარდაკვეთით ოთხი თუმანი არის, ერთობით ყაიყულზედ, და მისს დროს იასაულით შეაგდებენ. საქჳრიო კარი ბატონსა, სამი აბაზი მოურავსა, აბასი ნაცჳალსა, აბასი მამასახლისსა, საბალახე საბატონოდ ასზედ ორი ცხჳარი, ერთი ბატკანი, ორასზედ ერთი შიშლიგი მობალახეს; საზვენოს ცხჳარს მებალახე მეცხჳარეს დააჭერინებდეს. ცხჳარზედ ცხჳრის საბალახე აიღონ, თხაზედ თხისა, რომელსაც დაიჭერდენ; მერმე ქრთამით ნულარ გამოსცჳლიან. მობალახეს სოფელი, როგორც შეეძლოს და რაც ჰქონდეს, ისრე დახჳდეს. ბა-

ტანის სათხოვარსა და გამოსაღებზედ საასაულოს ნურა მოსაქმე ნუ აიღებს. აურილის კაცის სახლში რომ სხუა მოსული გლეხი შე-ვიდეს, იმისს ნახნავ ნათესს ნუ წაართმევენ, და ამ გლეხმა ბატონის სამსახური და გამოსაღები იმ წელიწადს ქნას.

ერთი კაცი რომ დაბერებული იყოს, და იმისი ორი და სამი შვილი მალს იძლევებოდეს, იმ ბერს კაცს დავთარში ნუ ჩააგდებენ, მალს ნულარას ჰსთხოვენ. იქივ რომ ერთმანერთში ქურდობა იქნას, შვიდეულად აზღვევინონ; ერთი ორად პატრონს, ოთხი ბატონს, და ერთი მოურავს.

თუ უცხოს ქუეყნის მოპარული შეაჩნდეს, თავნი პატრონს, ერთი ბატონს, ერთი აბაზი მოურავს; სასჯელის ერთს შეგდებაზედ, ერთი ჩარექი მოურავს, სამი ჩარექი ბატონს. ზეთს სხუას ქუეყანას გამოსახდელად ნუ წაიღებენ; თუ წაიღონ ექვსი —ზ.— ჯარიმა ჩვენთვის წაართვან.

თუ ვინმე ახალის მოუგონარის სოფლის აღშენება მოინდომოს, ჩვენ მოგვახსენონ; მამასახლისს სოფლიდამ ჩვენ მივჰსცემთ; იმას გარ-და სხუა რაც გლეხნი აურილ-იყოს და ერთი მეორის სოფელში მო-სულიყოს, აუყარონ და იქივ თავის ალაგს მისცენ და დაასახლონ.

მოურავს თავის გასამტეხლო ხუთი აბაზი, ნაცუალს ორი შა-ური; კელის მოტეხისათჳს ოცდა ათი შაური, ნაცუალს სამი შაური; აგრეთვე კბილის ჩაგდებინებისათჳს, ბოზობის მქნელმან ხუთი მინა-ლთუნი, ნაცუალს ათი შაური; გასამყრელოდ მოურავს კარი, ნაცუალს აბაზი, მამასახლისსაც აბაზი. ქერი კომლზედ სამი კოდია, ნაცუალს კოდი ერთი; ფურზედ ერთი სტილი ერბო. საჩექმე თუ იმ ქვეყანას გათხოვდეს: მოურავს ექვსი შაური, მამასახლისს აბაზი; თუ სხუას ქუეყანას წაიყვანონ, მოურავს ხუთი აბაზი, მამასახლისს აბაზი. მოუ-რავი უბრალოდ ნუ მიკა. და როდესაც მივიდეს, მართებულად ძღვენი მიუტანონ, ღვინო თუ ნებით, თორემ ძალით ნუ ჰსთხოვენ. მოურა-ვი ნურც ქართუელი, ნურც სომეხი, ნურც თათარი ქალაქს კოჯორზედ ულაყს ნუ ჰსთხოვს. როდესაც ნაცუალი იქნებოდეს, რიგისად პურს აჭმევდნენ. ღალის ათის-თავი, რაც ავიდეს, სამი წილი მოურავსა და ჭასადარსა, და მეოთხედი სალთხუცესსა და მდივნებსა. ნურა მოსა-

ქმე ღვინოს ნუ ასყიდვინებს, თუ არ თავის ნებით მიუტანონ. თუ სოფლის მალა ან მოურავისაგან ან სხუსაგან მამასახლისმა არ შეგვა-ტყობინა, ექუსს თუმანს წავართმევთ. მამასახლისები ღვინოს თოჳს ნუ იქმონენ, რომელიც სოფლის კაცი ერთი მეორეს უჩივოდეს, იმისი სამართალი მოურავმა ჰქმნას, და რომელიც სოფლიდამ სოფელი და სოფელი ერთმანერთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმემ ჰქმნას. იქნების ასეთი საჩივარი, ან კაცის სიკუდილი, ან დიდი საქმე რამე, იმისი სამართალი კარზედ უნდა იქნას. —გასადრის რიგი და სარგო.

---

### კბ. აიდარ-ბეგის კეობაში აშენებულის სოფლებისათჳს.

არის აიდარბეგის კეობაში აშენებული სოფელი, რომელთაც სა-მოურავოდ აქუსთ:

ურუტი.
ყათირუღლუ.
ყიზილ ყიარათი.
ბოჭაცორი.
ჭაიდარბეგი.
თეიჩი.
ლაყვარდლი,—მდივანს გივს.
აუშენებელი სარუყალა.
ყირხბულახი,—ოთარ მდივანს.
ზარიაქანდიც,—ოთარ მდივანს
ბარქადარა,—გივს მდივანს.
ბუზურგ ბულახი.
ოთარ ბულახი დარგაჭყულის.
ოთარ ბულახს სუთოქულანი ჯავან-შირის კიდი არს.
ქურთ ყალა აზიზ ოღლი მამადას შვილს.
ყარყალა ქვევითი იესეს.

### კგ. აჯილის მიბარებისათვის.

უნდა შეინახოს ჯოგის აჯილა ყოველს ზამთარს;—ბატონის იარაღით მიბარებულია:

| | | |
|---|---|---|
| კათალიკოსმა. . . . ა. | ქვათახევის წინამძღვარმა. . . . . . . . . ა. | ამილახორმა. . . . ა. |
| მთავარ ეპისკოპოსმა. ა. | ბოდბელმა. . . . . ა. | ზემო ციციშვილმა. . . . . . . . |
| მროველმა. . . . . ა. | ქსნის ერისთავმა. . ა. | სომხითის მელიქმა. . . . . . . ა. |
| მანგლელმა. . . . . ა. | სარდარმა. . . . . . ა. | ჯავახის შვილმა. ა. |

## კზ. ქართლის აღწერისათჳს.

როდესაც ქართლი აღწერილა და ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს, ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის საუღდარს გარდა, სომხით, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვილოში, — ამაზედ საბარათასშვილოს სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღჰსწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს.

ზემო ქართლის კეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშის კარიც დავთარში ჩავარდების; და იმას აქათაც საამილახვრომდი, ამილახორის მამულსაც ზემო ქართლის სარდარი და ერთი მდივანი წავა; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი ჰსწერდეს.

საციციანოს მკარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა, და მდივანი წარჰყვება. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი.

მუხრანს და ორისავ ერისთვის მამულს, რომელიც კჳლავ დავთარში ჩავარდნილა, იმაზედ მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს.

ეს სარდრები და მდივნები რომ წავლენ, იმათი რიგი და წესი ასრე არის: რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდნენ, იმ სოფელმა საკომლოდ ორი შაური, და ბოგანოდ ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღონ; და ეს სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ. დახდომითაც ის სოფელი უნდა დასჴდეს. და რომელსაც სოფელში არ ჩაუდგებიან და ისრე აღსწერენ, იმ სოფლის საკომლოდ აბაზი, და ბოგანოდ ორი შაური უნდა გამოიღონ; ერთის ბოგანოსი და ერთის საკომლოსი იქნების ექჳსი შაური, ამისგან სამი შაური სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ, რომე ასამწერლო არის; დარჩების სამი შაური, რომ ეს ულუფისა არის. ამისგან ორი შაური ,სარდარს რომ ბევრი კაცი ახლდების, და ერთი მდივანსა. მაგრამ მდივანსა და მისს კაცებს სარდარმა უნდა ასჳას, აჭამოს. თუ სხჳა მეულუფე, ან სხჳა სასაჩუქრე კაცი გაჩნდეს, კარგი სარდარმა უნდა გასწიოს და მდივან-

მა აღარ დასარჯოს; ამიტომ რომ ულუფისა ორი წილი მიაქუს. ამ ქუეყნის აღწერაში ერთს მკარეს დედოფლის მდივანი წავიდეს. რაც იმის აღწერაში სამეფო კაცი იყოს, იმ სამეფოს კაცის სარგო მეფის მდივანს უნდა მოუტანოს; და სადაც მეფის მდივნის აღწერილში სა-დედოფლო კაცი ერიოს, იმისი სარგო და აღსამწერლო დედოფლის მდივნებს მოუტანონ.

საურთან დედოფლის სალთხუცესს და მდივანს კელი აქუს. მე-ფის სალთხუცისა და მდივნებისა არის ორი მაური, რომ მესაურისა აიღების იმისგან ნახევარ მაური.

### კჱ. მოქოულთ-უხუცესთა და ეშიკაღას-ბაშებისათჳს.

დავგვიყენებია ეშიკაღას ბაშათ: არაგვის ერისთვის შვილი ზუ-რაბ, ამილახვარის შვილი რევაზ; ეს ორნი ამ კელობაში იყუნენ.

მოქოულთ-უხუცესი ორბელის შვილი გორჯასპი.

ციცის შვილი ხესნია.

| | | |
|---|---|---|
| გურჯი რევაზის შვილი რევაზ. | არაგვის ერისთვის შვილი ნუგზარ. | ფალავანდის შვილი შიოშ. |
| ციცის შვილი ლიპარიტ. | ამილახვარის შვილი ბეჟან. | ჩხეიძე თეიმურაზ. |
| შალიკას შვილი ზურაბ. | ავალის შვილი ზაზა. | ციცის შვილი ლევან. |
| ნარიმა. | ზურაბის შვილი ბეჟან. | შალიკასშვილი იბაშერ. |
| საამის შვილი ქაიხოსრო. | აბაშის შვილი დავით | ქავთარის შვილი იესე. |

### კთ. ბატონის ბაღის წყლის გარიგებისათჳს.

ბატონის ბაღის წყლის გარიგების წიგნი აქუს ფარეშთავლიდარს ას-ლანს, ასე რომე იმას ჰქონდეს, და ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ციხის ამბრისათჳს უნდა იდინოს. და პარასკევს საღამოს, შაბათს, კჳრას, დღე და ღამე ბატონების ბაღში უნდა იდინოს. ორშაბათსა და სამშაბათსა დღე და ღამე თფილელის და ქალაქის ბაღებისათჳს უნდა იდი-ნოს. ოთხშაბათსა და ხუთშაბათსა ციხისა და აბანოებისაკენ იდინოს, და ამ რიგში ჰაჯი მამად ყულისაც თავის ბაღში მართებულად წყალს მისცემ-

დენ. თუ, ვინიცის, წყალ-ცოტაობა იყოს, ბატონის ბაღს წყალი არ უნ-და დააკლდეს. ვინც ამ ბრძანებას გარდავა და უჯეროდ წყალს ადენს, თორმეტი მინალთუნი ჯარიმა საბატონოდ გამოართვან, და ათის-თავის ასლანი აიღებს.—ანჩისხატის დეკანოზი, მხატვარი გრიგოლ და მისი მამა იოსებ შემოგვეხვეწა, გარეთ-უბანს თავის პატარა ბაღისა თჳს წყლის ბოძებას, და ამასაც წყალს მისცემდეთ. როდესაც გარეთ-უბნის ბაღები მოირწყოდეს, ჩუჱნი მომხსენებელი და აზნაურშვილია, ამისთჳსაც პატივ-გჳცია წყლის ბოძებით.

### ლ. შიგა-მდევგისა, და ქორის ბაზიერისათჳს.

| | | |
|---|---|---|
| ბურდიას შვილი იესე. | მისაიდარისშვილი ასლამაზ. | არეშის შვილი გიორგი. |
| სოლაღასშვილი დათუნა. | ოთოთას შვილი ავთანდილ. | ხამშვილდელი დეკანოზის შვილი. |
| ურდუბეგას შვილი გიორგი. | არეშისშვილი ბეჟან. | ხერგეში ნინიას შვილი. |

### ლა. ბატისა და ქათმისათჳს.

სადაც ჩუჱნს სახასოში, თრიალეთზედ თუ სხჳაგან, ბატი ჭყჳან-დეს ვისმე, ყველგან ასი ბატი შეაწერონ. თრიალეთს და კავთისკევს სოფლად გაუყონ და მიაბარონ. თვითოს ბატში წელიწადში ოროლი ჭუჭული ჩუჱნს ქარხანაში მიაბარონ.

მემანდარი სტუმრის საკლავს ნახევდეს, და ავს ნუ გამოართმევს მესაკლავეს.

სადაც ჩვენი სახასო სოფელი იყოს, დავთრის პირზედ თრია-ლეთსა და კავთის-კევს გარდაისად, კომლზედ თჳთო ქათამი მიაბა-რონ წელიწადში, და წელიწადში სამ-სამს ქათამს და სამს კუჱრცხს ჩუჱნს ქარხანაში მიაბარებდენ.

### ლბ. ბრინჯისათჳს.

აუსტრები ლანჩარიებს წესიერსა და ავს ბრინჯს ნუ გამოართმე-

ვენ; ნაზირი წითელს ბრინჯს კიდეც გაათეთრებინებდეს. მეჯლისი რომ იქნებოდეს, აუშტრები წინა დღივ ბრინჯს კარგა გაარჩევდენ.

## ლგ. ბოშ-ყაბისათჳს.

საჭმლის ბოშ-ყაბისა უწინ ასრე ყოფილა: სამი თუმმალი, ორი სომეხი და ერთი თათარი. სომეხს ბოშ-ყაბი ერთი—ა, თათარს ბოშ-ყაბი—ა, ოსტატს თასი—ა, საყას თასი—ა, აუშტარს თასი—ა, მეთევშეს თასი, მუშრიბს ბოშყაბი. სხუა არა ყოფილა დავთარხანაში.

## ლდ. ბოქოულთხუცების სარგოსათჳს.

ჩუჱნ სრულიად ერანის მდივან-ბეგმან და საქართუჱლოს ჯანიშინმან, პატრონმან მაჭყუღლიხან *) ჩუჱნის კარის ეშიკაღას ბაშის, ბოქოულთხუცისა, და ყაფიჩისა, იასაულის სარგო და ან ყოფა ამ გუარად გავარიგეთ, ასე გვიბრძანებია: რომელსაც კელ-ჯოხიანსა, დიდსა თუ ცოტასა, ანუ უსელ-ჯოხიანოსა ჩვენ დანისტრად სამსახური უბრძანოთ, იმასთან არც ბოქოულთხუცესს და არც ყაფიჩებს, არც იასაულებს კელი არა აქუსთ. მაგრამ რაც იმ დანისტრად წარსრულმან გაცემან საიასაულო იშოვნოს, იმისც მეოთხედი ეშიკაღას-ბაშს მოუტანოს, სხუას კელ-ჯოხიანს კელი არა აქუს. სხუა უდანისტროდ ან ჩვენგან, ან მდივანბეგისაგან რაც გარიგდებოდეს, ან განაჩენი დაიწერებოდეს, იმისი წიგნები ყაფიჩს მიებარებოდეს, და ის გაგზავნიდეს. ექვსი შაური რომ მოვიდეს, იმისი ნახევარი სამი შაური იქნების; ეს ეშიკაღას ბაშმა და ბოქოულთხუცებმა ასრე გაიყონ, რომე, შაური ნახევარი ეშიკაღას ბაშსა, და ნახევარი საცა ბოქოულთ ხუცები იყოს, ყველამ გაიყოს. იმ ექვსის შაურისაგან სამი შაური რომ დარჩა, ასრე გაიყონ ის სამი შაური: რაც ყაფიჩია, იმათია და გაუყონ; და ერთი შაური რომ დარჩა, რაც იასაულებია, იმათია და გაიყოფენ. ბევრი მოვიდეს, თუ ცოტა, ამ წესით გაიყოფდენ. მდივანბეგი დანისტრად სამ-

---

*) ეს სახელი მეფე ვახტანგს VI ერქუა, ოდეს იყო თათრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბიბლიოგრაფიო განცხადება.

დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, ეფიანჯიანის და ალადათოვის წიგნების მაგაზიებში, სემინარიაში (იაკ. გოგებაშვილთან) და «მნათობის» რედაქციაში ისყიდებიან:

გაბრიელ ეპისკოპოზის ქადაგებანი და მოძღვრებანი. ფასი მანეთ-ნახევარი, მომსხო ქაღალდზედ ორი მანეთი.

კაცია, ადამიანი, მოთხრობა თ. ილია ჭავჭავაძისა. ფასი ათი შაური.

ბავშვების მოვლა, თხზულება კომბისა, თარგმნილი ვას. მაჩაბლისაგან. ფასი ათი შაური.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე გამოცემა. ფასი ყველგან ორი შაური.

ბუნების კარი, საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სასწავლებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, საქართველოს კარტით ფასი ყველგან ცამეტი შაური.

რუსული ენის დაწყებითი პრაკტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი გ. კ—შვილის მიერ, მეორე გამოცემა. ფასი სამი აბაზი.

ამბები ძველი დროების ხალხებისა. ნაწილი პირველი. უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები, რუსულიდამ ნათარგმნი. ფასი სამი შაური.

არითმეტიკა, შედგენილი ვახტანგ თულაშვილისაგან და მ. ყიფიანისაგან. ფასი სამი შაური.

თ. გიორგი ერისთავის თხზულებანი, ავტორის სურათით. პირველი და მეორე ნაწილი. ფასი სამი აბაზი, თბილისში.

დავითიანი, ლექს. თხზ. თ. დავ. გურამიშვილისა (ძველი მწერლობა). ფასი ათი შაური.

ეთერიანი. ამბავი აბესალომ და ეთერისა. ფასი ერთი აბაზი.

კრებული, პირველი ოთხი წიგნი. თითო წიგნის ფასი ათი შაური.

«მნათობი» ამ 1871 წელში გამოდის იანვრიდგან ყოველ თვე. თითო წიგნის სივრცე არის შვიდიდგან ათ დიდ თაბახამდის.

---

### ამ 1871 «მნათობის» ფასი:

მთელი წლისა—გაგზავნით ყველა ალაგებში შვიდი მანეთი.

ნახევარ წლის ხელის მოწერა არ მიიღება, გარნა მთელი წლის ფასი შეიძლება შემოიტანონ ორ ნაწილად.

### ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში, სასულიერო სემინარიაში, უფ. სემინარიის პროფესორის გიორგი იოსელიანის სახელზედ. აგრეთვე უ. ნ. ალადათოვის წიგნის მაგაზიაში.

ქუთაისში: უ. გერასიმე კალანდარიშვილთან, სასულიერო სასწავლებელში. (ქუთაისის ხელის მომწერლებმა, ვისაც «მ ნ ა თ ო ბ ი» დააკლდეს, უ. კალანდარიშვილთან მოიკითხონ).

---

რედ. ნ. ავალიშვილი.